საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული ფორუმი «ებლიტფო»
www.nplg.gov.ge/culture/forum

საუბრები ლიტერატურაზე

თბილისი _ 2007

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში უკვე ერთი წელია შეიქმნა ლიტერატურული ფორუმი «ებლიტფო».

ფორუმზე სხვადასხვა თაობის პოეტები და პროზაიკოსები მკითხველებს აცნობენ თავიანთ ახალ ნაწარმოებებს. ასევე აქვეყნებენ ძველ, კარგად ნაცნობსა და მონატრებულ ლექსებს. ფორუმი მკითხველს საშუალებას აძლევს გამოთქვას მოსაზრებები კონკრეტული ლექსის ან პოეტის შემოქმედებაზე. იმართება დისკუსიები თანამედროვე პოეზიისა და პროზის აქტუალურ პრობლემებზე, ლიტერატურული კრიტიკის მნიშვნელობაზე.

«ებლიტფოს» ისტორია პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს _ ცნობილ პოეტ და მთარგმნელ გივი ალხაზიშვილამდე და მასთან ერთად.

გამოქვეყნებული გზავნილების საფუძველზე კულტურული პროგრამებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ მოამზადა წერილები, სტატიები, ინტერვიუები, რეპორტაჟები, რომლებიც ქვეყნდებოდა პრესაში.

წინამდებარე კრებული მათ საფუძველზე მომზადდა.

კრებული განკუთვნილია მათთვის, ვისაც ლიტერატურა ძალიან უყვარს და აინტერესებს ლიტერატურული სივრცის ძველი და ახალი ამბები.

კრებული რედაქტირებულია ეროვნული ბიბლიოთეკის საგამომცემლო განყოფილების თანამშრომლების მიერ.

ამ პარასკევს გაცოცხლებული ის ოთხშაბათი

დავით ჩიხლაძის შეხვედრა ქართულ პოეზიასთან

30 მაისი. საღამოს ექვსი საათი. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მორიგი ოთხშაბათია, პოეზიის მორიგი საღამო. კვირაში ერთხელ მსგავსი საჩუქრის გაკეთება ბიბლიოთეკის კულტურული პროგრამებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ დამკვიდრებული ტრადიციაა, კვირაში ერთხელ ამ საჩუქრის მიღება კი _ ლიტერატორებისა და ლექსის მოყვარულთათვის დამკვიდრებული ჩვევა.

ტრადიციისამებრ 30 მაისს გუდიაშვილის ქუჩა გაივსო ადამიანებით, რომლებიც ჩვეულებისამებრ ოთხშაბათის საღამოს პოეტის მოსასმენად მიემართებოდნენ ბიბლიოთეკისკენ. ეს საღამო ამერიკიდან ახლად დაბრუნებულ პოეტ დავით ჩიხლაძეს ეკუთვნოდა. ერთი შეხედვით, ტრადიციისა და ჩვეულების დარღვევას არავინ გეგმავდა. მაგრამ ჩვენი ერთი შეხედვა არ აღმოჩნდა საკმარისი იმ საღამოს გმირის _ დავით ჩიხლაძის გეგმების ამოსაცნობად.

იმ დღეს დათოს არ წაუკითხავს ლექსი. აუდიტორიის წინ მან ისაუბრა თემაზე, რომელიც აქტუალურია დღეს ლიტერატურულ წრეებში. თემა მართლაც იმდენად საინტერესოა, რომ ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და გაზეთმა «ახალმა 7 დღემ» გადავწვიტეთ იმდღევანდელი საუბარი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გავაცოცხლოთ.

პუბლიკაციის ჟანრი თქვენთვის დაუდგენელი იქნება. შეხვედრის მონაწილეთა ერთი ნაწილი საკუთარი სახელით დასვამს შეკითხვებს, მეორე ნაწილი _ ქართული ტრადიციული სიტყვა-პასუხის ნორმებიდან გამომდინარე: ადგილიდან, წამოძახებით, არათანმიმდევრულად. ჩვენ მათ ადგილებს ერთი საერთო სიტყვით აღვნიშნავთ: «დარბაზიდან».

დავით ჩიხლაძე: ჩემი ლექსების ბოლო, რუსულენოვანი კრებული 2004 წელს გამოვიდა. 2005 წელს ამ კრებულიდან ნიუ იორკ სიტის უნივერსიტეტში ორი ლექსი წარმოვადგინე: «მავზოლეუმი» და «ორგაზმი». ეს ორი ლექსი წარმოდგენილი იყო მანქანის მეშვეობით, პერფორმანსის სახით _ მე არ ვკითხულობდი, ვოპერირებდი მიკროფონის საშუალებით. 2-3 წელია ლექსებს აღარ ვწერ, რადგან ორგანულად აღარ მაქვს ამის მოთხოვნილება. ეს რეალობაა. ამდენად, როდესაც აქ მოვდიოდი და ლექსებს ვარჩევდი, გადავწყვიტე, რომ ძველი ლექსების წამოღებას აჯობებდა ულექსოდ მოვსულიყავი, აუდიტორიისა და პოეტის საერთო ხმა მეპოვნა. მინდოდა ჩამწერის წამოღება და დაფიქსირება იმ -პოეზიისა-, რომელიც ჩვენს დიალოგში წარმოიშვებოდა. როგორც ვხედავ, აქ ჩამწერი არის.

ვფიქრობ, პოეტი აუცილებლად დროის შესატყვისი უნდა იყოს. 70-იან წლებში სიუზან სონტაგი თავის გახმაურებულ ნაშრომში _ «დუმილის ესთეტიკა» სწორედ იმ ფაქტს აღწერს, როდესაც პოეტი აღარ აგრძელებს შემოქმედებას; მას მაგალითად რემბო მოყავს. ეს მოვლენა სულაც არ არის იშვიათი და ნაცნობია იმ პოეტებისთვის, ვინც გულწრფელია და ხალტურას თავს არიდებს. სუზან სონტაგი იქვე აღნიშნავს, რომ დღეს მსოფლიოში მხოლოდ 2-3 ნამდვილი პოეტი შეიძლება იყოს. იბადება კითხვა, საიდან უნდა გასჩენოდა ეს აზრი ისეთ ესეისტსა და ესთეტს, როგორიც სუზან სონტაგია?!. პირველ რიგში იგი გულისხმობს, რომ პოეტური ენა ეპოქის შესაბამისი უნდა იყოს.

როგორც ჩანს, ჩვენი დრო არ არის ლიტერატურული, მეტყველებითი, ის უფრო ვიზუალური და თვალზე ორიენტირებულია. ეს კარგად ჩანს თანამედროვე მხატვრობაში, თვით თანამედროვე ქართველ შემოქმედთა ნამუშევრებში. იგივეს ვერ ვიტყვით ქართველ მწერლებსა და პოეტებზე _ ისევე როგორც თეატრი, თანამედროვე პოეტიც ვეღარ წერს რემინისცენციული მე-19 საუკუნის განწყობებით.

სწორედ აქედან გამომდინარე, მეც ვცადე რაღაც ჰაიკუს ფორმები, არაკანონიკური მეთოდები, ლექსიკონიდან სიტყვების კონდენსირება, რომ ჩემი ლექსები შეძლებისდაგვარად, შესაბამისი იყოს ინფორმაციული დროისა. დღეს მეტად ნერვული და ისტერიული დროა. დღეს არ არის პოეტის ნარცისული სევდის ეპოქა; გასაგებია, რომ სევდა პოეზიის თანმხლებია, მაგრამ დღესასწაულიც არის. თუმცა, ასეთ დროს და, მით უმეტეს, საქართველოში ძნელია დღესასწაულის შექმნა. აი, ამ თემებზე მინდა თქვენთან საუბარი. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ პოეზია საერთოდ დამთავრდა ბესიკ ხარანაულის, დალილა ბედიანიძის და მათი თაობის შემდეგ; მაგრამ, მოვიდა მეორე, უნივერსიტეტის თაობა, რომელმაც მოასწრო გადარჩენა. მას მოჰყვა ანტი-პოეზია: ირაკლი ჩარკვიანი, შოთა იათაშვილი, დათო ბარბაქაძე, კარლო კაჭარავა. ამ პოეტებმა გაიარეს გზა, რომელიც წინა პოეტებს არ გაუვლიათ. და იწყება პოეზიის, ლიტერატურის ისტორიის დასასრული, რადგან ენობრივი ნოვაცია აღარავის შემოუტანია (აქ ნიჭიერებას კი არა, სტერეოტიპების ნგრევას ვგულისხმობ). პირიქით, მოხდა კიჩური ნიშნით ძველებური, ტრადიციული ლექსისკენ მიბრუნება. ჩემი აზრით, ასეთია ქართულ პოეზიაში არსებული რეალური სურათი. პოეზია არსებობს, მაგრამ არ ქმნის ახალ ენას და პროფანისტულად იმეორებს ძველს. ნიჭი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ დროის შესაბამისი ენა მოძებნო.

ამ შემთხვევაში მე გადავიწვი, რადგან თავიდანვე უკიდურესი ფორმებით დავიწყე და მოგვიანებით მივხვდი, რომ ჩემი თავი ამოვწურე. თუმცა, ამერიკაშიც ყველაფერი ისევ გინსბერგს უტრიალებს _ მან იგრძნო, რომ ლექსების კითხვის დრო გავიდა და ხალხის გასართობად საკუთარი ლექსების სიმღერა დაიწყო ძალზე პრიმიტიულ, ინდუსურ მელოდიებზე. მიხვდა, რომ შეუძლებელია დღეს გოეთე ან ნოვალისი იყო.-

დავით ჩიხლაძეს პირველი კითხვა პოეტმა დალილა ბედიანიძემ დაუსვა.

დალილა ბედიანიძე: ამ კონტექსტში, რას იტყოდით ემილი დიკინსონზე? მას არც თანამედროვე და არც სხვა პოეტებთან ჰქონდა გამოძახილი, სახლიდან თითქმის არ გადიოდა, ისე წერდა ლექსებს, თვითმყოფადი იყო. ფაქტები და მოვლენები ძალიან ხშირად და სწრაფად იცვლება. ამ ფონზე, თუ ნიჭმა თავისი გაიტანა, გზა მონახა, ის უკვე რელიგიურობაზე, რწმენაზე დამყარებული იქნება.

დავით ჩიხლაძე: ემილი დიკინსონი საერთო კონტექსტიდან, ლიტერატურული სკოლებიდან ამოვარდნილი, ცალკე მდგომი პოეტი იყო. დღეს დრო იმდენად

ქაოსურია, რომ იერარქია ვეღარ წესდება. ეს არ შეიძლება არ მოქმედებდეს პოეზიაზე, რომელიც მეტაფიზიკის გარეშე ვერ იარსებებს. თუ ვინმე დიკინსონის მსგავსი გაჩნდება და ისევ ააღორძინებს მეტაფიზიკურ სისტემას, ისევ ამოვარდნილი იქნება ლიტერატურული კონტექსტიდან. დღეს ბუნების რევანშის დროა _ მკითხველი ანუ მშვენიერება რევანშს იღებს მწერალზე, ხელოვნურ მშვენიერზე. ყველაფერს უნდა, რომ გათანაბრდეს ყველაფერთან. აქ ახალი ენაა მოსაძებნი.

დარბაზიდან: სიახლეები სკოლის მოსწავლეების და სტუდენტების პოეზიაში ჩანს.

დავით ჩიხლაძე: მწერალი ან უნდა გაექცეს, ან უნდა ეყოს ძალა და შეეგებოს მისთვის მტკივნეულ, მაგრამ ენობრივად დროის შესატყვის სიახლეს.

დარბაზიდან: ქართველი აუდიტორია, სავარაუდოდ, მე-20 საუკუნის 60-იანი წლების სტილში სავსებით კომფორტულად გრძნობს თავს.

დავით ჩიხლაძე: თუ დათო ბარბაქაძეს რეალური მკითხველი ჰყავდა და ინტელექტუალურად რაღაც დონემდე მივიდა, ის უკან ვეღარ დაბრუნდება. ეს იგივეა, უცებ ზღაპრებს რომ მივუბრუნდეთ და ვთქვათ, სახლში სჯობსო.

დარბაზიდან: მიუხედავად «მიძინებული» გემოვნებისა, ლიტერატურულ საიტებზეც ჩანს სიახლეები.

დავით ჩიხლაძე: მე მაინც ვფიქრობ, ეს უნივერსიტეტებში და სკოლებში გამოკვლევების ნაკლებობისა და თანამედროვე ლიტერატურის ისტორიის შეუსწავლელობის ბრალია. შეიძლება ნეოტონები იყოს, მაგრამ სტრუქტურირებული არ არის. ვფიქრობ, ეს დროის ანუ გამოსწორებადი ფაქტორია.

ფილოსოფოსი და პოეტი ელიზბარ ელიზბარაშვილი: ჰეგელი ამბობდა, რომ მისმა ფილოსოფიამ დაასრულა ფილოსოფიის ისტორია. წარმოუდგენლად მიაჩნდათ გაგრძელება. მაგრამ, გადის დრო და მოდის ნიცშე, კირგეგორი, იწყება ახალი ფილოსოფია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თეოდორ ადორნო სვამდა კითხვას აზროვნების საჭიროებაზე და ეძიებდა კითხვებს. ფილოსოფია საჭირო არ იყო, მაგრამ მოვიდნენ პოსტმოდერნისტები. დღეს ფრენსის ფუკუიამა ისტორიის დასასრულზე წერს, მაგრამ მოდის ჰანტიგტონი და ამბობს, რომ ისტორია გრძელდება. მხატვრობაც, რაც დასრულდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთვის, პიკასომ გააცოცხლა. საზოგადოებას თავისი განვითარების დინამიკა აქვს. თქვენ დაასახელეთ ის პოეტები, რომლებიც გადარჩნენ. როდესაც ქართული საზოგადოება კომუნისტური საზოგადოების ფსიქო-სოციალური ველიდან გადავიდა ახალ ველში დიდი კატაკლიზმების შემდეგ, მოვიდნენ ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ახალი სახე ქართულ პოეზიაში, ეს პროცესი გაგრძელდა და მათ წარმოშვეს ახალი ორეულები. მაგრამ, ქართული ფსიქო-ემოციური ველი ვერ გადავიდა ახალ ველში. დღეს ქართული საზოგადოება მენტალურად 10-15 წლის წინანდელ ველშია. როდესაც ქართულ ორგანიზმში მოხდება ცვლილება, ის რაღაც ახალს მოიტანს. თუმცა, დღესაც შეიძლება დავასახელოთ ახალი ტალღის რამდენიმე ავტორი, რომელმაც თავისი ხელწერა შემოიტანა.

დავით ჩიხლაძე: საქართველოში ეს პერიოდი მაინც გაჩერებულია. ჩვენ 80-იან წლებში ვთარგმნიდით 70-80-იანი წლების ამერიკულ პოეზიას და რასაც არ ვთარგმნიდით, ვკითხულობდით. ახლანდელი თაობაც იგივეს კითხულობს, შესაბამისად, დრო გაჩერებულია. ვაკუუმში ვერაფერი შეიქმნება, მაშინ მთის პოეზიას უნდა დავუბრუნდეთ. დამისახელეთ, ვინ თარგმნის თანამედროვე ამერიკულ ან, თუნდაც, რუსულ პოეზიას?! რუსებს ჰქონდათ ისეთი შემეცნებითი სტატიები, რომლებიც კარგად ასახავდა მიმდინარე მოვლენებს და ყველაფერს

გაიგებდი. დღეს არაფერი იწერება. რატომ არ შეიძლება კულტურული ინტეგრირება მოხდეს?!

პოეტი გიორგი ბუნდოვანი: მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ დავითს. მან ჩვენ დაგვანახა სიმართლე დღევანდელი ლიტერატურული პროცესების შესახებ, რომელსაც სავარაუდოდ ჩვენ ყველანი აღვიქვამთ, მაგრამ მის შესახებ ღიად არ ვსაუბრობთ. დათომ ისიც თქვა, რომ ეს პრობლემები აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ამერიკასა თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. მე ცოტა სხვაგვარად ვიტყვი, ჩემებურად მინდა გავშალო _ მიმაჩნია, რომ ეს შედეგია აპოკალიპტური ეპოქისა. რადგან ეს ეპოქა აპოკალიპტურია, ესე იგი უღმერთოა. და რადგან პოეზია ღმერთების ენაა, ღმერთები აღარ ჩამოდიან დედამიწაზე (მესმის, რომ ცოტა რელიგიურად გამომდის) და ლოგიკურია, რომ მსოფლიოში პოეზია აღარ იქმნება. დათომ საქართველოს მაგალითზე დაასაბუთა აზრი, რომელიც დიდი ხნის წინ უნდა თქმულიყო. ვიდრე რაღაც ღვთიური არ გაჩნდება, პოეზია ვერ შეიქმნება.

არ შეიძლება, საქართველო ნებისმიერი სხვა ქვეყნის წინაშე ყოველთვის ერთი და იგივე სახელებით წარდგებოდეს, იქნება ეს მეცნიერები, ხელოვნების თუ სხვა სფეროს წარმომადგენლები. ინტერნეტმა შემოიტანა როგორც კარგი, ისევე ცუდი; კარგი ის, რომ ნებისმიერ სასურველ ინფორმაციას რამდენიმე წუთში მოიძიებ. თუმცა, ინტერნეტში ტიტანის გვერდზე ვიღაც ობივატელი შეიძლება აღმოჩნდეს, გაურკვეველი სიტუაციაა. მე კომპიუტერი საერთოდ არ მაქვს, უარი ვთქვი. პოეზია ძალზე ფართო ცნებაა, სულიერებაა, ღვთიურის სიჭარბეა და სწორედ მისი აღორძინება უნდა მოხდეს.

დავით ჩიხლაძე: სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ლექსად მიმაჩნია რაც დღეს ხდება. ვფიქრობ, შოთა იათაშვილმა და «კავკასიურმა სახლმა» გააკეთა შესანიშნავი ანთოლოგია. თანამედროვე პოეზიის და ლიტერატურის შესწავლის საკითხი ისე არ არის დაყენებული, რომ ვინც წერას იწყებს, სისტემურად გაეცნოს, 10-20 წლის წინ რა ხდებოდა. განვითარებულ ქვეყნებში ამას ასწავლიან. ახალგაზრდებს ვურჩევდი, რომ თავად მოძებნონ თანატოლი ნიუ იორკელი მწერლების ჯგუფები, დაუკავშირდნენ მათ და თარგმნონ მათი შემოქმედება. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს, საქართველოში გაჩერებულია შემოქმედებითი პროცესები. აქ ვხედავ უბრალოდ ნიღაბს ლექსების კითხვის სახით.

დარბაზიდან: რამდენად შესაძლებელია, რაიმე საერთო ჰქონდეთ ქართველ და უცხოელ მწერლებს?! XX საუკუნე განახლების ეპოქა იყო. ალბათ, ყურადღება უნდა მივაქციოთ, ვინ არის დღევანდელი მწერლის ადრესატი. თითქოს, ქართველ მწერალს აღარ ჰყავს ადრესატი.

დავით ჩიხლაძე: გამოსავალი ერთია _ უნდა შეიქმნას ნამდვილი ინტელექტუალური წრეები, სადაც წაიკითხავენ ნამდვილ ლექსს, შოუს გარეშე. თუნდაც, ეს წრე სულ 20-მდე კაცისგან შედგებოდეს.

დათო ჩიხლაძის ეს მოსაზრება უკომენტაროდ დატოვა, მაგრამ მისთვის დამახასაიათებელი უშუალობით უმრავლესობისგან განსხვავებული აზრი გამოთქვა ცნობილმა მწერალმა და კრიტიკოსმა მარსიანმა. ფაქტობრივად, იგი ყველა ზემოხსენებულ საკითხს შეეხო.

მარსიანი: ჩვენ, რატომღაც, ყველა ეპოქისგან, ათწლეულისგან და ათასწლეულისგანაც კი ვითხოვთ რაღაც ჭეშმარიტ ღირებულებებს ხელოვნებაში. არადა, ისტორიას არ ახსოვს, ამა თუ იმ ქვეყანაში, ყველა ეპოქა თანაბრად ნაყოფიერი

ყოფილიყოს ამ მხრივ. განა რენესანსამდე იტალიას დიდი მხატვრობა ჰქონდა? ან ინგლისს მეოცე საუკუნის კლასიკური როკის გარდა რომელიმე საუკუნეში ჰქონია დიდი მუსიკა? საქართველოში რუსთაველის შემდეგ 6 საუკუნე გავიდა, სანამ ახალი დიდი პოეტი გურამიშვილი გამოჩნდებოდა. მეცხრამეტე საუკუნეში დიდ პოეტთან მთელი პლეადა გამოჩნდა; მეოცეში კიდევ უფრო რიცხვმრავალი იყო დიდ ქართველ პოეტთა ამქარი. ზოგი მათგანი დღეს ცოცხალ კლასიკოსად ითვლება. მე პირადად რომ მკითხოთ, საზოგადოებისთვის ჯერაც უცნობი ათამდე დიდი პოეტი კიდევ მეგულება. ცოტაა ეს ყველაფერი? დღეს თუ შედევრები არ იწერება, ეს სულაც არ არის ტრაგედია (თუმცა, შეიძლება იწერება კიდეც და, უბრალოდ, საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის). პოეტთა მეფედ აღიარებულ ლეგენდარულ გალაკტიონზე თქვა ვახტანგ ჯავახაძემ, მისი მკითხველები ჯერ არ დაბადებულანო. ჰოდა, ჯერ გალაკტიონის კარგად წაკითხვა შევძლოთ, გრანელის, სამადაშვილის, კორნაპელის (ეს უკანასკნელი, ალბათ, ბევრს არც გაუგონია, არადა მსოფლიო რანგის ლირიკოსია). დიახ, რაც დაიწერა, იმის წაკითხვა და გაგება შევძლოთ და ნებისმიერი მოკალმისგან პოეტურ სასწაულებს ნუ მოვითხოვთ.

დარბაზიდან: ლიტერატურა შოუ გახდა.

ელიზბარ ელიზბარაშვილი: ქართული ფილოსოფიაც კარიერისა და ხელფასის შოვნის საშუალება გახდა; გასული საუკუნის დასაწყისში ქართველი ფილოსოფოსები და ლიტერატორები, შესაბამისად, ეს ორი დარგი ერთმანეთს ამდიდრებდა და ერთიანი ცოცხალი ორგანიზმი იყო; ამასთანავე, იმდროინდელი ქართული ფილოსოფია და ლიტერატურა დასავლეთ ევროპის კულტურის მენტალურ დონეზე ცდილობდა ყოფილიყო. იგივე ითქმის ლიტერატურაზე. დღეს ლიტერატურა ცალკეა, ლიტერატორები კომპრომისებზე მიდიან რეჟიმთან, დღევანდელი ქართული ლიტერატურა და ფილოსოფია არ არის დასავლეთ ევროპისთვის მენტალურ დონეზე. ეს სივრცე ცოცხალი არ არის და ეს გააკეთა სისტემამ.-

დარბაზიდან: ძალზე მნიშვნელოვანი იქნება, თუ პოეტებისთვის პრესტიჟული გახდება მსგავსი შეხვედრების ჩატარება.

წამყვანი: სწორედ ამ საქმეს ემსახურება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების განყოფილება. ერთი წლის მანძილზე, ორმოცდაათამდე მეტ-ნაკლებად ცნობილი პოეტი და მწერალი მოვიწვიეთ. ვფიქრობთ, ჩვენს პროექტში მონაწილეობა ყველა მათგანისთვის პრესტიჟული იყო, მიუხედავად მათი ლიტერატურული ცნობადობისა თუ ასაკისა.

პოეტი და პედაგოგი, ნათია ნაცვლიშვილი: მაგალითად, უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრაზე პროზა მიხეილ ჯავახიშვილით მთავრდება, კაციშვილმა არ იცის, დღეს ვინ რას აკეთებს. მხოლოდ თავად სტუდენტს თუ დაინტერესებს და მოიძიებს ინფორმაციას.

დავით ჩიხლაძე: სისტემა არაფერ შუაშია, სისტემასთან მიკედლებული ხალხი სარგებლობს ამ სიტუაციით. ამ პრობლემასთან დაპირისპირების ერთადერთი გზაა ინტელექტუალური ჯგუფების დამოუკიდებელი მუშაობა უნივერსიტეტებში, ბიბლიოთეკებში, ინტელექტუალურ გარემოში.

წამყვანი: ჩვენს ერთ-ერთ საღამოზე 30-ზე მეტმა პოეტმა წაიკითხა საკუთარი ლექსი, დამეთანხმებით, ეს ყოველდღიური მოვლენა არ არის. იმედია, ასეთი საღამოები მუდმივ ხასიათს შეიძენს. მე პირადად ჩვენი ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმის ადმინისტრატორი ვარ და 300 პოეტის ერთი ლექსი

მაინც მაქვს წაკითხული. დათო, როგორ ფიქრობ, ამ სამასი ავტორიდან 5 მაინც არ არის ისეთი, რომლის პოეზიას 50 წლის შემდეგ დაუბრუნდებიან?!

დავით ჩიხლაძე: ჩემი საუბარი ნაკლებად ეხება ახალგაზრდებს, ისინი ახლა იწყებენ, მათ უნდა მოძებნონ თავიანთი კონტექსტი, ენა და, შესაძლოა, ეს საუბარიც რაღაცაში გამოადგეთ. ეს საუბარი უფრო მე მეხებოდა, რომ რაღაცა ყალბი არ გავაკეთო. ახალგაზრდებმა უნდა გადააფასონ თავიანთი ნაწერი, ასევე, სხვა ჩემს ნაწერსაც უნდა დააკვირდეს. პირველად ძალიან გამიჭირდა ლექსების დაბეჭდვა, მორის ფოცხიშვილიც სამი წელი მეწინააღმდეგებოდა, არ მიბეჭდავდა, რომ უფრო გავზრდილიყავი. დღეს, როდესაც ნამდვილი რედაქტორების ნაკლებობაა, მწერალმა თავად უნდა გააანალიზოს საკუთარი ნამუშევარი.

კიდევ ერთი გამოსავალია ჩვენი დროის აქტიური ცნობიერების შესაბამისი მექანიზმების შექმნა. სხვა შემთხვევაში, ყველა პოეტს თავი გალაკტიონ ტაბიძე გვეგონება და დაგვავიწყდება, რომ გალაკტიონი ერთია. ძველმა თაობამ უნდა დაამყაროს ნამდვილი ურთიერთობა ახალგაზრდების ფლანგთან. შეუძლებელია რაღაც კვარცხლბეკზე იდგე, დიალოგში არ მონაწილეობდე და თავი საუკეთესო გეგონოს. ეს უნდა მოხერხდეს არა კაბინეტში, არამედ ფორმალისტური ექსპერიმენტებით, ინტონაციების გაცვლით. მაგალითად, მქონდა თეორია, რომ ზურა რთველიაშვილის ლექსები წაეკითხა დათო ბარბაქაძეს და პირიქით _ მათი ინტონაციები გაცვლილიყო.

მესმის, რომ ჩვენი დღევანდელი თემა არ არის განსაკუთრებული აჟიოტაჟის გამომწვევი, მაგრამ დიდ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისთვის.

თუ პოეზიას ღმერთის სტატუსს «ვათხოვებთ».

ამ მიმოხილვას, გნებავთ, ვირტუალურ რეპორტაჟს, გაწვდით იქიდან, სადაც პოეზიას, შეიძლება ითქვას, მართლაც, უსაზღვროდ მაღალი, აბსოლუტურად ხელშეუხებელი სტატუსი აქვს; იქიდან, სადაც დროებით ავიწყდებათ პოლიტიკა, ეკონომიკა, გლობალიზაცია, გენდერული თანასწორობა, სექსუალური უმცირესობები და მათი უფლებები. ერთი სიტყვით, იქ გვავიწყდება ყველაფერი ის, რითაც ასე უხვად გვამარაგებს მასმედია. ეს მიმოხილვა, გნებავთ, ვირტუალური რეპორტაჟი, თქვენამდე მოვიდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან, კერძოდ, მისი ვირტუალური ლიტერატურული ფორუმიდან (http://www.nplg.gov.ge/culture/forum).

მოგეხსენებათ, იქ, სადაც ადამიანები არიან, ჩვეულებრივ, ვნებაც არის. ისიც მოგეხსენებათ, რომ ჩვენს საუკუნეში ადამიანებმა ვირტუალური სივრცეც აითვისეს, ხოლო მათთან ერთად იქ დაისადგურა მათმა ემოციამაც. მართლაც ემოციური იყო ის გამოხმაურებები, რომლებიც მოჰყვა დათოს საჯარო გამოსვლას. ზოგი გულმხურვალედ, «ორი ხელით», ეთანხმებოდა მას, ზოგი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. მოკლედ, ჩვენი წინათქმით თავს აღარ მოგაწყენთ და პირდაპირ, ყოველგვარი ჩარევის გარეშე, შემოგთავაზებთ მოსაზრებებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, ყველაზე ემოციური, ყველაზე საინტერესო იყო გამოთქმულთა შორის.

გიორგი საჯაია: დათოს ბევრ რამეში არ ვეთანხმები. არ ვეთანხმები კატეგორიულად! პირველ რიგში, არ ვიცოდი, რომ თურმე შემოქმედებითი პროცესის

დინამიურობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი ნიუ-იორკში თანამედროვე მწერლებისა და პოეტების ჯგუფების მოძიება და მათი შემოქმედების თარგმნა იყო.

მეორე: ათასჯერ მითქვამს და ვიმეორებ, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს: შემოქმედებმა კუმირების (თუნდაც დასავლურის) ძიებას თავი დაანებონ და საკუთარ თავზე იმუშაონ; მთარგმნელებმა თარგმნონ და კულტურულ ინტეგრაციაზე იზრუნონ; კრიტიკოსებმა დაქირავებულ "ფიარისტობაზე" ხელი აიღონ და კრიტიკას მიხედონ; გამომცემლები "თარეშის" ხარჯზე ჯიბეების გასქელებას პერიოდულად მაინც მოეშვან და ა. შ. და ა. შ. _ ეს ყველაფერი სინქრონულ რეჟიმში. და თუ აქეთ არ გავხდებით "მოსაძიებლები", "აგერ, თქვენ და აგერ, გერმანია".

დღეს ყველა ან პოეტია, ან ყველა მთარგმნელი, ან ყველა კრიტიკოსი, ან ყველა ყველაფერი ერთად იმის მიხედვით, თუ რომელი პოზიცია არის უფრო მოდური და «აქტუალური» _ სწორედ ეს არის ჩვენი უბედურება და ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ხსნას სხვაგან ვეძებთ. ხოლო მათ, ვისკენაც ჩვენ ჩვენი ნიშების საპოვნელად მივილტვით, რაც აქ ჩამოვთვალე და რაც ზოგადად ერთ მთლიან შემოქმედებით პროცესს წარმოადგენს, საათივით აქვთ აწყობილი. სწორედ ეს არის მათი "ჯადოსნური ჯოხი". სწორედ ეს კულტურა გვაქვს მათგან სასწავლი და არა ის, თუ როგორ უნდა ვწეროთ, თორემ, ეჟი ლეცის არ იყოს, "ყოველთვის მოინახებიან ესკიმოსები, რომლებიც თავს უფლებას მისცემენ, ასწავლონ ბელგიის კონგოს მცხოვრებლებს, როგორ მოიქცნენ ძლიერი სიცხის დროს".

უკაცრავად, მაგრამ როგორ უნდა ვწერო, ჩემზე კარგად არავინ იცის.

და ბოლოს: კატეგორიულად არ მესმის ეს პოზიცია _ "მე ჩემი გასაკეთებელი უკვე გავაკეთე, ხელები დამიბანია და, თუ ახლა სადმე რამე პრობლემაა, ეს უკვე თქვენი ბრალია". თუ პოეტი ხარ, დადექი, ბატონო, იქ, სადაც პოეზიას უჭირს და თუ მაინცდამაინც წერა აღარ გინდა, სათქმელიც გამოგელია, სხვა რამით მიაშველე ხელი და შეიტანე წვლილი მისი "გადარჩენის" საქმეში. პლუტარქე ამბობდა, პოეზია არის ფილოსოფიის მწარე კერძზე მოსაყრელი ტკბილი შაქარიო; მაგრამ პლუტარქე, რა თქმა უნდა, უკვე "მოძველდა" (სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს); დღეს, ვისაც არ ეზარება, პირიქით წარმოაჩენს ამ სენტენციას _ თურმე, ყველაფერი უბედურება, რაც დღეს გვჭირს, თანამედროვე პოეტების და პოეზიის ბრალი ყოფილა. რა გითხრათ, აბა? მე ასე არ ვთვლი! და საერთოდ, ყველამ თავის გულში ჩაიხედოს.

ასეთი ავტორები არ უნდა ჩერდებოდნენ! მე პირადად ვისურვებდი, რომ დათოს წერა გაეგრძელებინა.

ნატა: ვერ გავიგე, გადავდოთ კალმები და შევეშვათ წერას იმიტომ, რომ ბატონი დავით ჩიხლაძე ასე ამბობს?

არ მომწონს ეს დაყოფები, ეს რაღაც მიმდინარეობები, ფილოსოფიური მსჯელობები.

შემოქმედი ადამიანი თავის ნაწერს შენ არ "შემოგასაღებს". გინდა, მიიღე, არ გინდა, _ გაიარე. ყველაფერს დრო აფასებს და, ამ შემთხვევაში, არც ლიტერატურა არის გამონაკლისი. მთავარი ადამიანია, ადამიანებო! მთავარია, წერო ადამიანებზე, ადამიანობაზე. რომელ გათვლებსა და რომელ ინტონაციებზეა საუბარი?

პოეზია არ უნდა ჩხრიკო!

გიორგი საჯაია: ჰოდა, მანდ ვარ მეც. მერე კიდევ ვინმე იტყვის, რომ ჩვენ შემდეგ საქართველოში ლიტერატურული პროცესი ან უკვე მოკვდა, ანდა სადაცაა, «სულს გააფრთხობსო». (ჩიხლაძის ციტირებას ვახდენ, შემოვლით საუბრებში რომ არავინ ჩამითვალოს შემთხვევით!) სინამდვილეში კი საკუთარ თავს იქით ვერავინ ვერავის ვერ (არ) ამჩნევს (ამ შემთხვევაში პირადად ჩიხლაძეს არ ვგულისხმობ, ზოგადად

ვსაუბრობ!) _ აი, ეს არის მთელი უბედურება! უბედურება კი არა, ტრაგედიაა ეს! სანთლით უნდა ვეძებდეთ ნიჭიერ ხალხს და ხელის გულზე უნდა ვატარებდეთ. სწორედ ამიტომ ვცემ უდიდეს პატივს ამ ფორუმის ადმინისტრაციას და, საერთოდ, მთელ ეროვნულ ბიბლიოთეკას _ დირექციით დაწყებული ყარაულით დამთავრებული, რომ სწორედ ახალი სახეების მოძიების და პოპულარიზაციის ფასდაუდებელ საქმეს ემსახურებიან!

დეიკო: დავით ჩიხლაძეს ნამდვილად ვერ დავეთანხმები. ლიტერატურა რომ კვდებოდეს, ჩვენი ფორუმი არ იარსებებდა. 7-8 წლის წინ უფრო მკვდარი იყო, ვიდრე დღეს და, თუ თავად ადამიანს აქვს შემოქმედებითი კრიზისი, არ შეიძლება მაგ მიზეზით ჩათვალოს, რომ ლიტერატურა მოკვდა. არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, ეს მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრია.

მაია: ჩემი მოკრძალებული აზრით, ის, რომ ჩიხლაძე ასე აკრიტიკებს არსებულ ვითარებას, პირდაპირ, ანუ სიტყვასიტყვით, არ უნდა გავიგოთ. ვფიქრობ, ეს უფრო იმის სურვილია, რომ, რასაც აკრიტიკებს, ის არ დაგვემართოს. რაც ჩვენ გვაწუხებს, სწორედ იმან ათქმევინა ეს ჩიხლაძეს. არიან ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებლობას იღებენ და უფრო მკვეთრად, უფრო პირდაპირ ამბობენ სიმართლეს. ვფიქრობ, ეს დასაფასებელი თვისებაა. ასეთ ადამიანებს არაპატრიოტიზმში ადანაშაულებენ და მწვავედ აკრიტიკებენ ხოლმე, მაგრამ, რომ არა ისინი, პროგრესი არ იქნებოდა.

ჩიხლაძის პოზიცია ნაკლებად სუბიექტურია და უფრო რადიკალიზმით გამოირჩევა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელი პოეზია და პროზა ნამდვილად არ «მომკვდარა», თუმცა ზოგ შემთხვევაში ვერ სცდება ლოკალურ საზღვრებს. ეს იმის ბრალია, რომ ქართველი ლიტერატურის მოყვარულთა დიდი ნაწილი ნაკლებად იცნობს თანამედროვე დასავლეთევროპულ ლიტერატურის ნიმუშებს _ ის მხოლოდ ე.წ. ქართული ელიტისთვის არის ხელმისაწვდომი. მაგრამ რა ქნას ლიტერატურის მოყვარულმა რიგითმა ქართველმა, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოასწრო რამდენიმე უცხო ენის იმ დონეზე შესწავლა, რომ ორიგინალები იკითხოს და არა მარტო იკითხოს, არამედ ავტორის ფარულ აზრსაც ჩასწვდეს?! მით უმეტეს, რომ ქართველი მკითხველების (და არა მარტო მკითხველების) უმრავლესობა ყოველთვის გამოირჩეოდა კლასიკისადმი ერთგულებით და ნაკლებ ინტერესს იჩენდა ე.წ. ალტერნატიული, გნებავთ, პოსტმოდერნისტული ლიტერატურისადმი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღეს აღიარებული კლასიკოსებიც ხშირად გამხდარან თანამედროვეთა მწვავე კრიტიკის «მსხვერპლნი».

აქ ისევ და ისევ ვუბრუნდებით ქართული ლიტერატურის ერთ მტკივნეულ პრობლემას _ მთარგმნელობით პროცესს. მართალია, ამ ბოლო დროს ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მთარგმნელი გამოჩნდა ასპარეზზე, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო მათი შემოქმედება უცნობი რჩება ფართო საზოგადოებისთვის. ვფიქრობთ, ჩვენი ვარაუდით, ამას გულისხმობდა დავით ჩიხლაძე, როდესაც ამბობდა:

დამისახელეთ, ვინ თარგმნის თანამედროვე ამერიკულ ან თუნდაც რუსულ პოეზიას?! რუსებს ჰქონდათ ისეთი შემეცნებითი სტატიები, რომლებიც კარგად ასახავდა მიმდინარე მოვლენებს და ყველაფერს გაიგებდი. დღეს არაფერი იწერება. რატომ არ შეიძლება კულტურული ინტეგრირება მოხდეს?!. ახალგაზრდებს ვურჩევდი, რომ თავად მოძებნონ თანატოლი ნიუ იორკელი მწერლების ჯგუფები, დაუკავშირდნენ მათ და თარგმნონ მათი შემოქმედება. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს საქართველოში გაჩერებულია შემოქმედებითი პროცესები. აქ ვხედავ, უბრალოდ, ნიღაბს ლექსების კითხვის სახით.

პოეტი დავით რობაქიძე: თუ პოეზიას ღმერთის სტატუსს «ვათხოვებთ», მაშინ მომავალი ნიცშე დაწერს: «პოეზია მოკვდა, ასე იტყოდა ჩიხლაძე». ვერ გეტყვით, რა მოჰყვება ამას ინტერნეტ _ ფორუმებზე ან რას იტყვიან თვითონ პოეტები, მაგრამ ფაქტია, რომ ჩიხლაძე აფიქსირებს მიმდინარე დროში გაწერილ, დერიდა-ბოდრიარის მიერ გამოძიებულ და დამკვიდრებულ ტენდენციებს, რომლებიც, სხვათა შორის, კონკრეტულ ენობრივ გარემოზე ორგანიზდება და, სამწუხაროდ, პრეტენზია აქვს, დაფაროს სხვა ენობრივი უმცირესობები. ბატონი დავით ჩიხლაძე კონკრეტულ გამოცდილებაზე დაყრდნობით გვიმხელს იმ რეალურ ვითარებას, რაც პოეზიას - შეემთხვა თავგადასავლეთში-, რაც თვითონ იგრძნო «იოკნაპატოფისა» და «უნაყოფო მიწაზე» ყოფნისას. ჩემთვის, პირადად, ჩიხლაძე ღმერთის მიერ გაგზავნილი და დაბრუნებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზავნილია ცნობიერების ამ სახლში მობინადრე პოეტებისათვის და ვიმედოვნებ, რომ მასაც ერგება სათანადო ადგილი. რაც შეეხება იმას, რომ პოეზია «მოკვდა». თქვე დალოცვილებო, მარცვალიც კვდება და ამოდის! (რამდენმარცვლიანს დათესავ, იმდენმარცვლიანს მოიმკი): აქედანვე მიხარია, რომ თავის დროზე ნეშომპალად მივიქცევი და მომავლის ფეხქვეშ გავიფაჩუნებ რობერტო კარლოსის ხმელი ფოთოლივით.

პოეტი ქეთი ნინიძე: მეც ხშირად მიფიქრია, რომ ლექსის კითხვის დროს პოეტი თავის ემოციას ახვევს მსმენელს, ტექსტის სპეციფიკა მაინც უშუალო კითხვაა და არა მოსმენა.

მგონი, გვყავს კარგი პოეტები, კონვენციურებიც და დანარჩენებიც. ასე რომ, პოეზია საქართველოში არ მომკვდარა. თუმცა, ძალიან ბევრი ტექსტი ერთმანეთს ჰგავს (ქალების ხაზი _ მარი-ლუიზე კაშნიცი, კაცი პოეტების _ გინსბერგი, აღარ განვავრცობ). მე მიყვარს ყველა თამამი პოეტი, რომელიც არ ერიდება სიახლეს, ასეთები ცოტანი, მაგრამ მაინც არიან.

მზისფერი: .დღეს მეტად ნერვიული და ისტერიკული დროა. _ რა, სხვა თაობაში ასეთი დრო არ ყოფილა? _ მგონი ბევრად უარესიც.

შეგრძნებას, რომ პოეზია დამთავრდა, გარკვეული თაობის ადამიანების შემდეგ, ნიჭიერების არგულისხმევით სტერეოტიპების ნგრევიდან _ დროის შესაბამისი ენის ვერგამოძებნამდე მივყავართ.

დროის შესატყვისი პოეტი და დრო _ ლიტერატურული, მეტყველებითი, _ და არა მხოლოდ ვიზუალური და თვალზე ორიენტირებული აუდიტორიისა და პოეტის საერთო ხმის ძიებას საით მივყავართ? _ თანამედროვეობამდე, სიახლემდე.

სიახლე? რაღა თქმა უნდა, მისაღები, მაგრამ თანამედროვე ტექნიკით არჩანაცვლებადი, როცა თურმე ასოები კომპიუტერულ ბგერებზე იცვლება და ასე ხმიანდება მსმენელამდე. მე არავირტუალური პოეზიის მომხრე ვარ.

როცა ემოცია მთლიანად იღვრება დარბაზში, სადაც მუზების სტუმრობით გარინდულ ჰაერთან დრო ჩერდება უსუნთქავ სიჩუმედ. და, სადაც ლექსებიდან გადმოსულ პოეტებს ვსტუმრობთ.

პოეზიის დასრულების ასეთ ხმამაღალ განცხადებას ვერ დავეთანხმები.

შეიძლება, უფრო ცუდად ვიცნობ წინა თაობის შემოქმედებას, ვიდრე დღევანდელს.

შეიძლება, პირიქით, მსგავსი ხედვის გაგრძელებას ვხედავ დღესაც.

ბედნიერი კაცი კი მრავლადაა ქვეყანაზე, ვისაც, მართალია, «ჩამოლაბორანტება» არ ასცდება, მაგრამ პირველად წაკითხვის სიამოვნება ელის.

.და კარცერ-ლუქსშიც მუდამ გამოიძებნება ვერდასრულებული პოეზიის წიგნებით სავსე თაროები.

პოეტი და მთარგმნელი ნატო ინგოროყვა: გავიდეთ გარეთ და ვკითხოთ ნებისმიერს: ვინ არის თქვენი საყვარელი პოეტი?

100 გამოკითხულიდან 95 მაინც გეტყვით: ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი. ალბათ, ხვდებით, ეს რასაც ნიშნავს. თუ ლიტერატურაზე ცოტა მეტად შეყვარებული შეგხვდათ, დაგისახელებთ: მურმანს, ნიშნიანიძეს, ანას, ოთარ ჭილაძეს, ბესიკ ხარანაულს, ლია სტურუას.

ლექსით ავადმყოფებმა იციან რატიანი, იათაშვილი, ბაკურაძე, გეთიაშვილი.

იცნობენ ტელეეკრანებიდან ცნობად სახეებს, ამაღლობელს და "სამკაულის" პოეტებს.

ამბობენ, ლექსის ტრადიციულმა ფორმებმა საკუთარი თავი ამოწურაო. მე ვერ დავეთანხმები. პოეტს ლექსის ყველა ფორმაში შეუძლია თქვას სათქმელი, ოღონდ საკუთარი ხმით.

ვინც მეტ-ნაკლებად მაინც იცნობს ლიტერატურას, იფიქრებს, რომ თითქოს ყველაფერი მიგნებული და ამოწურულია.

დღეს მწერალი ხარკს უხდის ენას, რომელზედაც წერს, ამიტომ დადგა ინდივიდების დრო და ცოტა ნაკლებად რაღაც მიმდინარეობების.

მე აქ, ჩვენს "მიკრო" ინტერნეტ სივრცეშიც, მომეპოვება საკუთარი ხმის რამდენიმე ავტორი და მიხარია. ვხედავ მომავლის პოეტებსაც.

გაზეთ _ «ახალ 7 დღეში» გამოქვეყნებულ სტატიებს გამოეხმაურა მწერლები გივი ალხაზიშვილი და მარსიანი.

გივი ალხაზიშვილი: როგორც ყური მოვკარი, თურმე დავით ჩიხლაძე ამტკიცებს, რომ პოეზია გარდაიცვალა და რაც ახლა ლექსად იწერება _ ყველაფერი კიტჩია.

ყურმოკრულ ინფორმაციას ვერ დავეყრდნობი. კონკრეტული ინფორმაცია თუ დაიბეჭდა და სად, იქნებ ვინმემ გამაგებინოს.

როცა პოეზია პოეტში კვდება, მას ჰგონია რომ პოეზია საერთოდ აღარ არსებობს.

საინტერესოა რა არგუმენტები აქვს საკუთარი გულგატეხილობის გარდა, მსოფლიოს ყველა ენაზე გამოიკვლია პოეტური «პროდუქცია», თუ ქართულ-ამერიკული მაგალითებით დაასკვნა _ გარდაიცვალაო?

დათო ჩიხლაძე გულწრფელი ადამიანია და რასაც ამბობს გახსნილად, გამჭვირვალედ ამბობს, რაღაც დოზით ეპატაჟითაც აზავებს გულწრფელიბას, საყოველთაოდ ცნობილ ინფორმაციებსაც მიზნობრივად იყენებს, /იქნებ თვითმიზნურადაც/ და კონცეფციაც მზად არის.

გულწრფელია, როცა ამბობს: «სამი წელია ლექსებს აღარ ვწერ, რადგან არა მაქვს ამის მოთხოვნილება». ვიდრე მის ნააზრევს წავიკითხავდი, ვთქვი კიდეც: როცა პოეტში პოეზია კვდება, მას ეჩვენება რომ პოეზია გარდაიცვალა.

რომ არ გარდაიცვალა იცის, მაგრამ საკუთარი ფრუსტრაციის გასამართლებლად იოლად პოულობს არგუმენტებს, ანუ რეცეპტს, რომელიც იცის, მაგრამ არ გამოადგა და გულუხვად თავაზობს სხვებს. ზოგიერთი მისი რჩევა საფუძველმოკლებული სულაც არ არის და დიდი ხანია მეც ასე ვფიქრობ.

მაეჭვებს ერთი რამ: თუ მას «ორგაზმის» პერფომანსით შესრულების მოთხოვნილება აქვს, მაგრამ ორგანულად არა აქვს ლექსის წერის მოთხონილება, სწორი გადაწყვეტილება მიუღია; ოღონდ არა რემბოს მსგავსად, რადგან რემბო ცოტა განსხვავებული ფენომენი იყო და პირდაპირი პარალელი არ გამოდგება. ის რომ საქართველოში პოეზია მოკვდა, ან კვდება, სამწუხაროდ, წაგებული მოთამაშის

სიტყვებია და ამაოდ ცდილობს იგი ახალგაზრდების გადაბირებას. მომავალში, დღესაც ბევრი ცუდი ლექსი დაიწერება და ცოტა კარგი. მაგრამ აჟიოტაჟის ატეხვა, რომ დათომ ლექსების წერას თავი დაანება, მაგრამ ჩვენ მზა რეცეპტი დაგვიტოვა, თუ როგორ ვწეროთ, შინაბერებისთვის დადგმული გულისამაჩუყებელი ვოდევილია.

ყველაფრის თქმას არ ვაპირებ, რადგან არსებობს უფრო მნიშვნელოვანი მიზეზები და არგუმენტები, თუ რატომ უბრუნდება პოეზია გუტენბერგამდელ ვითარებას და რატომ დადგა ჟამი ლიტერატურის ფრაგმენტაციისა.

ეს მეტად ვრცელი თემაა და სიმართლე გითხრათ, არც კი ვარ დარწმუნებული აინტერესებს თუ არა ვინმეს. თუ საჯარო ბიბლიოთეკის მესვეურები ამ საკითხით დაინტერესდებიან, მიმართონ მეტად კომპეტენტურ მეცნიერს ზაზა შათირიშვილს.

მარსიანი: ამა წლის 30 მაისს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართული შემოქმედებითი საღამო პოეტ დავით ჩიხლაძისა, არაორდინალური აღმოჩნდა იმით, რომ დავით ჩიხლაძემ არცერთი ლექსი არ წაიკითხა და ამის სანაცვლოდ აუდიტორიას შესთავაზა დისკუსია პოეზიის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ (მისი თქმით, პოეზია თვით ამ დისკუსიისთვის შეგვეძლო დაგვერქმია, დისკუსია ჩაგვეთვალა თავისებურ «ლექსად»); მან, განაცხადა, რომ რამდენიმე წელია ლექსი არ დაუწერია, ისიც დასძინა, მგონი პოეზია საერთოდაც დამთავრდაო; მართალია, იგი კატეგორიული არ იყო, მხოლოდ თავის შეგრძნებებს თუ დაკვირვებებს აფიქსირებდა, მაგრამ აუდიტორიის რეაქცია საკმაოდ მძაფრი გამოდგა: ყველას გულზე მოხვდა პოეტის განაცხადი _ «ისეთი შეგრძნება მაქვს თითქოს საქართველოში შეჩერებულია შემოქმედებითი პროცესები. აქ ვხედავ უბრალოდ ნიღაბს ლექსების კითხვის სახით.»

დისკუსიაში სხვებთან ერთად მეც მივიღე მონაწილეობა. ამ დისკუსიის ჩანაწერის პუბლიკაცია გაზეთმა «ახალმა 7 დღემ» იდო თავს («ამ პარასკევს გაცოცხლებული ის ოთხშაბათი». «ახალი 7დღე.» N23: 15-21 ივნისი. 2003). ჩემი გამოსვლის ტექსტში, სამწუხაროდ, ერთი ისეთი კორექტურული შეცდომა გაიპარა, რომელიც აზრს ამახინჯებს და გაუგებარს ხდის, ამიტომ ბარემ აქვე შემოგთავაზებთ სწორ წაკითხვას; ტექსტში წერია: «ჩვენ რატომღაც ყველა ეპოქისგან, ათწლეულისა და ათასწლეულისგანაც კი ვითხოვთ რაღაც ჭეშმარიტ ღირებულებებს.» ხაზგასმული სიტყვების ნაცვლად უნდა ეწეროს «ასწლეულისა და ათწლეულისგანაც». ამით უკვე გასაგები ხდება ყველაფერი. ათასწლეულს რაც შეეხება, ეს მართლაც დიდი დროა, რამდენიმე ეპოქის მომცველი, და ათასწლეულისგან მართლაც ხამს მოთხოვნა კულტურული ღირებულებებისა, ვთქვათ, ხელოვნების შედევრებისა (ზოგი ქვეყნის კულტურა ათას წელზე მეტი ხნის არცაა); მაგრამ ყოველ ასწლეულში და, მითუმეტეს, ათწლეულში ამგვარი მოთხოვნების წაყენება რომელიმე ქვეყნის კულტურისათვის არარეალურია: შემოქმედებითი მუხტის აკუმულირება და შემდეგ «ამოფრქვევა» (რეალიზება) გამუდმებით, უწყვეტად როდი ხდება ცალკეულ კულტურებში: არის ნაყოფიერი და უნაყოფო პერიოდები. საქართველოსთვის ამ მხრივ მეოცე საუკუნე ერთობ უხვმოსავლიანი აღმოჩნდა: საერთოდ ქართულ კულტურას და კერძოდ პოეზიას მრავალი ჭეშმარიტი ფასეულობა შეემატა.

მაგრამ რას გვიქადის ახალი, ოცდამეერთე საუკუნე? ჩვენ ჯერ კიდევ არ გამოვსულვართ მეოცე საუკუნის მენტალური სივრციდან, არადა დრო რადიკალურად შეიცვალა: აღარ არსებობს საბჭოთა კავშირი, სულ სხვაგვარი პოლიტიკური, ეკონომიკური, ყოფითი, ინტელექტუალური თუ სულიერი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით დაბნეულნი და დეზორიენტირებულნი. მრავალი

ღირებულება გადაფასდა და მრავალი კიდევ გადაფასდება. გადაფასებებს ხშირად მოსდევს, როგორც იტყვიან, «ნაბანი წყლისთვის ბავშვის გადაყოლებაც». ეს საფრთხე დღეს განსაკუთრებით საცნაურია, რადგან კრიტერიუმთა იმგვარ მოშლასა და აღრევასა აქვს ადგილი, რომ ძნელი ხდება, თუნდაც შედევრი განასხვაო უდღეური კიჩისაგან.

ჩემს გამოსვლაში ისიც ვთქვი, რომ რაც აქამდე შეიქმნა ჩვენს პოეზიაში, იმის მართებულად წაკითხვაც დიდად საშური საქმეა: »მართებულად წასაკითხი» ავტორები რომ ჩამოვთვალე, გალაკტიონთან, გრანელთან, სამადაშვილთან ერთად კორნაპელიც გავიხსენე, რომელსაც ცოტანი იცნობენ და აღიარებენ, თუმცა კი უდიდესი პოეტია. თუ პოეზიის მოყვარულნი დაინტერესდებიან, დიდი სიამოვნებით ვიკისრებდი მათ წინაშე გიორგი კორნაპელის პოეზიის შტუდირებას: მე მის შემოქმედებას საფუძვლიანად ვიცნობ, რამდენიმე წერილიც მიმიძღვნია, გარდა ამისა მისი ნაწარმოებების დეკლამაციასაც ვეწევი (შიგადაშიგ რეჩიტატივის თუ მელოდიის გამოყენებით), რაც, ვფიქრობ, ამ ნაწარმოებთა ემოციურ აღქმას გაუადვილებს სმენელებს.

დავით ჩიხლაძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ ნამდვილი პოეტი თავისი დროის შესატყვისად უნდა წერდეს. ეს, რა თქმა უნდა, სრული სიმართლეა. ოღონდ საკითხავი ის არის, კონკრეტულად როგორი შეიძლება იყოს ის პოეტური ფორმები, რომლებიც ადეკვატურად გამოხატავენ დროის სულს და არის კი ეს ფორმები ყოველთვის დაუბრკოლებლად აღქმადი და გასაგები ამა თუ იმ პოეტის თანამედროვე მკითხველისათვის? ხომ არაერთი დიდი პოეტი ვიცით, რომელსაც თავისმა ეპოქამ ვერ გაუგო, მაგალითად, პოლდერლინი, ბარათაშვილი, დიკინსონი. ნიკო სამადაშვილს ლექსებს საერთოდ არ უბეჭდავდნენ და ამიტომ არც არავინ იცნობდა მის შემოქმედებას თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა. ხოლო გიორგი კორნაპელს მწერალთა კავშირის წევრობამ და ათი პოეტური კრებულის სიცოცხლეშივე გამოცემამაც არ უშველა: იგი დღესაც რიგით პოეტად მიაჩნია ქართველ მწერალთა უმრავლესობას და მე ასეთი აზრიც კი ჩამომიყალიბდა _ კორნაპელი არ იყო «თანამედროვე პოეტი», ოღონდ იმის გამო კი არა, რომ თავისი ეპოქის ლიტერატურულ ტენდენციებს ჩამორჩა, არამედ პირიქით, მნიშვნელოვნად გაუსწრო თავის ეპოქას, ალბათ ნახევარი საუკუნით მაინც. ამის გაგება და აღიარება ალბათ მით უფრო გაუძნელდებათ დღევანელ ქართველ პოეტებს, რაც უფრო დიდი პრეტენზიები (თუნდაც სამართლიანი) ექნებათ, რომ თვითონ არიან თანამედროვე ლიტერატურული ტენდენციების გამომხატველნი და ახალი ქართული პოეზიის საჭეთპყრობელნი: ზოგჯერ სწორედ გარეგნული «ძველმოდურობა», ეპოქალურობის გარეგნული ნიშნების ნაკლებობა ამა თუ იმ ხელოვანის შემოქმედებაში არის მიზეზი თანამედროვეთა მიერ მისი ვერშემჩნევის და ვერდაფასებისა. ემილი ვიკინსონი, რომლის სახელმაც სწორედ ამ კონტექსტში გაიჟღერა დავით ჩიხლაძის საღამოზე, დიახაც ეპოქალური პოეტი გახლდათ, ოღონდ არა გარეგნული ნიშნებით; ამიტომაც დარჩა რჩდილში (სხვა მიზეზებთან ერთად) და მხოლოდ მოგვიანებით გახდა ნათელი, რაოდენ ზუსტად, ადეკვატურად და უნივერსალურად გამოხატავდა მისი შემოქმედება მაშინდელი ეპოქის სულს.

საქართველოში მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან პოეზია ძირითადად ბესიკ ხარანაულის გზით განვითარდა და ბუნებრივია, იგი დღეს თავისი და მომდევნო თაობების პოეტთა შორის ცენტრალურ ფიგურად მოიაზრება; გიორგი კორნაპელი კი ამ მაგისტრალური ხაზის მიღმაა დარჩენილი. შეგვიძლია მივმართოთ ანალოგიას ქართული კლასიკური პოეზიიდან: ვაჟა-ფშაველა აკაკის თანამედროვე იყო და მისი

შემოქმედების სათანადო შეცნობა და შეფასება იმის გამოც შეფერხდა, რომ მაშინ აკაკის სკოლის პრინციპები ბატონობდა, ის იყო მაშინდელი ლიტერატურული ტენდენციების გამომხატველი; ვაჟა კი საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი ჩანდა და მრავალთა მიერ «ჩამორჩენილ პრიმიტივადაც» კი იყო შერაცხული ათეული წლების მანძილზე. სინამდვილეში იგი თავის დროს უსწრებდა, როგორც შემდეგ გაირკვა, ვფიქრობ; გიორგი კორნაპელიც რამდენადმე ვაჟა-ფშაველას ბედს იზიარებს.

გიორგი კორნაპელი უკვე ათი წლის გარდაცვლილია და, მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, მისი პოპულარიზების საქმე ჯერჯერობით დიდად ვერ დავძარით ადგილიდან მისმა თაყვანისმცემლებმა. ეგ კი არა, ჩემმა დაურიდებელმა განაცხადმა კორნაპელის გენიოსობის შესახებ გარკვეული გაღიზიანებაც გამოიწვია მწერალთა შორის. ალბათ ჩემი მეორე განაცხადიც _ საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი ათიოდე დიდი პოეტი კიდევ მეგულება _ მეთქი _ გააღიზიანებს მავანთ, მაგრამ რა ვქნა, ასე მჯერა. დიდი ხანია ოცნებად მაქვს გადაქცეული, ერთი პოეტური კრებული შევადგინო და მასში ჩემთვის მოსაწონი ის ავტორები შევიყვანო, რომელთაც არავინ ახსენებს თანამედროვე ლიტერატურის ავ-კარგზე საუბრისას, რადგან არავინ იცის მათი არსებობა. გარკვეული მიზეზის გამო აქ არც დავასახელებ ამ ავტორებს (მხოლოდ მათი სახელები საზოგადოებისთვის არაფრისმთქმელი იქნება), მაგრამ თუ ვინმე იკისრებს ჩემი საოცნებო კრებულის გამოცემას, მარსიანულ სიტყვას ვაძლევ, ეს საუკუნის წიგნი იქნება: ამ წიგნში შედევრების რიცხვი გაცილებით გადააჭარბებს უბრალოდ კარგი და საშუალო ნაწარმოებების რიცხვს, ხოლო სუსტი, არაფრისმთქმელი ლექსი აქ საერთოდ ვერ გაჭაჭანდება და ეს მოხდება იმიტომ, რომ მასალის შერჩევისას მე ვიქნები განუსაზღვრელად უფლებამოსილი _ არავის, თვით ავტორებსაც კი არ ვკითხავ რა შევიტანო და რა არა ამ კრებულში: «სამოსელი პირველის» დონ დიეგოსი არ იყოს, აქ «მხოლოდ მე და ჩემი კეთილშობილი თავი ვიქნებით პასუხისმგებელნი.»

ამ წიგნს მინდა «პარალელური სამყაროს პოეზია» ვუწოდო. პარალელური იმიტომ, რომ ეს პოეტური სამყარო აქვეა, ამავე სივრცეშია, ოღონდ გამოუმზეურებელი, ხედვის ფოკუსს აცდენილი. ის არამც და არამც «მეორადობის» სტატუსს არ იმსახურებს, პირიქით, მისი სათანადოდ გამომჟღავნებით შესაძლოა არაერთი «პირველადად» შერაცხული თუ თვითაღიარებული სახელი «გამეორადდეს» და, საერთოდ, ლიტერატურული პროცესის დღევანდელ სურათში არაერთი არსებითი კორექტივი იქნას შეტანილი.

დავით ჩიხლაძის აქციამ (დიახ, ეს აქცია იყო და არა უბრალო გასაუბრება აუდიტორიასთან) მხოლოდ უშუალო რეაქცია როდი გამოიწვია: მისგან შემოთავაზებული დისკუსია იმ დარბაზშივე არ დამთავრებულა _ «ახალი 7 დღის» მომდევნო, 24-ე ნომერში სათაურით «თუ პოეზიას ღმერთის სტატუსს «ვათხოვებთ» დაიბეჭდა ლიტერატურულ საიტებზე დაფიქსირებული გამოხმაურებანი მის მოსაზრებებზე. გამოხმაურებათა ავტორები, უეჭველია, ახალგაზრდები არიან: ისინი კამათობენ, არ ეთანხმებიან ან პირიქით, ეთანხმებიან, საინტერესოდ მსჯელობენ, თავიანთ პოზიციას გამოხატავენ. რასაკვირველია, ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ პოეზიამ თავისი თავი ამოწურა და პოეტებს დადუმების მეტი არაფერი დარჩენიათ. მართალია დავით ჩიხლაძეს მთლად ასე რადიკალურად არ დაუსვამს საკითხი, მაგრამ, როგორც ჩანს, მისმა სკეპტიკურმა განაცხადმა (რომელიც ნამდვილად არ იყო საფუძველს მოკლებული) მრავალთა პოეტურ ენთუზიაზმს ცივი წყალი გადაასხა. ეს კი, ვფიქრობ, საჭირო პროცედურა გახლავთ (ცივი წყლის პროცედურები სხეულს

აკაჟებს). საკუთარი თავით ტკბობას რომ არ მივეცეთ და მართლა რომ არ ჩამოვრჩეთ დროს, სწორედ ამისთვისაა საჭირო მსგავსი გამომაფხიზლებელი შეძახილი.

ოღონდ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, საკითხავი ის არის, კონკრეტულად როგორი შეიძლება იყოს თანამედროვეობის სულის ადეკვატურად გამომხატველი პოეტური ფორმები? მგონი სადღეისოდ იმ ეტაპზე მივიდა ლიტერატურა (არამარტო «მოწინავე» დასავლეთში, არამედ ჩვენთანაც), რომ ყოველგვარმა ავანგარდულმა და მოდერნულ-პოსტმოდერნულმა ნოვაციებმა თავისი ისტორიული როლი უკვე შეასრულა და თავისი თავი ამოწურა. დავით ჩიხლაძე მართალს ამბობს _ ჩვენში დღეს ბევრი მიუბრუნდა ტრადიციულ, კონვენციურ ლექსს, ოღონდ კიჩის დონეზე; არადა, კლასიკური ფორმებისაკენ მიბრუნებას მართლაც რა აზრი აქვს, თუ ამ სფეროში ხარისხობრივად და თვისობრივად ახალ შედეგებს არ მივაღწევთ? პოლ ვალერისა არ იყოს, «ვისაც ოცდახუთწლიანი ასაკის შემდეგ პოეტად დარჩენა სურს, მან უნდა გასწიოს უდიდესი შრომა.» დიახ, შრომაა საჭირო კლასიკური ფორმების ყოველმხრივ ათვისებისა და მათში ინდივიდუალურ სიახლეთა შეტანისათვის. ამავე დროს არც ალტერნატიული პოეზიის მიღწევათა გვერდის ავლა შეიძლება, პირიქით, ალტერნატიულ ფორმებსაც კლასიკური გამძლეობის, დროში შედეგობის თვისება უნდა შევძინოთ: ტომას სტერნზ ელიოტი უდიდესი მოდერნისტიცაა და უდიდესი ნეოკლასიცისტიც.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოეტური ნაწარმოების შეფასების მთავარი კრიტერიუმი მაინც მისი მხატვრული დონეა. სასურველი დონის მიღწევას კი ოსტატობა სჭირდება და ალბათ აჯობებს, პოეტებმა ამ მხრივ გააძლიერონ თავიანთი აქტივობა და ნაკლები დრო დაუთმონ ისეთ არალიტერატურულ ქმედებებს, როგორიცაა საზოგადოების ეპატაჟის მცდელობა, ნონკონფორმისტული იმიჯის შესაქმნელად გამიზნული ფოკუსები, «რევოლუციური» ბუნტარობა. ეს ყოველივე უკვე ჩავლილ მეოცე საუკუნეს დავუტოვოთ, რომელთან ერთადაც დამთავრდა მოდერნიზაციის ეპოქა.

26.06.2007

ი ხ ს ნ ი ს თ უ ა რ ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი კ რ ი ტ ი კ ა პ ო ე ზ ი ა ს უ ნ ი ჭ ო ბ ი ს ს ე ნ ი ს გ ა ნ ?

ლიტერატურული კრიტიკის არსებობა-არარსებობის, კრიტიკულად ნათქვამის კარგად გამგების პრობლემა ლიტერატურულ წრეებში აქტუალურია. ამიტომაც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ «ებლიტფოზე» არავის გაუკვირდა, როცა ახალგაზრდა პოეტის, გიორგი საჯაიას, ინიციატივით წამოწყებულმა საუბარმა დისკუსია გამოიწვია.

გამოხმაურება იმდენად საინტერესოდ მოგვეჩვენა, რომ გადავწყვიტეთ, სამი პოეტის საუბარი, ხანდახან კი _ კამათი, «ებლიტფოს» საზღვრებს გარეთ გავიტანოთ და უფრო დიდ აუდიტორიას მივაწოდოთ. იმ სამი ახალგაზრდა პოეტის, რომელთა აზრებს თანამედროვე კრიტიკასა და მის დანიშნულებაზე ქვემოთ გაეცნობით, არიან: გიორგი საჯაია და ჰექსე (ახალგაზრდა პოეტმა ქალმა თავისი ნამდვილი სახელისა და გვარის გამხელა არ ისურვა, ამიტომ «ახალი 7 დღის» მკითხველთათვის ისევე,

როგორც, «ებლიტფოს» წევრებისთვის იგი უბრალოდ ჰექსედ დარჩება) და მათი უფროსი კოლეგა პოეტი და მთარგმნელი გივი ალხაზიშვილი.

გიორგი საჯაია: მუჰამედის არ იყოს, თუ კრიტიკა არ მოდის ჩვენთან, ჩვენ თვითონ უნდა მივიდეთ კრიტიკასთან. მაგრამ იმისათვის, რომ ერთმა ავტორმა მეორე ავტორის ნაწარმოების მეტ-ნაკლებად პროფესიონალური და ზუსტი ანალიზი მოახდინოს, სულ მცირე საჭირო ტერმინოლოგიის ცოდნაა სავალდებულო.

საჭიროა, გაიხსნას თემა, სადაც მცირე განმარტებითი ლექსიკონის სახით მოხდება ვერსიფიკაციასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის აკუმულირება. ამით ლიტერატურული ფორუმის მომხმარებლებს საშუალება ექნებათ მიიღონ საჭირო ინფორმაცია. შემდეგ უნდა გაკეთდეს მონახაზი, ერთგვარი სახელმძღვანელო, რომლითაც განსაზღვრული იქნება პოეტურ ნაწარმოებზე ანალიტიკური მუშაობის ალგორითმები. ერთი სიტყვით, საჭიროდ მიმაჩნია ლიტერატურული კრიტიკის საფუძვლების შესწავლა, თუნდაც იმისათვის, რომ, როდესაც რომელიმე ავტორის ნამუშევრის განხილვას დავაპირებ, ყელში არ მეცეს (როგორც ეს ხშირ შემთხვევაში ხდება) და მისთვისაც გასაგები იყოს, რაზეა საუბარი.

არ ვიცი, ამ იდეის განხორციელება რამდენად იქნება შესაძლებელი, მაგრამ მიმაჩნია, რომ სხვანაირად არაფერი გამოვა და ფორუმზე ლიტერატურული კრიტიკის კულტურის დამკვიდრების ნებისმიერი მცდელობა, წყლის ნაყვა იქნება და სხვა არაფერი.

ჰექსე: ამ თემის გახსნა უდაოდ კარგი იქნება. თუმცა, მიმაჩნია, რომ ლიტმცოდნეობითი ტერმინოლოგიის შესწავლა ლიტერატურული დისკუსიის კულტურის დამკვიდრებისათვის გადამწყვეტი არ არის (ხაზს ვუსვამ, საჭირო და სასურველია, მაგრამ გადამწყვეტი და სავალდებულო _ არა). ტერმინების სწავლა ძალიან ადვილია და არა მგონია უმეტესობამ არ იცოდეს ისინი. ასევე, ადვილია ტექსტის წაკითხვაც, მაგრამ ეს ორი რამ არც თუ პირდაპირ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და წაკითხულის აღქმას ვერც ტერმინების ცოდნა წაადგება დიდად და ვერც "პოეტურ ნაწარმოებზე ანალიტიკური მუშაობის ალგორითმები". ეს უკანასკნელი მეც არ მესმის და შესწავლა მომიწევს. თუმცა, ცუდი მკითხველი არა ვარ და ლიტერატურის შესახებ საუბარი ფორუმის დონეზე მაინც შემიძლია.

ვფიქრობ, ლიტერატურული დისკუსიის, ლიტერატურული კრიტიკის კულტურის ჩამოყალიბებას ბიძგი, სტიმული, მოტივაცია სჭირდება. აუცილებელია დისკუსიის წამოწყება, ლიტერატურული კრიტიკის კუთხით მაქსიმალურად ბევრი ავტორის ნაწარმოების განხილვა იმ ადამიანების მიერ, ვინც ამ საკითხში საკუთარ თავს მეტ-ნაკლებად კომპეტენტურად მიიჩნევს. ფორუმში არსებობს გივი ალხაზიშვილის მაგალითი, რომლის აზრს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. იგივე ემხვარი, რომელიც ტერმინოლოგიის გარეშე, მხოლოდ საკუთარ ინტუიციასა და ემოციურ აღქმაზე დაყრდნობით "კითხულობს" და წერს, მგონი არანაკლებ საინტერესოა და, მოდი, ნუ მოვთხოვთ ასეთ მკითხველებს, ტერმინოლოგიას "ჩაუჯდნენ" და ლექსებში მარცვლები გვითვალონ. ასევე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ ფორუმის სივრცეში მე არასოდეს მიგრძვნია, ან წამიკითხავს ვინმესგან ვინმეს "ყელში წვდომა". ვერ ვხვდები, რა აძლევს გიორგის ამის თქმის საფუძველს. მით უმეტეს, რომ თვით საჯაიას ავტორობით ამა თუ იმ ლექსის კრიტიკული განხილვა, ან სერიოზული შეფასებები თვალში დიდად არ მომხვედრია. ნებისმიერი მიზნის მიღწევისას მენტორულ ტონსა და გამოსავლის მესიანურ ძიებაზე მეტად პირადი მაგალითი ამართლებს.

გიორგი საჯაია: ლიტერატურულ სივრცეში ძალიან ბევრი (კარგი გაგებით) "თვითნაბადი" ავტორია, ვისაც გივი ალხაზიშვილის კომენტარები არ ესმის. არადა კარგი იქნებოდა გაეგოთ. ისევ მათთვის იქნებოდა სასარგებლო. ლიტერატურაში და მით უფრო პოეზიაში, არც ისე იოლად არის ყველაფერი, როგორც შენ ახლა ცდილობ წარმოაჩინო. კრიტიკა რომ მხოლოდ ინტუიციასა და ემოციას ეყრდნობოდეს, მაშინ დღეს ყველა პოეტი ან მწერალი იქნებოდა. უბედურება ის არის, რომ ამის ტენდენცია უკვე არსებობს და ეს ძალიან საშიშია. დღეს წერას ეპიდემიის სახე აქვს მიღებული, რომლის პროვოცირებასაც ინტერნეტ-სივრცე ძალიან უწყობს ხელს და რომ არა ამ საკითხისადმი პროფესიონალური მიდგომა და ამ «სენის» დროული აღმოფხვრა, ეს შესაძლოა ფატალურიც აღმოჩნდეს ქართული ლიტერატურისთვის. შენ სრული უფლება გაქვს წერო და იკითხო ისე, როგორც საჭიროდ მიგაჩნია და სულაც არ იღო ყურად არავის აზრი, მაგრამ არსებობენ ადამიანები, მათ შორის «ებლიტფოზეც», ვისაც აინტერესებს როგორ და რანაირად უნდა იყოს ვერსიფიკაციით დადგენილი წესის და კანონის გათვალისწინებით პროზა და პოეზია ერთმანეთისგან გამიჯნული. მხოლოდ «ინტუიციის» დონეზე შენი ბევრი ლექსი შეიძლება უბრალოდ ლამაზ პროზაულ მინიატურად აღვიქვა და შესაბამისად, მყარი არგუმენტი მჭირდება იმისათვის, რომ ის პოეზიის სივრცეში დავტოვო. თუ სერიოზულ კრიტიკაზეა საუბარი, მაშინ ყველაფერი ნულიდან არის დასაწყები. შემიძლია "შავი სამუშაო" საკუთარ თავზეც ავიღო, შემიძლია არც ავიღო და უბრალოდ ჩემი საქმე ვაკეთო, ანუ ვწერო და პერიოდულად თვალი გადავავლო ფორუმზე განთავსებულ საინტერესო კომენტარებს, რომლებიც არც თუ ისე ხშირია.

ჩემს მიერ განხილული ტექსტი და მისი შეფასება რომ არ შეგხვედრია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არაფერი მაქვს სათქმელი. პირადად შენთვისაც ბევრი მაქვს სათქმელი და გეტყოდი კიდეც, რომ არა შენი ერთი უცნაური თვისება. ყველაფერზე საკუთარი მოსაზრება გაქვს და უარყოფით აზრზე ისე რეაგირებ, როგორც ბუში ირანის ატომურ პროგრამაზე. კრიტიკის კულტურის გარდა, სხვა კულტურაც არსებობს, რომელსაც მოსმენის კულტურა ჰქვია და რომლის არმქონე ავტორის ნაწარმოების განხილვის სურვილი, რაღა დაგიმალო და არავის აქვს. შევეცადე, ერთხელ შენთვის მეგობრული რჩევა მომეცა, მაგრამ მაშინაც საპასუხოდ არაადეკვატური რეაქცია მივიღე. ასე რომ, კრიტიკამდე ჩვენ ძალიან ბევრი რამ გვაქვს სასწავლი და პირველ რიგში ის, რომ სიტყვა "სწავლა" არამც და არამც არ არის შეურაცხმყოფელი.

ჰექსე: გიორგი, მე მგონი, შენ არასწორად გამიგე. ნებისმიერ წამოწყებაში წარმატებას გისურვებ და მივესალმები ასეთი თემის გახსნას. არ ვიცი, რატომ მოგეჩვენა, რომ მე ვცდილობ, იოლად წარმოვაჩინო ყველაფერი. ხელოვნურ და არაგულწრფელ გართულებას რომ ვერიდები, სხვა საკითხია. ნამდვილად არ მგონია, რომ წერა "სენადაა" ქცეული და მით უმეტეს, მავანის პირველი ლიტერატურული მცდელობები ფატალური შეიძლება გახდეს. ლიტერატურული საიტები იმისთვის არსებობს, რომ ნებისმიერმა მსურველმა დადოს თავისი ნაწერი და ამაში ლიტერატურის განვითარებისთვის ვერც ცუდს და ვერც საბედისწეროს ვერაფერს ვხედავ. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ სწორედ დამწყებ ავტორებს არ ახასიათებთ ამბიციურობა და პრეტენზიულობა, რასაც ვერ ვიტყვით ბევრ ცნობად ავტორზე და მოდი, მაშინ ვთქვათ, რა უფრო ცუდია ლიტერატურისთვის, როცა ღიმილისმომგვრელი და უპრეტენზიო ტექსტები უჩუმრად იკარგება საიტების არქივში, თუ როდესაც ამა თუ იმ ავტორის საეჭვო ლიტერატურული ღირებულების მქონე ნაწარმოებს შედევრად გვასაღებენ. თუმცა, ეს სულ სხვა დისკუსიის თემაა.

ბატონი გივის კომენტარები, რომელიც ამა თუ იმ ავტორის ლექსს მოჰყვება ხოლმე, ბუნებრივია, შენ წარმოიდგინე, გასაგებიც კი (ავტორებზე ასეთი დაბალი აზრის ნუ ხარ) და რაც მთავარია, აზრიც აქვს და ავტორსაც უწყობს ხელს განვითარებასა და თვითრწმენის მოპოვებაში, თუნდაც შეცდომების გადალახვაში, რაც მე საკუთარ თავზეც გამომიცდია და სხვების მაგალითზეც მინახავს. ბევრისთვის შენი კომენტარები და შენიშვნებიც ძალიან საინტერესო იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, ამისთვის თემის სახით ცალკე სივრცე არ არის აუცილებელი. ისედაც დიდი ყურადღებით მოგისმენს ნებისმიერი ავტორი, მათ შორის მეც და არაფერი გიშლის ხელს, რომ შენი გამოხმაურებებით და თუნდაც კრიტიკით ხელი შეუწყო შენთვის საინტერესო პროცესების განვითარებას. რაც შეეხება მოსმენის კულტურის არქონას და "უარყოფით აზრზე რეაგირებას", ამ შენიშვნას ვერ მივიღებ. როცა ასეთ რამეს ამბობ, მეტი არგუმენტაცია და დამამატკიცებელი საბუთი გჭირდება, თორემ აქედან შეურაცხყოფამდე არც თუ ისე შორია.

გიორგი საჯაია: თავად ვარ ერთ-ერთი პროექტის თანაავტორი და კარგად ვიცი, ლიტერატურული საიტები იმისთვის არსებობს, რომ ემსახურებოდნენ:

ა) ნიჭიერი შემოქმედი ახალგაზრდების წარმოჩენასა და შემდგომ პოპულარიზაციას;

ბ) საქართველოში მხატვრული ლიტერატურისადმი ინტერესის ამაღლებას;

გ) მხატვრული ლიტერატურის როლის გაძლიერებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

დ) თანამედროვე ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ურთიერთ ინტეგრაციას;

ე) ლიტერატურით დაინტერესებულ ადამიანთა ურთიერთგაცნობას, ინტერნეტ კონფერენციებისა და დისკუსიების გამართვას;

ვ) ლიტერატურული კრიტიკის განვითარებას;

ზ) ლიტერატურის ისტორიის ფართო მასებისათვის გაცნობას.

ლიტერატურულ ინტერნეტ-სივრცეში რომ ასეთი არეულობაა, სწორედ კრიტიკისა და ცენზურის არარსებობის ბრალია.

გივი ალხაზიშვილის კომენტარები რომ ბუნებრივი და ზედმიწევნით ზუსტია, ამაში ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ რამდენად გასაგები, ეს სულ სხვა თემაა. რა დააშავეს მათ, ვინც არ იცის და აინტერესებს ვერსიფიკაციასთან დაკავშირებული ელემენტარული ტერმინოლოგიის განსაზღვრება? ამიტომაც ვამბობ, მგონი არ იქნება ურიგო, ასეთი "ლექსიკონისთვის" ერთი თემის გამოყოფა.

ავტორებს ძალიან დიდი მოთმინება და თავშეკავება გვმართებს მკითხველთან ურთიერთობისას და მასთან პოლემიკაში შესვლა, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ უარყოფითი აზრი გამოთქვა (თუ რა თქმა უნდა ეს აზრი შეურაცხმყოფელი არ არის), დადებითად ვერანაირად ვერ აისახება ვერც ჩვენს იმიჯზე და ვერც ჩვენს შემოქმედებაზე. შენიშვნა, სხვა არაფერია თუ არა სტიმული, რომ უკეთესად ვწეროთ.

ჰექსე: ლიტერატურული საიტების დანიშნულებაზე კამათს არ ვაპირებ. კონცეფცია გასაგებია. შენს მიერ ჩამოყალიბებული შვიდივე პუნქტი შესანიშნავად ჟღერს, მაგრამ სად დაინახე შენ წინააღმდეგობა ამ პუნქტებსა და ჩემს ნათქვამს შორის. განსაკუთრებით პირველი პუნქტის განხორციელება რანაირად გესახება, თუ ავტორებს ნაწარმოებების განთავსების უფლება შეზღუდული ექნებათ? ან როგორ შეიძლება კრიტიკისა და ცენზურის (მე აქ ლიტერატურულ ცენზურას ვგულისხმობ და არა ეთიკურს) ერთსა და იმავე კონტექსტში გვერდიგვერდ მოხსენიება? კრიტიკა თუ მოისუსტებს, ეს შემფასებლების ბრალია და არა იმის, ვინც წერს და აქვეყნებს.

ცენზურა საერთოდ რა მოსატანია. მხოლოდ "არეულობაზე" საუბარი, არ არის გამართლებული, როცა რეალურად არაფერი კეთდება მიმართულებებისა და ტენდენციების დასადგენად, ზღვა მასალის გარკვეულ კალაპოტში მოსაქცევად, როცა ახალ ავტორებს შემფასებლების უმეტესობა არც კი კითხულობს და ინტერნეტ-სივრცეს ერთმანეთისთვის დითირამბების საწერად იყენებენ. ჩამოწერილი პუნქტები მეტისმეტად ლამაზად ჟღერს. იქნებ ყველამ საკუთარ თავს დაუსვას შეკითხვა, რას აკეთებს ამ პრინციპების განსახორციელებლად. საქმეც მაგაშია, რომ ინტერნეტ-სივრცე, გარდა ტექსტების განთავსებისა, დიალოგისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, პოლემიკისთვისაც არსებობს. ალბათ დამეთანხმებით, ცუდია, როცა ლიტერატურული პოლემიკა ვინმეს აშინებს და მეც ამის დამტკიცებას ვცდილობ. არც ერთი კრიტიკული აზრი არ დამიტოვებია უყურადღებოდ. თუმცა, კრიტიკა ბევრი არც მიმიღია, რასაც ვერ ვიტყვი შეურაცხყოფაზე. ჩემთვის მიუღებელი და აუტანელი პოლემიკაში პიროვნული ფაქტორების გარევაა. მე ეს ზღვარი არასოდეს გადამილახავს და შესაბამისად, უფლებას ვიტოვებ, სხვებისგანაც იგივე მოვითხოვო ჩემს მიმართ.

გივი ალხაზიშვილი: ნუ ვიკინკლავებთ, მეგობრებო. ვეჭვობ, ვერსიფიკაციის სწავლა საკმარისი იყოს პოეზიის შესაქმნელად, მაგრამ ვაგნერმა თუ იცოდა ვერსიფიკაცია, რატომ არ უნდა იცოდეს პოეტობის მოსურნემ? რომელიმე სალექსო ფორმის ან საზომის აპრიორულად უარყოფა სიბრიყვეა და ამ ჭრილში რომელიმეს პოეზიად მიჩნევა, ან უარყოფა ნონსენსია. ლექსის მხოლოდ ფორმალისტური მხარე, მხატვრული მთლიანობის გაუთვალისწინებლად, ჩემთვის მიუღებელია. ნუ შევალთ ჩიხში და ნუ დავუპირისპირებთ ერთმანეთს პოეზიის გამოხატვის საშუალებებს. უფრო პროფესიონალური საუბარი გვმართებს. თუ ვინმე ტერმინებით საუბრობს და მკითხველს არ ესმის, ამისთვის საჭიროა ლექსიკონში ჩახედვა და ელემენტარული განსწავლა.

უვიცობა, უწიგნურობა, წერის სენი, ამაზე მეტად იყო საუკუნის დასაწყისში, შემდგომ პერიოდებში და ჩემი სტუდენტობის დროსაც 60-იან წლებში.

უნივერსიტეტში ათასამდე სტუდენტი წერდა. სად არიან ისინი? თუმც, რა საკვირველია, მას შემდეგ ხომ მრისხანე 48 წელია. გალაკტიონი.

გადარჩება მხოლოდ ნიჭიერი ავტორი, და იმასაც უნდა შევეგუოთ, რომ ბორხსისა და ბონფუასი არ იყოს, არსებობს მწერლის დროებითი უკვდავება და არა უკვდავება. შეიძლება ჯერ ამ თემაზე არც გიფიქრიათ, მაგრამ მოგიწევთ.

გავაგრძელებ: გადარჩება მხოლოდ ის, ვისაც თავისი ნიჭი გადაარჩენს.

ნიჭის თვისება კი გარჯა, შემეცნება, სწრაფვა, კლასიკური გამოცდილების ათვისებაა და მხოლოდ ამის შემდეგ არის სიახლის გამუდმებული ძებნა. პოეზია არავისგან არ ისწავლება. ინდივიდმა თვითონ უნდა ისწავლოს დიდი ავტორებისგან, წიგნებიდან და რაც მთავრია, ტრანსცენდენტისგან. ეს პროცესია და არა სემინარული მეცადინეობა. ვინც ვერ ხვდება რა უნდა ისწავლოს, მას შემდეგაც კი, როცა მეგობრულად ურჩევ რამეს და არამც და არამც დაცინვით, უნდა მივხვდეთ რომ ნაკლულ ნიჭთან გვაქვს საქმე და უნდა შევეშვათ.

70-იან წლებში ნაყეს წყალი შოთა ნიშნიანიძემ და მამუკა წიკლაურმა. ერთი კლასიკურ ლექსს იცავდა და ვერლიბრს ანადგურებდა, ხოლო მეორე ვერლიბრს აღმერთებდა. ეს უკვე იყო და ასეთმა დავამ არაფერი მოგვცა. ზოგად-თეორიული სახის ლექციებს კონკრეტულ ლექსებზე მსჯელობა სჯობს. ამ მსჯელობისას, გინდა ტერმინები გამოიყენეთ, გინდა არა. ვისაც რაიმეს გაგება სურს, აიღებს ლექსიკონს, იპოვის მაგალითს და გეზსაც მიაგნებს. დასავლეთის უნივერსიტეტებში

ლიტერატურით დაინტერესებული სტუდენტები დაოსტატების კურსებს გადიან. თითო-ოროლა თუ გამოდის მათგან მწერალი. დანარჩენებმა მხატვრული ნაწარმოების შექმნის მთელი სამზარეულო იციან, მაგრამ ნიჭი არსად ისწავლება.

აკაკის დროს მასზე პოპულარული პოეტი გრიგოლ აბაშიძე იყო, გალაკტიონის დროს _ ვინმე ხეჩუაშვილი. პოპულარობა არასოდეს არ განსაზღვრავს ხარისხს, პირიქით, პოეტის პოპულარობა იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია საეჭვო გემოვნების მკითხველებით (ისინი ყოველთვის უმრავლესობაში არიან), მანიპულირება. პროფესიონალთათვის ეს მყისიერად მისახვედრია, მაგრამ სახელი გვიან ერქმევა. ამ საცდუნებელს ბევრი გადაჰყვა და ისინი ნაკლული ნიჭის ადამიანები იყვნენ. ასეთები დღესაც არიან.

გიორგი საჯაია: ჰექსე, ყველა პუნქტს აღარ ჩავუღრმავდები. არსებული რეალობიდან გამომდინარე, ფაქტები თავად მეტყველებენ ჭეშმარიტებაზე.

ცენზურაში იმას არ ვგულისხმობ, რომ ფორუმის ადმინისტრაციამ შენიშვნა მომცეს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემს მიერ მიწოდებულ ტექსტში, რაიმე ზედმეტად ვულგარულად მოეჩვენა. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი, არა მგონია, კონკრეტული მაგალითების მოყვანა იყოს საჭირო. დღეს რომ «თრეში» გაცილებით უფრო აქტუალური და პოპულალურია, ვიდრე მეტ-ნაკლებად ღირებული ლიტერატურა, ჩემი აზრით, ეს უკვე ტრაგედიაა და სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა «ფატალურ» შედეგებზე მქონდა საუბარი. პოლემიკა ცუდი არ არის, პირიქით, ჭეშმარიტება კამათში იბადებაო _ ნათქვამია, მაგრამ გააჩნია ვითარებას და რაც მთავარია, საგანს. ლიტერატურული კრიტიკის დამკვიდრების თვალსაზრისით «საიტის მესვეურებს» სერიოზული და ძალიან შრომატევადი სამუშაო აქვთ ჩასატარებელი, მაგრამ მთავარია საიდანღაც დავიწყოთ. ჩემი აზრით, ნულიდან, «ანა-ბანადან» უნდა დავიწყოთ და არა ასე ქაოტურად, როგორც ახლა ხდება.

როდესაც გივი ალხაზიშვილი უვიცობაზე, უწიგნურობაზე, წერის სენზე საუბრობს, ერთი, ფრიად დელიკატური მომენტია გასათვალისწინებელი. დღეს, უახლესი ტექნოლოგიების ეპოქაში, «ავტორთა თვითრეალიზაციისთვის», გაცილებით მეტი იოლი და მოქნილი მექანიზმი არსებობს, ვიდრე თუნდაც ოციოდე წლის წინ.

ციტირებას ვახდენ ზაზა ბიბილაშვილის 2001 წლის სტატიიდან: «ავანსცენაზე მოქმედი ენერგიული კონტინგენტის აქტიურობა ქმნის ილუზიას, რომ ლიტერატურა დღეს ზუსტად აი, ამ მიმართულებით ვითარდება. ეს ილუზია დროთა განმავლობაში, ფსიქოლოგიური ზეწოლის წყალობითა და სხვა მიზეზებით, რეალობად იქცევა.

ზაზასი არ იყოს, ეს საკითხი მეც ძალიან მაფიქრებს. არ შეიძლება ნებისმიერი ტრიბუნა იქნას გამოყენებული იმისათვის, რომ ნებისმიერი «ავტორი» ავიდეს მასზე და ლექსი წაიკითხოს! ნუთუ ასე იყო ადრეც? არამც და არამც. ღმერთმა იცის, ასე სადამდე მივალთ.

გივი ალხაზიშვილი: გიორგი, მე არაფერი მითქვამს ქაოტურად. უბრალოდ, ჩემი აზრი გამოვთქვი საიტელთა განსწავლის თაობაზე. ვახსენე დასავლეთის უნივერსიტეტების ე. წ. მასტერ-კლასები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვან ავტორიტეტებს მიჰყავთ. თავის დროზე, დაოსტატების კურსებს რობერტ ლოუელი, ბროდსკი და სხვები უძღვებოდნენ. ამ საიტზე მსგავს ავტორიტეტებს, თუნდაც ისეთს, ჩვენს დღევანდელობას რომ შეეფერება, ვერავის ვხედავ, ჩემი ჩათვლით. ვისაც ჰგონია, რომ ამ სირთულეს დაძლევს, მანვე იკისროს ამ წამოწყების შესრულება.

რაც შეეხება ჰექსეს, ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ვირტუალურ სივრცეში და იგი შენიშვნასაც ითვალისწინებს, მისმენს და წარმატებითაც ვითარდება. როცა მის ლექსებს შენ პროზაულ მინიატურებს უწოდებ, ჩემს ბოსტანში ისვრი კენჭებს.

თითქოს მე ვერ ვარჩევდე ლექსს პროზისაგან, ასე გამოგივიდა. ჩვენმა მიმოწერამაც დამანახა, რომ ჰექსე ნიჭიერებასთან ერთად, წიგნიერი და კულტურული ადამიანია, მე ბევრს ველი მისგან. შენ თუ არ გჯერა, ეს შენი საქმეა და ვერც ვერავინ დაგიშლის. მიმოწერებით ვთანამშრომლობ კიდევ რამდენიმე ნიჭიერ პოეტთან, მათგანაც ბევრს ველი, მაგრამ აღარ დავასახელებ, არ არის საჭირო. ვფიქრობ, ეს კონკრეტული საქმეა და ასეთი ფორმატი მირჩევნია თვითმიზნურ დისკუსიებს თანამშრომლობისთვის.

შენ რა გინდა, ინტერნეტის გაკონტროლება და ამ საშუალებით "წერის სენის" ამოძირკვა? მეორედ შეგეშალა. ფიქრობ მე არ ვიცი, რომ ახლა მეტი საშუალებაა პროფანაციისთვის? საწყალი გივი, ინტერნეტს უზის დღედაღამ და არ იცის, რომ 60-იან წლებში ყოველივე ეს არ იყო? მე არ მჯერა თანამედროვე მესიების, არც იმის, ვისაც ჰგონია, რომ იმიტომ მოევლინა ქვეყანას, რომ პოეზია იხსნას უნიჭოთა სენისგან. შენ ერთი რამ შეგიძლია _ წერო უკეთ. მეტს ვერაფერს შეძლებ.

გიორგი საჯაია: არამც და არამც მეგობარო. მე არ მითქვამს, რომ თქვენ სადმე, როდესმე ქაოტურად საუბრობდით. ასეთი რამ არც კი მიფიქრია. რაც შეეხება «ბოსტანს», როდესაც ჰექსეს ლექსებზე ვსაუბრობდი, უბრალოდ ვლაპარაკობდი პირველ პირში, სინამდვილეში კი ვგულისხმობდი იმას, რომ ძალიან ბევრისთვის, ნიშნიანიძე-წიკლაურის სადავო თემა დღემდე დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და არ იქნება ურიგო, თუ ამ საკითხს საბოლოოდ ფარდას ვერ ავხდით, ის მაინც გავაკეთოთ, რომ ვისაც ამის სურვილი ექნება, განვუმარტოთ, რა არის ვერლიბრი. მე პირადად, არც მისი პოეზიის (ცალკეული შემთხვევების გარდა) და მით უფრო არც ვერლიბრის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. არაერთხელ აღმინიშნავს თანაფორუმელებთან პირად საუბრებში, ჰექსეს ნიჭიერება.

გივი ალხაზიშვილი: რა არის ვერლიბრი? ეს არის პოეტური ტექსტი, რომელიც თავისუფალია კონვენციური ვალდებულებებისაგან და არა ნიჭისგან.

კონვენციური ვალდებულებები: რითმა, სტროფი, რიტმი და ა.შ. დასავლური ვერლიბრი უმეტეს წილად ინარჩუნებს რიტმს მკვეთრი მახვილის მეშვეობით და ასე ხდება ტექსტის მუსიკალური ორგანიზება. რადგან ქართულში მკვეთრი მახვილი არ გაგვაჩნია, ვერლიბრში საჭიროა რაიმეთი მისი კომპენსირება და ეს რაიმე არის რიტმი, რომელიც მარცვლების თითებზე დათვლით კი არა, მუსიკალური სმენით ხერხდება. ამას ჩვენში ვერლიბრისტები არ აკეთებენ, ან ვერ აკეთებენ და ხელთ გვრჩება ტექსტი, რომელიც სიმბიოზია და არც ერთ ჟანრს არ განეკუთვნება. ახლა რიტმზე ზოგიერთი ჩვენი საიტელი ზრუნავს.

გიორგი საჯაია: აგაშენათ ღმერთმა! აბა მე თოფი კი არ მისვრია. უბრალოდ ვთქვი, რომ კარგი იქნება, თუ ამ ყველაფრისთვის ცალკე თემას გავხსნით, იოლად ხელმისაწვდომობისთვის. ამ იდეით ადმინისტრაციას მივმართე და რატომ გახდა ის ასეთი დავის საგანი, ვერ ვხვდები.

ჰექსე: ვერ გავიგე, ვერლიბრთან დაკავშირებით ჩემი სახელის ხსენება რას ნიშნავდა. მე მჭირდება ვერლიბრის მნიშვნელობის განმარტება, თუ ჩემი სახელი უბრალოდ ისე, მაგალითისთვის არის მოხსენიებული. ნებისმიერ შემთხვევაში, «გავატარე». მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ კითხვის ნიშანი, რომელზეც შენ საუბრობ, დიდი ხანია მოხსნილია. ახლა აღარავინ დაობს იმაზე, ვერლიბრი სჯობს თუ კონვენციური ლექსთწყობა. სირცხვილიც კია საკითხის ასე დაყენება. ასეთი

თვისობრივი შედარება თანამედროვე ლიტმცოდნეობაში არც არსებობს, უფრო სწორად, განვლილი ეტაპია. და კიდევ ერთი, თემის გახსნასთან დაკავშირებით სადაო არც არაფერია. დავის საგანი ამ შემთხვევაში ზოგადი დამოკიდებულებაა და არ მიმაჩნია, რომ ამაზე საუბარი გასაკვირია, ან უაზრო. მაინც მტკიცედ ვრჩები ჩემს მოსაზრებაზე, რომ მას, ვისაც მართლა და არა მოჩვენებითად, რაიმე დადებითის გაკეთება სურს თანამედროვე ლიტერატურული პროცესებისთვის, დამატებითი თემებისა და სტატუსების გარეშეც აქვს ამის ყველანაირი საშუალება, მით უფრო, ვირტუალურ სივრცეში. ხოლო თუ «კონკრეტულად ადმინისტრაციას» მიმართე (თუმცა, კარგად არ მესმის ფორუმის საჯარო სივრცეში ეს რას ნიშნავს, როცა პირადი მიმოწერის უამრავი საშუალება არსებობს?), მაშინ ისიც დაგემატებინა, უბრალო მოკვდავმა «იუზერებმა» აზრის გამოთქმისგან თავი შეიკავონო და ხმასაც არ ამოვიღებდი.

ბატონო გივი, დიდი მადლობა იმ შეფასებებისთვის, რაც თქვენს კომენტარებში ჩემს მიმართ გამოთქვით.

გივი ალხაზიშვილი: სამადლობელი არაფერია. მე ვთქვი ის, რასაც ვფიქრობ.

არ არსებობს ცუდი და კარგი სალექსო ფორმა, არსებობს ცუდი და კარგი პოეტი. იძულებული ვარ ისევ გავიმეორო ეს ძველისძველი გამონათქვამი.

გიორგი საჯაია: ჰექსე, მართლაც ზედმეტი მოგდის, როცა ამბობ: «ვისაც მართლა და არა მოჩვენებითად რაიმე დადებითის გაკეთება სურს თანამედროვე ლიტერატურული პროცესებისთვის, დამატებითი თემებისა და სტატუსების გარეშეც აქვს ამის ყველანაირი საშუალება, მით უფრო ვირტუალურ სივრცეში.» ვის რა სურს და რას და როგორ აკეთებს, ამაზე ახლა ლაპარაკი არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. მე შენგან არ მესწავლება, ლიტერატურისთვის რა და როგორ უნდა გავაკეთო!

რაც შეეხება კითხვის ნიშანს, ბატონმა გივიმ ძალიან კარგად გასცა ამ კითხვას პასუხი, ტერმინ ვერლიბრის განმარტებით. უბედურება კი ის არის, რომ "ამას ჩვენში ვერლიბრისტები არ აკეთებენ, ან ვერ აკეთებენ და ხელთ გვრჩება ტექსტი, რომელიც სიმბიოზია და არც ერთ ჟანრს არ განეკუთვნება." ეს, როგორც წესი, ძირითადად სწორედ იმ ავტორებს ეხებათ, ვინც ამ "კითხვის ნიშანს" აბუჩად იგდებს.

ჰექსე: გიორგი, შენგან განსხვავებით, კომენტარებში მენტორულ და ჭკუის დამრიგებლურ ტონს არ ვატარებ. ღმერთმა დამიფაროს, ჩემგან რამე გესწავლებოდეს. ეს აზრადაც არ მომსვლია. მგონი არც თუ ისე ძნელი გასაგებია, რა ვიგულისხმე.

ხოლო რაც შეეხება "კითხვის ნიშნის აბუჩად აგდებას", ამაზე შემდგომში კონკრეტულ ტექსტებზე დაყრდნობით ვისაუბროთ. ცხადია, თუ შენ საჭიროდ ჩათვლი, თორემ ასე ცარიელი სიტყვების რახა-რუხი გამოგვდის. კიდევ ერთხელ გამოვხატავ პოეტ გიორგი საჯაიას მიმართ ჩემს პატივისცემას.

გიორგი საჯაია: როგორც მამაკაცი, ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ, «ბოლო სიტყვის» უპირატესობა ჩამოგართვა. აღარაფერს გპასუხობ, გარდა იმისა, რომ მეგობრულად მოგიწოდებ სიმშვიდისკენ.

ჰექსე: მშვიდი გაღიმება ნინოსაგან, ნიშანი იმისა, რომ კამათი კამათად და ადამიანობა პირველ რიგში.

«ებლიტფოური» «მრგვალი მაგიდა»

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმის «ებლიტფოს» წევრებს შორის ერთ-ერთი პოპულარული თემაა _ «პრეს-კონფერენციები», _ რომელიც თითქმის ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და რომლის დროსაც ფორუმელების მიერ დასმულ ნებისმიერ შეკითხვას რესპონდენტები გულახდილად პასუხობდნენ.

დასმული კითხვები მრავალფეროვანია და ეხება როგორც რესპონდენტთა პირად ცხოვრებას, ისე მათ შემოქმედებას, ზოგადად მწერლობისადმი დამოკიდებულებას, წერის პროცესსა და სხვ.

მიმდინარე წლის 10 სექტემბერს ახალგაზრდა პოეტ სანდრო ლორთქიფანიძესთან გამართული «პრეს-კონფერენცია» «მრგვალ მაგიდასთან» საუბრად გადაიქცა.

ჰექსე: მაინტერესებს როგორია შენთვის წერის პროცესი, რას ნიშნავს და რაში გამოიხატება ლექსზე მუშაობა და საერთოდ თვლი თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

ხვიარა: ჰექსე, არასოდეს არც ერთ ლექსში, დაწერის შემდეგ არც ერთი სიტყვა არ ჩამისწორებია. თუ ლექსზე მუშაობაში გულისხმობ დაწერის შემდეგ მის ე.წ. «დაწურვას», მე ამის სასტიკი წინააღმდეგი ვარ. ასეთი დამოკიდებულების გამო არაერთხელ გავუკიცხივარ, მაგრამ გინდათ ახირება დაარქვით ამას და გინდათ ჩამოყალიბებული აზრი, ეს ასეა. ვფიქრობ ლექსს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მაქსიმალური ბუნებრიობის გრძნობა. ის უნდა იკითხებოდეს ისე, როგორც იწერება. წერის პროცესში თუ ჩვენ სადღაც ვაპარებთ ჭუჭყს, ის ჭუჭყი ლექსს სჭირდება, რადგან იმ მომენტში ჩვენც გვჭირდებოდა. ხოლო არც ერთი განცდა და გრძნობა წერისას არაა ყალბი, არის ბუნებრივი, მაგრამ ხანდახან არც ისე «ლამაზი» რომ მოუხდეს. მე არ მიყვარს გაშალაშინებული, დაწურული ლექსები. აი მუსიკაზე რომ გავავლოთ პარალელი, იყო კლაპტონი, მსოფლიოს საუკეთესო გიტარისტი, რომლის ვერც ერთ კომპოზიციაში ვერ ნახავთ ჩაუსუფთავებელ აკორდს თუ გადასვლას, მოვიდა ჯიმი ჰენდრიქსი, რომელმაც თან მოიყოლა წუილი, გიტარის ნახევრად აწყობილი ჟღერადობა, უამრავი ჭუჭყი. და ის გენიალურია, როცა ვწერ, არ მესმის გარშემო რა ხდება, აქ თუ ერთ სიტყვას მაინც ვამეტებდე, გეფიცებით. ამ დროს რაღაც ხდება შიგნით მთელ სხეულში, გადიან ფიქრები და ბოლოს ამოხეთქავენ სულის ეპიცენტრიდან. ეს კაიფია, ყველაზე მაგარი კაიფი დედამიწაზე.

ჰექსე: ხვიარა, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ამას მიპასუხებდი, შენს ლექსებს აშკარად ეტყობა ეს. თუმცა არ გეგონოს, რომ ჯიმი ჰენდრიქსის დაკვრის ტექნიკა ნიჭთან ერთად შრომისა და გიტარაზე ღამეების თენების შედეგიც არ იყო. იმავეს თქმა შეიძლება ზოგადად წერის ტექნიკაზეც.

კიდევ ერთი: რა არის შენთვის მთავარი კრიტერიუმი რომლითაც ლექსს აფასებ _ არა აქვს მნიშვნელობა, შენი იქნება თუ სხვისი?

ხვიარა: ჰექსე, მთავარი კრიტერიუმი მაქსიმალურად ნამდვილი უნდა იყოს, ბუნებრივი და აბსოლუტურად გულწრფელი. ტექნიკური პოეზიისა არ მწამს. ესაა ალბათ მთავარი კრიტერიუმი.

რაც შეეხება მუშაობას, ამაში გეთანხმები, მე უბრალოდ მუშაობას ლექსის დაწერის შემდეგ ჩასწორებას არ ვეძახი, მაგრამ ღამეების თენება და შრომა არ მაკლია, გეფიცები. მაგრამ ეს ლექსის დაწერამდე უნდა და არა მას შემდეგ. პოეზია ისეთი

რამაა, რომ ამ შემთხვევაში ლექსი კი არ უნდა დაამუშაო, შენი ფიქრები და სული უნდა დაამუშაო, მაქსიმალურად მიაახლოო იმ ინსტანციას, საიდანაც ძალიან ადვილად გადმოხტება ფიქრი ფურცელზე, პოეტი კარგად უნდა ფლობდეს ტექნიკას, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ კარგად შეძლოს გულწრფელი ფიქრების გადმოცემა, და არა იმიტომ, რომ უკვე გადმოცემული ფიქრები გააგულწრფელოს ან დაამუშაოს.

გივი ალხაზიშვილი: ხვიარა, არ გეჩვენება რომ ჯიმი ჰენდრიქსთან პარალელის გავლება მცდარია?

აბა, დაუკვრდი, რა სხვაობაა სამუსიკო და პოეზიის ენას შორის და მიხვდები, რომ არასწორ პარალელს ავლებ.

ეს ტენდენცია, რომ არაფერს ჩაასწორებ, შეუძლებელია სიტყვერ ხელოვნებაში, თუნდაც იმიტომ რომ შენ საქმე გაქვს პირველ რიგში სემანტიკასთან და არა მხოლოდ მუსიკალურ ბგერასთან, ან თუნდაც ფერთან.

გაუცნობიერებლად ასეთი ექსპერიმენტი, იმის პრეტენზიით, რომ ცოცხალ ემოციას ინახავ თავის ჭუჭყით, საქმის გაიოლებას წააგავს.

მაშინ ჩვენ ნებსმიერი «დაკრული», ნებისმიერი ჩაუსწორებელი ტექსტი უნდა განვიხილოთ, როგორც ხელოვნების შეურყვნელი ნიმუში. ასე კი ყველა შეძლებს და ჩვენი ყოველდღიურობაც ერთი დაუსაბამო ტექსტია, ოღონდ ჩაუსწორებელი ე.ი. უკვე მწერლობაა, რომლის ჩასაწერად მხოლოდ გადამწერია საჭირო და მწერლური ოსტატობა ზედმეტი ბარგია.

ხვიარა: ბატონო გივი, ვიცოდი, რომ ეს ნათქვამი წინააღმდეგობას გამოიწვევდა.

რა ვქნა, თავხედობაში ნუ ჩამითვლით, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით. ადამიანმა თავისი სული უნდა მიიყვანოს იმ მდგომარეობამდე, იმ დონემდე უნდა ჩასწორდეს შინაგანად და დაიწუროს, რომ პირდაპირ დაწეროს კარგი ლექსი. რა ვქნა მე ასე ვფიქრობ. ჯიმი ჰენდრიქსთან ამ შემთხვევაში ჩემი პარალელი ნამდვილად არ გამივლია, ზოგადად პოეზიაზე გავავლე. ალბათ იცით, რომ ბეროუზს, კენ კიზს, მილერს (ეს პროზაში), ბუკოვსკის, კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება, ვინც თავისუფალი წერის მანერის მომხრე იყო, მათ მეტწილად არ ჩაუსწორებიათ თავისი ნაწერები.

არავის არ ვბაძავ და არც მათ გამო არ ვიქცევი ასე. ყველა ნაწარმოები, რომელიც ჩაუსწორებლადაა დაწერილი, რა თქმა უნდა არ შეიძლება აღვიქვათ ხელოვნების უმაღლეს ნიმუშად, მაგრამ მე ვამბობ გადატრიალება, გადაშლა, ამოჭრა და ჩAასწორება ადამიანის ტვინში და გულში უნდა მოხდეს და არა ფურცელზე, რადგან როცა ჩვენ ვწერთ რაღაც სიტყვას, ის ჩვენი ფიქრის ნაწილია, ფიქრი კი არასოდესაა დაწურული და გაშალაშინებული. მე კი მიყვარს გულწრფელი ნაფიქრალის კითხვა, ხვიარა აუცილებლად დაიხვეწება, იმუშავებს საკუთარ თავზე. ეცდება, მაქსიმალურად იპოვოს ოქროს შუალედი და არც ერთ უაზრო დინებას არ გაყვეს, ეცდება სწორ გზაზე იაროს და არასოდეს მოიხიბლოს უკონცეფციო ყმუილებით და ჰაერებით, რომლებითაც არც არასოდეს მოხიბლულა, სხვათა შორის; ყველაფრის დახვეწას შეეცდება, მაგრამ ლექსს დაწერის შემდეგ არასოდეს ჩაასწორებს. და დაე, ამაზე საკუთარმა დედამაც გამაკრიტიკოს, არ ჩავასწორებ და მორჩა. თუ არ მოეწონება ხალხს ჩემი ჩაუსწორებელი ლექსები, არ წაიკითხავენ. თუ მოეწონებათ, ე.ი. მე ვყოფილვარ მართალი. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია საღი დაჭმუჭნული პომიდორი, ვიდრე ნიტრატებით გაჟღენთილი და ლამაზი.

თამარ ბოლქვაძე (პოეტი და ჟურნალისტი): იქნებ, ჯერ ქართველი პოეტები გადაეკითხათ, თუნდაც საყველპუროდ. ფუტურისტებისა და დადაისტების დინების

წინააღმდეგ სვლამ ბევრი რამ ღირებული და ჭეშმარიტად ნოვაციურიც დაგვიტოვა. ჰოდა, იქნებ არ ღირდეს ველოსიპედის (თანაც უნიჭოდ!) თავიდან გამოგონება.

მართალი გითხრათ, არც ვერლიბრსა და კონვენციურ ლექსს შორის გამართული ხელჩართული ბრძოლა მესმის! ჭეშმარიტი _ ერთიც დარჩება და მეორეც, უნიჭობა და ნოვაციის მანტიამოსხმული მიბაძვა კი შარშანდელი თოვლივით გაქრება. ბღავილსა და პოეტურ ყივილს შორის განსხვავება კი ერთ ანეგდოტს მაგონებს: კაცმა ცოლის საცვლის ყიდვა დააპირა, გამყიდველმა კი კაცის საცვალი შესთავაზა. კაცის მიერ გაპროტესტების შემდეგ გამყიდველმა გაკვირვებით იკითხა: კი მაგრამ, რა განსხვავებააო? აღშფოთებულმა კაცმა უპასუხა, ღირსი არა ხარ ეხლა ამოვიღო ეს «განსხვავება» და სულ ტუჩებში გირტყაო!.

გთხოვთ, მომიტევოთ ლიტერატურულ საკითხებზე დისკუსიისას ცოტა «სალნი» შედარებები.

ჰექსე: რა უცნაურია, ეს კატეგორიულობა ბავშვური სიჯიუტეა თუ მცდარი მსოფლმხედველობრივი პრინციპი? მე უფრო იდეა-ფიქსი მგონია, რომლისგან გათავისუფლებას ან დრო სჭირდება, ან პასუხისმგებლობის გრძნობის გამძაფრება, სიტყვების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის.

და ეს შედარებაც, ხვიარა, იქნებ იმ საღ პომიდორს, დაჭმუჭნული რომ არის, წყალი ან მზის სინათლე დააკლდა, რომ ბუნებრივად ლამაზი ყოფილიყო _ და როცა შეგვიძლია ამ წყლის და სითბოს მიწოდება, ხელოვნურად რატომ უნდა დავახშოთ, წინასწარვე რატომ უნდა შევეგუოთ ამ დაჭმუჭნულობას?

ხვიარა: იმიტომ, რომ ის დაჭმუჭნული ისე გაიზარდა თავისით, მეტი ჩარევის გარეშე და მოვლილზე უფრო ლამაზია.

ალბათ, უფრო არასწორი მსოფლმხედველობაა (ჩემთვის სწორი), ვიდრე ახირება.

ნათია ნაცვლიშვილი (ახალგაზრდა პოეტი): სანდრო ძალიან ჭკვიანია და ყველაფერს თვითონ მიხვდება. მთავარია, შიგნით განაგრძოს გზა.

მისი ასაკიც არ დაგვავიწყდეს, თუმცა პოეტისთვის ასაკი პირობითია, მაგრამ მაინც «ის დაჭმუჭნული ისე გაიზარდა თავისითო». ლამაზები, კარგები, უზადოები და მიმზიდველებიც ხომ იზრდებიან თავისით, ნიტრატების გარეშე. თუ ნაყოფიერ ნიადაგზე დარგავ და წყალსაც არ მოაკლებ. მთავარია, სწავლა არ დაგეზაროს და არ ჩათვალო, რომ მორჩა, რაღაც იპოვე. ერთი ფოტო მაქვს სახლში, კედელზე აცოცებული ხვიარასი. თუ ვიპოვე, მინდა, რომ გაჩუქო.

გივი ალხაზიშვილი: თუ პარალელს აუცილებლად ბუნებასთან გავავლებთ, აღმოვაჩენთ რომ ნებისმიერი მცენარე სინათლისკენ იზრდება, კენწერო და ვარჯი სინათლისკენ ისწრაფის და ყვავილი და შესაბამისად ნაყოფი, იმ ტოტებზე მეტია, რომელსაც მზე დაჰყურებს. უფრო სწორი პარალელი იქნება იმ კრისტალებს შევადაროთ ესა თუ ის ლექსი, ბუნებაში რომ მოიპოვება. ყოველ კრისტალს, ხელოვნების ნიმუშად რომ იქცეს, იუველირის ხელი ჭირდება. თუ ამ პროცესს გამოვტოვებთ, მაშინ ბუნებაშივე უნდა ჩავტოვოთ ძვირფასი ქვები და თავი დავანებოთ მათ მოპოვებას და დამუშავებას. მაგრამ კარგი ლექსი არც პომიდორია, არც ხე და არც სამკაული; იგი პოეტის სულის ნაწილია და იგი თუ არ ზემოქმედებს პროფესიონალ მკითხველზე, თუ არ განზოგადდება, ე.ი. ყალბია. დამერწმუნე, ხვიარა, რომ ასეთი ბუნებრიობისთვის მიუღწევია არაერთ დიდ პოეტს, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტს ასწორებდნენ და ასწორებენ განცდილის უკეთ გადმოსაცემად, ზოგჯერ გამძვრალი ულოგიკობის თუ ბანალობის, უფუნქციო სიტყვის, სიმულაციური განცდის უკუსაგდებად.

შენ სრული უფლება გაქვს შენს აზრზე დარჩე, მაგრამ ეს გზა დაგანახებს, რომ ბუნებრიობის ძებნის პრინციპის ერთგულებისას, უნებლიეთ ეჩვევი ნახევარფაბრიკატის გამოქვეყნებას. საქმეც ისაა, შეძლო ბუნებრივად გამოხატო სათქმელი და ემოციაც არ დაზარალდეს, ამას კი ვირტუოზული ტექნიკა ჭირდება კონვენციაშიც და ვერლიბრშიც.

პიკასო (მხატვარი და მოქანდაკე): ყველანაირად ვეთანხმები ბატონ გივის აზრს.

ასევეა ხელოვნებაში _ მხატვრობაში, ფერწერაში, ქანდაკებაში.

ქანდაკება იმდენჯერ უნდა დაიხვეწოს, სანამ ფორმა მთლიანი, სრულყოფილი და იდეალური არ გახდება; კომპოზიციას ბევრი ფიქრი და შრომა სჭირდება რომ ულამაზეს ნიმუშად აქციო და აამეტყველო!

ეს პროცესი ძალზე საინტერესო და დაძაბულია, ხანდახან მძიმე და მტკივნეულიც, მაგრამ იმდენად აუცილებელი და საჭირო, რომ ამის გარეშე შეუძლებელია რაიმე ღირსეულის შექმნა. სულ უნდა გაწუხებდეს უკმაყოფილების გრძნობა, სულ უნდა ცდილობდე, უფრო და უფრო უკეთესი შექმნა _ გინდაც ათასჯერ გადასწორება მოგიწიოს.

უნდა ეძებო შეცდომა, აშორო ზედმეტი და დატოვო უმთავრესი. ჩასწორება-გადაკეთებაში კი არ იკარგება პირველადი იდეა, არამედ უფრო კონცენტრირდება და უფრო ღრმავდება შინაარსითა და არსით. მთავარია, უღრმესად გრძნობდე იმას, რისი გაკეთებაც გსურს და არ ზოგავდე თავს. მხოლოდ ამ დროს იზრდება და იხვეწება ხელოვანი და მისი ნამუშევარი. მხოლოდ მაშინ ღირს შემოქმედის ცხოვრება.

ძალიან მინდოდა ამის თქმა, მაპატიეთ.

ჰექსე: ბატონი გივის და პიკასოს თითოეულ ფრაზას სიამოვნებით მოვაწერდი ხელს.

მგონი, პირველადი მასალის შეცვლის ეს შიში თუ კომპლექსი მხოლოდ ასაკით შეიძლება გამართლდეს შემოქმედთან, სხვა შემთხვევაში კი უპასუხისმგებლობის, ზედაპირულობის ნიშანია. დიახ, თავიდან რაც მოდის, ის მხოლოდ მასალაა _ და არსებობს დიდი შანსი, რომ მასალადვე დარჩეს, ამ მასალას ვკითხულობთ ხოლმე ხშირად ქმნილების სათაურქვეშ. არადა, პოეტის, ხელოვანის ოსტატობა ზუსტად ამ მასალის გამოძერწვაში, ფორმისა და შინაარსის საუკეთესო შესაბამისობის პოვნაში გამოიხატება. შეიძლება ეს წამიერადაც მოხდეს _ ან კი ვინ განსაზღვრავს და ვინ დაუწესებს ვადებს შემოქმედებით პროცესს. სხვაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ მე თვითონაც მაქვს არაერთი ლექსი, რომლებსაც დაწერის მერე აღარ დავბრუნებივარ _ ოღონდ ეს იმიტომ კი არა, რომ ავუკრძალე თავს _ უბრალოდ, სრულიად რაციონალურად, აღარ ჩავთვალე საჭიროდ. მაგრამ ვერ წარმომიდგენია, მეორე დილას წინა ღამით დაწერილი ლექსი წავიკითხო, რაღაც ცუდად მომხვდეს თვალში, არ მებუნებრიოს და შეცვლა იმიტომ გადავიფიქრო, რომ «არ შეიძლება». ეს ან გულუბრყვილობაა, ან საკუთარ შესაძლებლობებში დაურწმუნებლობა. თუმცა _ რაღაც კუთხით იმ პირველადი იდეის, არსის ღალატიც გამოდის, თუ მას არ თვლი იმის ღირსად, რომ მაქსიმალურად სრულყოფილ ყალიბში მოაქციო.

ეს სიტყვა ვახსენე და ბარემ ვიტყვი, რომ აქ «ბუნებრიობის» ცნების აღრევასთანაც გვაქვს საქმე. მხატვრული ბუნებრიობა ურთულესი და უდახვეწილესი, ძალიან მრავალწახნაგოვანი კატეგორიაა ზოგადად შემოქმედებითობის, მხატვრული აზროვნების, სახეთმეტყველების, და ის არამც და არამც არ ნიშნავს არც «პირველადს» და არც «უმს» ან «გადაუმუშავებელს».

გივი ალხაზიშვილი: ჰექსე, რა გითხრა, აბა? შენი ბოლო ფრაზები ჩემი სათქმელიცაა.

პიკასო: ჰექსე, სწორედ ეს არის მთავარი, რომ ბუნებრივი, უდახვეწილესი, ულამაზესი _ ერთი და იგივე ცნებაა, არსით.

და ამის მისაღწევად ტიტანური შრომაა აუცილებელი და უმაღლესი პროფესიონალიზმი.

და ყველაზე უმთავრესი _ «გულის ჩადებაა» საჭირო!

«მრგვალი მაგიდის» უჩვეულო ფორმატი მეორე დღესაც გაგრძელდა.

თამარა (ახალგაზრდა პოეტი და მხატვარი): აბსოლუტურად ვეთანხმები თქვენს გუშინდელ საუბარს და ამაზე არა ერთხელ გვისაუბრია ამ ფორუმზეც.

პიკასო, შენი კი ძალიან კარგად მესმის და ერთი რამ მგონია, თუ ვცდები, მითხარით: მხატვარს და მოქანდაკეს ყველაზე მეტი შრომა უწევს და შრომის გარეშე კი არაფერი არასდროს არ გამოვა. ალბათ ხვიარასთვის მართლა წარმოუდგენელია, მაგრამ არის ნახატები, რომლებსაც თვეობით და წლობით ხატავ. და არის ნახატები, რომლებსაც უბრუნდები შეიძლება წლების მერეც. და პოეზიას რაც შეეხება, ერთი ლექსი, მაგალითად 1 წლის მერე დავასრულე და დღესდღეობით ჩემს შემოქმედებაში საუკეთესო მგონია.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ არსებობს ერთი ამოსუნთქვით შექმნილი ხელოვნებაც. მაგრამ ეს ყველაფერი დიდი შრომის ფასად მიიღწევა მაინც.

ქეთი (ახალგაზრდა პოეტი და ფოტომოყვარული): რა თქმა უნდა, არსებობს «ერთი ამოსუნთქვით» შექმნილი ნაწარმოებები, თუმცა მგონია, ავტორს უნდა შეეძლოს საკუთარი ლექსის (თუ პროზაული ნაწარმოების) არაავტორისეული თვალით წაკითხვაც, გაცილებით კრიტიკულად. ამ შემთხვევაში ზუსტად იგრძნობს, სად მოითხოვს ტექსტი დამუშავებას... და თუ ამას გრძნობს და არ ჩაასწორებს _ უკვე არვიცი, რომელი პრინციპის გამო.

კარდუ (გიგა ნასარიძე _ ახალგაზრდა მწერალი და მსახიობი): არსებობს ნიჭი და არსებობს შრომისმოყვარეობა, ეს ორი რამ ხშირად ვერ არიან ერთად, თუნდაც იმიტომ, რომ თუ ადამიანს რამის ნიჭი აქვს, ამ ნიჭის იმედად რჩება და შრომისმოყვარეობა რომ არ სჭირდება, ეს არაცნობიერშიც უჯდება, ხოლო, თუ ხვდება რომ ნიჭი არ აქვს, იძულებულია ბევრი იშრომოს და წარმატებას ისე მიაღწიოს. თუმცა, არის შემთხვევები, როცა ეს ორი რამ ერთად იყრის თავს და აი მაშინ არის «საშიშროება», რომ შედევრები მივიღოთ. თუ არ ვცდები, რაღაც ამდაგვრს შოპენჰაუერიც წერდა სადღაც.

თამარა: ხოდა, კარდუ, ერთ-ერთის უქონლობის დროსაც კი შემოქმედი უბრალო მოყვარულად რჩება და არასდროს გახდება პროფესიონალი.

პიკასო: საქმეც იმაშია, რომ ნებისმიერი ნამუშევარი (რაც არ უნდა დიდ დროში იქმნებოდეს), ერთი ამოსუნთქვით უნდა იკითხებოდეს _ სწორედ ამაში ვლინდება სიძლიერე და პროფესიონალიზმი შემქმნელის.

ერთი ამოსუნთქვით იქმნება სწორედ მაშინ, როდესაც ავტორში ერთად იყრის თავს მთელი რიგი თვისებები. ნაწარმოები კი ხდება ერთი მთლიანი ორგანიზმი, რომელიც ზუსტად ასეთ «ერთი ამოსუნთქვის» შთაბეჭდილების ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. არააქვს მნიშვნელობა რამდენ დროს მოანდომებს შემოქმედი «ნამუშევარს», მთავარია იყოს უაღრესად ნატიფი, სუფთა, ზუსტად მიმწოდებელი იმ აზრის, თუ რისი თქმა უნდოდა ავტორს.

ხელოვნება უნდა გაჯადოებდეს და გამუნჯებდეს, გაკვირვებდეს და გაფიქრებდეს. ხელოვნება ასეთი საოცარი რამ არის!

«ფორუმელის პერსონალური გვერდიდან.»

«ებლიტფოს» წევრს საკუთარი პერსონალური გვერდი აქვს, რომელშიც მათი ნაწარმოებები და ამ ნაწარმოებებზე ფორუმელების შეფასებები ქვეყნდება.

ფორუმელმა შეიძლება საკუთარ პერსონალურ გვერდზე ასეთი წერილებიც აღმოაჩინოს.

პირველი წერილის ავტორია ედიტი, ადრესატი _ მედეა იმერლიშვილი (ინანა).

ლექსი უცნაურად იწყება, ნუთუ ძმის, ქმრისა და მიჯნურის ერთდროულად ძიება შესაძლებელია? შუამდე რომ ჩახვალ, გაიფიქრებ, რომ მდედრი მამრს ეძებს, და მხოლოდ ბოლოსკენ ხდება საცნაური, რომ ეს ძმა, ეს მიჯნური და ქმარი მარადიული მამაა, რომელიც მხოლოდ ზემოდან კი არ დაგვყურებს, თუ მოვძებნით, თუ მოვუხმობთ ჩვენსავე გულში დაიდებს ბინას, ხელსაც ჩაგვკიდებს და გაუკვალავ გზებსა და შარებზეც მშვიდობით გაგვიყვანს.

ინანას ლექსებმა ჯერ სუფიები გამახსენა, წყვილის ძიებით მარადიულ მამას რომ მოუხმობდნენ. ქებათა-ქებაც მოვიგონე, გილგამეშის ეპოსიც, ანტიკური გმირებიც და საერთოდაც, ბევრი რამ. ინანა ის პოეტია, რომლის ერთი ლექსითაც კი საცნაური ხდება, მას არა მხოლოდ ლექსის წერა, კითხვაც ეხერხება და უყვარს და შენგან, მკითხველისგანაც ბევრი რამის ცოდნას მოითხოვს. თუ არადა, ვერაფერსაც ვერ გაიგებ, დაიბნევი, დაიკარგები. თითოეულ ლექსში იმდენი სახე და სურათია გაბნეული, იოლად ვერ კითხულობ, იძაბები, თავიდან იბნევი კიდეც. მერე ხვდები, რომ უნდა დაფიქრდე, მეხსიერება უნდა შეაწუხო, მოიგონო და თან დინებას და რიტმს უნდა ჩაუყვე. ჩემთვის პირდაპირ მისწრებაა ასეთ პოეტთან შეხვედრა. ვუკირკიტებ ეს დღეებია ინანას ლექსებს, ვკითხულობ, ვიშინაურებ, ჩემად ვაქცევ.

შენს საღამოში შემოვცურდები,
აღუღუნებულ ღუმელთან ჩამოგიჯდები,
ჩაიდანიც შემოვდგათ,
პურიც გამიფიცხე,
განჯინიდან მურაბაც გამომიღე.

ეს ლექსი ალბათ, მარადიულ დედაზეა, ან ბებოზე, ჩაშაქრული მურაბებით სავსე განჯინითა და დიდი სიყვარულით სავსე გულით რომ მოგელის, დაკოჟრილი ხელები და მომლოდინე მზერა რომ აქვს, ან აღუღუნებულ ღუმელთან რომ ზის და სხვა ლექსში სამშობლოს პეიზაჟთან ერთად რომ იხატება. (იმ ლექსმა დავით კაკაბაძის «დედაჩემი _ იმერეთი» გამახსენა), იმ ვიწრო ხიდის მიღმაა ჩემი სამშობლოც ინანა, ოღონდ, ასე, დიდი ხანია, აღარ დამინახავს და მენატრება. ის სკივრიც, სეზამ გაიღეო, რომ შესთხოვ და ეხვეწები, ბებიის დანატოვარი უნდა იყოს, მგონი.

პირველად შემხვდა პოეტი, რომელიც თვალსა და ხელს შუა იმ პირველ ხედ, ცნობადის ხედ იქცა ლექსში და თანაც დამპირდა, დაგვიზამრთდა, მაგრამ გაზაფხულიც მოვაო. ასეთი ერთობა, ჩაწნულობა, ისტორიასა და მითოლოგიაში, მე სხვა თანამდროვე ქართველ პოეტთან, არ მინახავს. საიდან, რატომ, როგორ იბადება ეს ერთიანობის განცდა? ინანას პოეტური სამყარო მართლა უსაზღვრებოა, უცნაური ერთიანობაა «ცხადს, სიზმარს, წარსულსა, აწმყოს და მომავალს» შორის. ინანა დედამიწის ნორჩ სხეულსაც ხედავს («რუსთაველი მახსოვს ბავშვი!») და დღევანდელობასაც. ამ ლექსებში დრო არ არსებობს და სივრცეს საზღვარი არა აქვს, უფრო ზუსტი თუ ვიქნები, აქ ერთგვარი მცდელობაა დროსა და სივრცეზე გამარჯვებისა:

წავედი. რომელ ცამდე,
რომელ ზღვამდე გაიშლება ჩემი სამოსი.
რამდენ უფსკრულს გადასწვდება
ჩემი შემკრთალი სული
და ცაში შენს თვალებს დაითვლის.

სამყაროში გაბნევის, მთელი ქვეყნიერების ერთიანობაში აღქმის სურვილი საიდან ჩნდება ნეტავ? იქნებ სწორედ იმ წუთებში იბადება, როცა:

აღარ მოგიხმობ.
თითქოს მეარსებოს, თითქოს შენი წყალი შემესვას.
ვეღარ გიხსენებ.

ამ ვეებერთალა, უზარმაზარ სამყაროსა და უჟამო ჟამში ამდენი ხეტიალით, შეიძლება მართლაც დაიკარგო, «ჰორიზონტებისკენ მიმართული ყველა მზერა» უკან ბუმერანგივით დაგიბრუნდეს, ეკლებად შეგესოს და მეხსიერებაც დაგიბინდოს. ასეთ დროს ვერაფერი ვეღარ გშველის, ვერც თმები, ყველა კუთხე კუნჭულს რომ გინდა მიაწვდინო და ვერც მთვარის სხივების სარეცლად ქცეული სახლი. მეხსიერება აღარ არსებობს, კვდება, თუმცა, ტყუილად არაფერი იკარგება ამ სამყაროში, ეს მხოლოდ წუთიერი «გათიშულობის» ეპიზოდია, რომელიც ისეთივე ბუნებრივია, როგორც დილით თვალების გახელა.

აი, უკვე მერამდენეჯერ ვკითხულობ ინანას ლექსებს, უკვე თავისუფლად ვმოგზაურობ, დავსრიალებ ამდენ ნაცნობ და უცნობ სახესა და ხატს შორის და ვხვდები, რომ რაღაც ნამდვილსა და ჩემეულს ვეზიარე.

რატომ მიყვარდნენ? სიყვარული უფასური საჩუქარია. _ არა ინანა, ძვირფასია სიყვარული და არც იოლად გვეძლევა მოკვდავთ. შენთან სიძულვილს რა უნდა? შენ თვითონვე არ ამბობ, სიძულვილის უღრან ტყეში არ დავიკარგოთო? მოსასვლელი თვითონ მოვაო? შენთვის დაწერილი ლექსი თვითონ გიპოვისო? სურვილებიდან თავიდან დავიბადებითო? ფერები, სახეები, სურნელები თვითონ მოგძებნიანო? ეს სურვილებიდან დაბადება, ზუსტადაც, საჩემო რამეა. ვზივარ ახლა, სურვილებს ვუთქვამ ამ აპრილის ღამეს. ასე იოლი რომ იყოს! თურმე ეს სურვილები მარადიულიცაა და თანაც უბრალო, მოკვდავ-ადამიანურიც. იმიტომ რომ ჩვენც, ჩვენი თითქოს პატარა საზრუნავებით, თითქოს უმნიშვნელო ტკივილებითა და სიხარულებით, მაინც მარადიულობის ნაწილი ვართ და ვერ გავაჩერებთ ამ დედამიწას, ვერსადაც ვერ ჩავალთ.

ასე არ არის?

მეორე წერილის ავტორია გიორგი საჯაია, ადრესატი _ ანასტასია.

ვერლიბრი, ლექსთწერის ერთ-ერთი ურთულესი ფორმაა, თუნდაც იმიტომ, რომ არცერთ სალექსო საზომს არ ექვემდებარება და სპეციფიურ მიდგომას საჭიროებს. შეურაცხყოფას არავის არ ვაყენებ, მაგრამ სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ფიქრობს, რომ საკმარისია სტრიქონებად დაალაგოს ყველაფერი ის, რაც კონკრეტულ მომენტში თავში აზრად მოუვა და ლექსიც მზადაა. თუ ამ ყველაფერს მკითხველის გადმოსახედიდან მივუდგებით, ასეთი ლექსი შესაძლოა განიხილო მხოლოდ ადგილობრივად და ძალიან ზედაპირულად ანუ წაიკითხო, მოგეწონოს ან არ მოგეწონოს ხშირ შემთხვევაში ლამაზი სიტყვებით გადმოცემული აზრები და ემოციები, გადაშალო და გააგრძელო სხვა ლექსის კითხვა ისე, რომ ძალიან მალე, არა თუ ზეპირად, თხრობითაც კი ვერ გადმოცე ის, რაც ცოტა ხნის წინ წაიკითხე. სწორედ ამიტომ, ვერლიბრი ძალიან სერიოზულ მუშაობას მოითხოვს პოეტის მხრიდან იმისათვის, რომ პოეზიის მოყვარულ მკითხველს, მისთვის სასურველი ფორმით ანუ ლექსად მიეწოდოს და არა მოთხრობად ან რაიმე სხვა პროზაულ ნაწარმოებად.

ეს ყველაფერი რასაკვირველია არ ეხება ანასტასიას შემოქმედებას. რაც შეეხება უშუალოდ მის ლექსებს, ამ ავტორის ვერლიბრებში აშკარად შესამჩნევია რიტმული იმპულსი და სინტაქსური ერთეულების მოწესრიგებულობა, რაც მის ლექსებს კლასიკური ვერლიბრს სახეს უნარჩუნებს და პოეზიის სპეციფიკურ სფეროში ტოვებს. თამამად შემიძლია განვაცხადო, როგორც ერთ-ერთმა რიგითმა ავტორმა და არგუმენტირებულად გავიმეორე ნებისმიერი პროფესიონალი კრიტიკოსის წინაშე (თუ კიდევ დარჩნენ ასეთები საქართველოში) ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ სივრცეში, ანასტასია, "ლიტერატურა.ჯი" _ ზე წარმოდგენილ, რამოდენიმე ავტორთან ერთად, არის ქართული პოეზიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, რომელსაც თამამდ და ამაყად შეუძლია ატაროს "შემდგარი" პოეტის სახელი, რასაც, ჩემდა სამწუხაროდ, ძალიან ბევრზე (და მათ შორის, საკუთარ თავზე) ვერ ვიტყვი.

წარმატებებს გისურვებ, ანასტასია!

მესამე წერილის ავტორია თამარ ბოლქვაძე (თანანა),
ადრესატი _ ლუბა ელიაშვილი(ელენე).

ჩემო ელენე! რამდენი ხანია მე და შენ ერთმანეთს ვიცნობთ და როგორ არ გვცნობია თურმე... ჩვენ პოეზიამ ჩაგვახედა ერთმანეთის სულებში (მაინც, რა ძალა აქვს ამ დალოცვილს!) და აღმოვაჩინეთ, რომ ერთ ტალღაზე ვსხედვართ და გულის გულში იმდენი გვაქვს საერთო, რომ... ზუსტად ასეთსავე «"დოზიროვკას»" მაძლევენ შენი ლექსები და ეს ყველაფერი სულაც არ არის ჩემი მხრიდან. "ОТВЕТНАЯ ЛЮБЕЗНОСТЬ"

და კიდევ ერთი რამ აღმოვაჩინე, ჟურნალისტიკაში სულ იბრძვი თვითდამკვიდრებისთვის, პოეზიაში კი ფანჯრის რაფაზე ქოთნის ყვავილივით გამოდგამ შენს თავს და დამნახავსაც და ვერშემმჩნევსაც ამინდივით აღიქვამ _ დღეს თუ ავდარია, ხვალ ხომ გამოიდარებს...

ხედავ ჩემო კარგო, რა ემოციებს იწვევ ჩემში...

დღის კითხვა «ებლიტფოზე»

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმის ალმანახ «თაობების» გამოსვლამდე ერთი კვირით ადრე «ებლიტფოზე» ახალი თემა «დღის კითხვა» გაჩნდა.

დღის კითხვა: რა სხვაობაა და რაა საერთო ბატონ გივი ალხაზიშვილის თაობასა და ახლანდელ ლიტერატურულ თაობას შორის?

უმჯობესია, ისაუბროთ არგუმენტებით, კონკრეტული მაგალითებით, მიმდინარე ლიტერატურული პროცესის გათვალისწინებით.

ისაუბრეთ მამებისა და შვილების თაობაზე.

ისაუბრეთ მათზე, ვისაც იცნობთ.

მთავარია, საერთო და განმასხვავებელ თავისებურებებს შეეხოთ.

თემას პირველი ნატა ვარადა გამოეხმაურა.

ნატა ვარადა: კითხვას ვუპასუხებ: რა სხვაობაა და რაა საერთო ბატონ გივი ალხაზიშვილის თაობასა და ახლანდელ ლიტერატურულ თაობას შორის?

ეს არის ანარქისტული სული! არშეგუება მონობასთან!

თავისუფლების სისხლისჩაქცევამდე სიყვარული!

არგუმენტები ჩვენი ალმანახია!

ქეთი: მე მამების და შვილების თაობების ურთიერთობაზე მინდა ვთქვა _ ისეთი მინდა იყოს, როგორიც აქ, ჩვენს ფორუმში ჩამოყალიბდა.

უფროსებისგან უმცროსებისკენ გადმოდგმული ნაბიჯი, ინტერესი, ყურადღებით მოსმენა და თვალ-ყურის დევნება, გამოცდილების, ცოდნის გაზიარება და თბილი, მეგობრული დამოკიდებულება.

და უმცროსების მხრიდანაც _ ადეკვატური რეაქცია.

შედეგი? _ შემოქმედებითი ზრდა, თავდაჯერებულობის მომატება.

ასე, რომ კავშირი ორმხრივი უნდა იყოს.

მადლობა ამ კავშირისთვის.

გივი ალხაზიშვილი: «ეს არის ანარქისტული სული! არშეგუება მონობასთან!

თავისუფლების სისხლისჩაქცევამდე სიყვარული!

არგუმენტები ჩვენი ალმანახია!»

ნატა, შენი პასუხი სპონტანურია, მაგრამ ისე გამოგივიდა, რომ ჩვენ ყველანი ვეგუებოდით მონობას, ე.ი. მონები ვიყავით. არ გვიყვარდა თავისუფლება სისხლისჩაქცევამდე, რომელსაც თავი შევწირეთ. რაც შეეხება ანარქისტულ სულს, ამაში მართალი ხარ, ანარქიზმით არ გამოვირჩეოდით, მაგრამ არც ის მგონია, რომ შენი თაობელი შემოქმედი, ყველა ანარქიზმს მსახურებდეს.

როგორც ჩანს ცუდად იცნობთ წინა თაობის შემოქმედებასა და ცხოვრებას, ეს კი ჩვენი ბრალი კი არა გაბატონებული სტერეოტიპის მექანიკური გამეორებაა. ძალიან გთხოვ გადაიკითხო ჩემს საჟურნალო გვერზე ჩანაწერი, რომლის სათაურია "ლმობიერი ცენზორი" და შენ მიხვდები რას ვუძლებდით ჩვენ, რა გადავიტანეთ და მაინც არ გავტეხილვართ.

ჩემი მონობის საბუთად უნდა მოიტანო თუნდაც ერთი სტრიქონი ჩემი ავტორობით, სადაც მე საბჭოეთს დითირამბებს ვუმღერი, საბედნიეროდ ასეთ რამეს ვერ იპოვნი, ბუნებაში არ არსებობს.

რაც შეეხება ანარქიას, ვფიქრობ ასაკობრივია და გაივლის, როგორც მეც გამიარა თავის დროზე. ისე კი მიკვირს, როგორ ათავსებ რწმენასა და ანარქიას?!

ნატა: მე პირიქით ვიგულისხმე, მგონი ჩემნაირი უკუღმართი ჯერ არ დაბადებულა.

ამ თვისებებით, ეს ორი თაობა ჰგავს ბატონო გივი ერთმანეთს, ჩამოჰგავს.

ანარქია და რწმენა, ეს ხომ დაცემა და ამაღლებაა. თუ არა ამ ორის მონაცვლეობა, ამპარტავნება იქვეა.

გიორგი საჯაია: არავითარი განსხვავება არ არის, ჩემო ემხვარ, სიმართლე გითხრა, გულწრფელად მეღიმება კიდეც, როდესაც თაობათა შორის პარალელებს ავლებენ. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ ყველა ეპოქა თავისი მეთოდებით ახდენს ადაპტაციას დროის კონკრეტულ მონაკვეთში არსებულ გარემოსთან და რა გასაკვირია, რომ სამეტყველო ენაც საკუთარი გააჩნია. თუმცაღა, ჯერ კიდევ ჰორაციუსი ამბობადა: დღეს უნდა ითქვას მხოლოდ ის, რაც დღევანდელობისთვის არის დროულიო, _ ვინც ამ ჭეშმარიტებას შეგნებულად თუ შეუგნებლად გაექცა, ასეთები მაშინაც მრავლად იყვნენ და ახლაც ბევრნი არიან. სხვა ყველაფერი, ტექნიკური და ძალიან მეორეხარისხოვანი საკითხია. რატომ? იმიტომ, რომ გენიალური დუმბაძე მახსენდება ახლა: "მე ხომ ვიყავი შენხელა? შენ ხომ გახდები ჩემხელა? აბა, რა განსხვავებაა ჩვენს შორის, ბიძია?" _ ამ კითხვაზე პასუხი უალტერნატივოა: არავითარი, ილარიონ ბიძია. არავითარი!

ეს ნატას ბრალი არ არის, გივი ბატონო. ეს, მართლაც რომ "გაბატონებული სტერეოტიპის" ბრალია და მარტო ამ სტერეოტიპის დამკვიდრებისათვის არიან ზოგ-ზოგიერთები ანათემას გადასაცემი, ყველაფერ სხვას რომ თავი დავანებოთ. ერის ტრაგედიაა ეს, თქვენ რომ ამ ყველაფრის გამო თავის მართლება გჭირდებათ!

გივი ალხაზიშვილი: ნატა, ალბათ ვერ გავიგე შენი ნათქვამი. თუ პირიქით იგულისხმე, მაშინ სადაოც არაფერია. რაც შეეხება ანარქიას, ჩემი წინა პოსტის ფინალში გამოვტყდი, რომ მეც მჭირდა, როგორც საყმაწვილო სენი და ახლა მეღიმება.

რაც შეეხება დაცემას და ამაღლებას, ალბად დამიჯერებ, რომ არაერთგზის განვიცადე და მგონი ვიცი, რაც არის. თუ არ დაეცი, ვერც ამაღლდები.

გიო, ჩემი წინათაობელები მიმტკიცებდნენ, რომ ჩვენ ერთი თაობა ვართ: /ოთარ ჭილაძე, ტარიელ ჭანტურია, გიორგი გეგეჭკორი და სხვ./, მაშინ მეც რადიკალური ვიყავი და არ მჯეროდა, ასაკობრივი სხვაობაც/15 წელი/ საგრძნობი იყო.

ახლა ვხედავ, რომ ეს მართლაც ასეა, ან თითქმის ასეა.

გიორგი საჯაია: აბსოლუტურად ვიზიარებ ამ მოსაზრებას (გიო, ჩემი წინათაობელები მიმტკიცებდნენ, რომ ჩვენ ერთი თაობა ვართ/ო. ჭილაძე, ტ. ჭანტურია, გ. გეგეჭკორი და სხვ./, მაშინ მეც რადიკალური ვიყავი და არ მჯეროდა, ასაკობრივი სხვაობაც/15 წელი/ საგრძნობი იყო.

ახლა ვხედავ, რომ ეს მართლაც ასეა, ან თითქმის ასეა. მეგობარო! განსხვავება მხოლოდ დროშია (მისი თანმდევი მოვლენებით), დრო კი, ძალიან პირობითი რამ არის.

კესო: ბატონ გივის უნდა დავეთანხმო, ცოტა ხნის წინ დავიწყე წერა და წავშალე, ვეღარ მოვასწარი დასრულება. ახლა ვიტყვი: მამების თაობა რომ არა, დღევანდელ თაობას ვინ ჩაუნერგავდა სიყვარულს, რწმენას, ტრადიციებისადმი ერთგულებას. ერთეულები კი ყველგან და ყველა დროში არიან.

თუ ლიტერატურაზე ვისაუბრებთ, აქაც მგონი ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. შემოქმედებითი ძიების შედეგი უნდა იყოს სხვადასხვა კონცეფცია, ესთეტიკა. დრო ყველაფერს დაალაგებს.

ემხვარი: გიო, ალბათ შეამჩნიე, არასოდეს ვაკეთებ კომენტარებს ლიტერატურის თეორიის საკითხებზე და არ ვაფიქსირებ ჩემ აზრებს რომელიმე თემაში (თუნდაც არალიტერატურულში).

ჩვენი მიზანი იყო შეგვექმნა სივრცე სადაც ადამიანები «ისაუბრებდნენ "ლიტერატურაზე და არა მხოლოდ...» დღეს მიმაჩნია ეს შევძელით, რაც ძალიან მახარებს...

"თაობებში განსხვავება მაინც არის. და ეს არ არის თაობებს შორის მხოლოდ ასაკობრივი განსხვავება. სამ წელიწადშიც კი, რაც ვირტუალურ სამყაროს შეძლებისდაგვარად ვსწავლობ, ბევრი რამ შეიცვალა. ძალიან ცოტა შემორჩა მაშინდელი ჩემთვის ახლებიდან. რაც მთავარია მკითხველის გემოვნება დაიხვეწა და დარწმუნებული ვარ, როცა დღევანდელი მკითხველი არაკომპეტენტური გვეჩვენება, "სუბიექტივიზმია" მხოლოდ.

გიორგი საჯაია: ემხვარ, ყველაფერში გეთანხმები, მაგრამ არის ერთი ძალიან დელიკატური მომენტი, რომელიც უმცროს თაობას არასდროს არ უნდა გამოეპაროს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ არაეთიკური იქნება უბრალოდ ჩვენი მხრიდან ამ ნიუანსის უგულვებელყოფა: შვილებს, ელემენტარულად არ აქვთ მორალური უფლება, "დაეტოლონ" მამებს! და არ აქვს მნიშვნელობა, რანაირი იქნება ამ შემთხვევაში მამა (ამ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით, რა თქმა უნდა), ცუდი თუ კარგი. და მეორეც _ არაკანონზომიერი: ამ ორ სუბსტანციას, ერთ სიბრტყეში ვერანაირად ვერ განიხილავ... ფილოსოფიაში რომ არ გადავიჭრა ახლა და უფრო გასაგებად ვთქვა, ეს დაახლოვებით იგივეა, პარალელი რომ გავავლოთ დედამიწას (ამ შემთხვევაში, როგორც ჩვენს თანამედროვეს) და მარსს შორის, რომელზე არასდროს ფეხი არ დაგვიდგამს. არ ვიცი, ასე მგონია მე და შეიძლება ვცდები კიდეც _ ღმერთმა იცის, სად არის ჭეშმარიტება.

ფილომელა: დღეს ხვაიარას დაბადების დღე ყოფილა. ვულოცავ.

თაობებს რაც შეეხება.

აი, შოთა ჩანტლაძე. რომელ თაობას ეკუთვნოდა, დღეს უკვე აღარაა მნიშვნელოვანი.

არსებობენ თაობები, და არსებობს ერთი ადამიანი, რომელიც ეპოქას ქმნის.

შოთა ჩანტლაძე უბრალოდ გამახსენდა, ეპოქასთან არაფერ შუაშია.

ბოლო ეპოქა ქართულ პოეზიაში გალაკტიონი იყო.

იმის შემდეგ «ვისვენებთ».

გიორგი საჯაია: აი აქ კი, კატეგორიულად ვერ დაგეთანხმებით! არ იქნება ჩემი მხრიდან ამ თემის განვრცობა მართებული საქციელი, გამომდინარე იქიდან, რომ მე თვითონ ვწერ. ერთს ვიტყვი მხოლოდ, თქვენის ნებართვით: გალაკტიონი უდავოდ ძალიან დიდია, მაგრამ არამც და არამც უალტერნატივო.

ანასატასია: ვჩქარობ, მაგრამ ორი სიტყვით: მგონი არასწორადაა დასმული საკითხი _ იქნებ განმიმარტოთ რას გულისხმობთ "ახლანდელ ლიტერატურულ თაობაში" და მისგან გამიჯნულ "გივი ალხაზიშვილის ლიტერატურულ თაობაში"? უნდა დავუშვათ, რომ "ახლანდელ ლიტერატურულ თაობად" ითვლება გარკვეული ასაკი? სულიერი ბიოგრაფია ასეთ კონკრეტულობას არ ცნობს.

მარტივად: ჩვენი არსებობა _ ჩემი, ხვიარას, ბატონი გივის _ დროში დაემთხვა, ისე რომ "წარსულისა" და "მომავლის" დატვირთვა არ შეიძლება ქონდეს შემოქმედ სულს. ის არის ახლა და სულ!

აქ დრო და ეპოქა პირობითი მცნებები მგონია, ეგ არის, რომ ის ადამიანის "გამოვლენის ზოგადი საფუძველია. სამყაროში, სადაც ადამიანი არ იცვლება, არამედ

ირგებს გარემო-ტექნოლოგიურ ფონს. აბა სხვანაირად როგორ უნდა მესმოდეს ჰომეროსის და მათეს, რუსთაველის, რემბოს და აქვე, გურამ რჩეულიშვილის.

ერთი შეხედვით ხოა აბსურდი!

ნუ შევხედავთ ასე ვიწრო არეალიდან ხანგრძლივ პროცესს, სადაც ჩვენ წერტილსაც არ ვიკავებთ.

ემხვარი: ამაზე უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი: "თაობებში განსხვავება მაინც არის. და ეს არ არის თაობებს შორის მხოლოდ ასაკობრივი განსხვავება. "

გიორგი საჯაია: დაჯიმ გაცილებით მარტივად და ლამაზად თქვა, ის ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა.

ანასტასია: მესმის, ემხვარ, მაგრამ, შეიძლება ბესიკ ხარანაული ან გივი ალხაზიშვილი არ მოიაზრო ახლანდელ ლიტერატურულ თაობად? მხოლოდ ამის თქმა მინდოდა.

ნატა: ჩვენ ყველა ერთ აზრზე ვართ. არსებობს სული, რომელიც მარადიულია და ჩვენ ყველა ერთი სულის _ სულიწმიდის აზრები ვართ!!

თუმცა, არის რაღაც სნეულებები, რაც საყმაწვილო სენია, ან რაღაც სხვა ეტაპისა.

გGივი ალხაზიშვილი: ფილო გალაკტიონმა ეპოქა შექმნა. ეს ჭეშმარიტად ასეა. კარგად ვხედავ იმასაც, რომ გალაკტიონის გავლენა შესუსტდა, თითქმის გაქრა და გაჩნდა ახალი პოეტიკა, მანამდე რომ არ არსებობდა. მეჩვნება, რომ ინერციით ვამბობთ, "მას შემდეგ ვისვენებთ". შეუძლებელია, არ დავინახოთ ნოვაციები კონვენციურ თუ ვერლიბრულ ლექსებში. ასეთი ავტორები ცოტანი არიან. ისინი გაიზარდნენ გალაკტიონზე და მთლიანად გავიდნენ მისი ჩრდილიდან. ვისაც გალაკტიონის სკოლა არ გაუვლია და, საერთოდ, არ აუთვისებია ქართული პოეზიის მიღწევები, მის ნაწერებს ეტყობა კიდეც.

დღევანდელ ვითარებაში ვგულისხმობ პოეზიის საჯარო სივრციდან განდევნას თავის პარადიგმებით, დამერწმუნეთ, რომ გალაკტიონიც კი ვერ შეძლებდა თავისი გავლენა იმ მასშტაბით მოეხდინა, როგორც ეს იმ ეპოქაში მოხდა. ლიტერატურის საყოველთაო ფრაგმენტაციის ეპოქაში გაჩნდა ოაზისები თავისი კერპებით, წიგნის ორასეგზემპლარიანი ტირაჟებით და ინტერნეტსივრცეებით. პოეზია უბრუნდება ახალ, არსებულ საზღვრებს და სინამდვილეში თვითონ პოეტები არიან პოეზიის აქტიური მკითხველები, სხვა გამონაკლისებს თუ არ გავითვალისწინებთ.

როცა ვთქვი პოეზიის საჯარო სივრციდან განდევნა, ვიგულისხმე საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები, ტელე-არხები, ლიტ.პერიოდიკა. ტრადიცია ასე იშლება და ხელთ გვრჩება მკაცრი რეალობა. პოეზია ამ რეალობასაც არგებს თავის ახალ ფორმებს, ხან კიჩს, ხანაც ფუნაგორიულ ორ ან ოთხსტრიქონედებს, ანუ იმას, რაზეც ბაზრის მოთხოვნაა. სერიოზული პოეზია უბრუნდება ერთეულებს, ძირითადად ლიტ. ოაზისებ. ასეთ სინამდვილეში ლექსის წერა, მხოლოდ შეპყრობილ ადამიანებს შეუძლია. არც კი იცი მიაწვდენ თუ არა ვინმეს ხმას, მაგრამ ვერ გაურბიხარ "კარნახს" და იწერ.

ნატა ვარადა: ნოვალისმა ხო თქვა: ქურუმები იყვნენ პოეტებიო. და საერთოდაც, პოეტები მარადიული ადამიანები არიან!

მე ერთი სურვილი მაქვს: გავმართოთ პოეზიის საღამოები ღია ცის ქვეშ!

ელენე: მე, თაობების განმსაზღვრელი, ასაკი კი არა, ერთი თაობის აღიარებული ვარსკვლავების გავლენიდან გამოსვლა და საკუთარი სიტყვის თქმა ან თუ გნებავთ, თავის ახლებურად დამკვიდრება მგონია.

ამ პროცესისთვის კი, რაღაც ეტაპზე, ბუნტი და ავტორიტეტების უარყოფა აუცილებელია ალბათ.

როცა ''ბითლებმა'' ბეთჰოვენს უთხრეს ''ჩაიჩოჩეო,'' ამით მის მიმართ უპატივცემულობა კი არ გამოხატეს, არამედ პირიქით, აღიარეს და მის სიმაღლეზე ასვლის პრეტენზია გააცხადეს.

ახალი, აგრესიულად, რადიკალიზმით, მაქსიმალიზმით მკვიდრდება და სხვანაირად შეუძლებელიცაა.

რაც შეეხება ორასიან ტირაჟებს, ახალი ტექნოლოგიები გვთავაზობენ ახალ შესაძლებლობებს.

''ლიტერატურა ინტერნეტიდან, '' არაფრითაა ლამაზყდიან ბესტსელერზე ნაკლები.

მართალი გითხრათ, პოეტების ახალი თაობის საფუძველი სწორედ ინტერნეტპოეტების ''საძმო'' მგონია მე, იმიტომ რომ უფასო ტირაჟირების საშუალება, ათავისუფლებს მწერალს და პოეტს გამომცემლის გავლენისაგან.

იქნება ეს, სახელმწიფო, თავისი ცენზურით და თუნდაც მრავალმილიონიანი ტირაჟებით (საბჭოთა პერიოდში), თუ კერძო სპონსორი, როგორც წესი, ძმაკაცურ-ნათესაური მოტივაციით.

იმისთვის კი, რომ მკითხველისთვის ორიენტირები მოიხაზოს, აუცილებელია, საჯარო ფორუმების არსებობა და არა რომელიმე, თუნდაც ოთხმოცკაციანი რედკოლეგიის შეფასების სისტემა.

პოეტების ახალი თაობა, რომელიც ინტერნეტსივრცეში ფორმირების პროცესშია, ალბათ ღია ცის ქვეშაც იტყვის თავის სიტყვას და სხვა ფორმებითაც, ჯერ-ჯერობით კი ერთმანეთის დანახვას და განსხვავებულობასთან შეგუებას ვსწავლობთ.

მარი: იცით, განსხვავება მართლაც არის ჩემი აზრით, განსხვავებაა მკითხველშიც, და იმაშიც, თუ რას მოითხოვს მკითხველი ავტორისგან.

მე ბევრს ვსწავლობ ძველი თაობისგან და ჩემს შემოქმედებას, ან უბრალოდ ჩემს ლექსებს ატყვია კიდეც იმ თაობის კვალი, მე მათ ლექსებზე გავიზარდე, ახლა კი დროსთან ერთად წერის მანერაც, სტილიც, თემაც და თვით მკითხველიც შეიცვალა. ვცდილობ ამ ცვლილებას შევეგუო და ავყვე.

მაგრამ, თამამად შემიძლია ვთქვა ისიც, რომ ეს თაობა ვერ იარსებებს იმ თოაბის გარეშე და პირიქით, ის თაობა ამ თაობის გარეშე. ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით და ერთმანეთის გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელია წინსვლა.

ჩვენც ვიქნებით ოდესმე ძველი თაობა.

ილიას სიტყვები გამახსენდა: «წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო _ მომავლის».

ნელიკო: თაობებს შორის ყოველთვის იყო განსხვავებული შეხედულებები. თაობებს დრო ქმნის, დრონი კი მეფობენ და არა მეფენი.

ყველა დროს თავისი მოთხოვნა და შეხედულებები აქვს.

ყველა ჩვენ "ჩვენი" დროიდან მოვდივართ.

თაობებმა უნდა გაუგონ ერთმანეთს

და...

იყვნენ ერთად.

მარიამ წიკლაური (ბაო): საინტერესო კითხვაა. თუ არ ვცდები, თაობა და ისიც, «ლიტერატურული თაობა», მთლად ჯანსაღი ანუ უპირობოდ მისაღები ცნება არ უნდა იყოს. ლიტერატურა, როგორც სულისმიერი შემოქმედებითი საქმიანობა მაინც უფრო მეტად ინდივიდს უკავშირდება, ვიდრე თაობას ანუ რაღაც დიდ, მრავალრიცხოვან ჯგუფებს ან კოლექტიურ საქმიანობას. ეს ტერმინი, «თაობა», არის ალბათ კომუნისტური სოცრეალიზმივით ხელოვნურად შექმნილი, მასობრიობასაც

რომ გულისხმობს, იერარქიულ წესრიგს ამ მასაში, თანამდებობრივ პრივილეგიებსაც, მსგავსთა შორის ლიდერზე სწორების მექანიზმსაც და ათასგვარ სხვა რამეს. უფრო სწორად, რომ გულისხმობდა. ასაკი მწერლისთვის დიდი არაფრის განმაპირობებელია, რადგან სიახლეები და თანამედროვე ხედვა და ესთეტიკა შეიძლება ხანდაზმულს მეტი ჰქონდეს ახალგაზრდაზე. ნიჭის ფენომენი თაობებს ვერ დაუკავშირდება. ვერც აზროვნება და ხედვის მასშტაბურობა (ვისი თაობაა გურამიშვილი, ბარათაშვილი, ვაჟა, თუნდაც ნიკო სამადაშვილი), მოკლედ, ჩემთვის ამ თაობებს შორის მსგავსება და განსხვავება საერთოდაც არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ლიტერატურა და სხვადასხვა წლებში დაბადებული ადამიანები მარადიული პრობლემებითა და მათი გადაწყვეტის ინდივიდუალური გზებითა და სულიერი უნარებით. ხოლო ასაკით ყოველი «შვილი», ზოგადად, «მამას», სიმბოლურად ებრძვის, ამარცხებს და უბრუნდება მაინც მისსავე წიაღს და ეს მარადიული წრე ლიტერატურაშიც არსებობს. ათასჯერ მუშავდება ბიბლიური და მითოლოგიური თემები, სახეები და მაინც გამარჯვება ძლიერი ინდივიდის მხარეზეა და არა, «თაობის», ანუ მასის. ერთი განსხვავება კი არსებობს ამათ შორის: ინდივიდი მარტოა, სიღრმისკენ მიემართება, მასა კი გაცილებით არტისტულია და ზედაპირული, და მეტადაც ჩანს საზოგადოების თვალწინ. მასის ძალა მათ ერთად ყოფნაშიცაა. ინდივიდის ძალა კი მარტოობაა. ამდაგვარი რაღაცეები კი ყველა დროში იყო, არის და იქნება. ამიტომ ვამბობ, რომ განსხვავება არაა თაობებს შორის. ყველა ირჩევდა და აირჩევს საკუთარი გადარჩენის და დამკვიდრების გზას და ეს გზა ვიღაცისთვის მეფის კარზე გაივლის, ვიღაცისთვის _ მონასტერზე, ვიღაცისთვის კი ცირკის არენაზე.

«პოეზიის საღამოები გრძელდება.»

«მე ერთი სურვილი მაქვს: გავმართოთ პოეზიის საღამოები ღია ცის ქვეშ!» _ ისურვა ნატა ვარადამ. «ებლიტფო» სურვილების ასრულების ფორუმიცაა და ამიტომ «ღია ცის ქვეშ» პოეზიის საღამოებმა ეროვნული ბიბლიოთეკაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, ჯერ შიო მღვიმელის ქალიშვილის _ ქეთევან ქუჩუკაშვილის «ბინაში» გადაინაცვლა, შემდეგ _ აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში, შემდეგი მასპინძელი ქალბატონი ლუბა ელიაშვილი (ელენე) იყო. ასე რომ, «პოეზიის საღამოები» გრძელდება.

პოეზიის საღამო ქალბატონ ქეთევან ქუჩუკაშვილთან

ნელიკო: დღეს ქალბატონ ქეთევანთან ვიყავით და ჰექსეს ლექსები წავიკითხეთ.

ხო! მეც წავიკითხე. დიდი ხანია საჯაროდ ხმამაღლა არაფერი წამიკითხავს, არ ვიცი როგორ გამომივიდა.

საიცრად კარგი იყო.

თვალწინ მიდგას მოხუცი ქეთო ბაბო!

საოცრად თბილი და მართლაც საოცარი ქალი.

თბილი ქეთო ბებო, თაფლისფერი თვალებით! ცოცხალი მატიანე!

ლექსები წაგვიკითხა.
ვნანობ, რომ ადრე მომიწია წამოსვლა.
იქ სიმშვიდე და მყუდრო გარემო იყო.
სხვები ალბათ უფრო ლამაზად დაწერენ.
მადლობა ნატა, რომ ასეთი ლამაზი დღე გვაჩუქე.
მომავალი ოთხშაბათიც ლამაზი იქნება.
აი ნახავთ, აუცილებლად.

ჰექსე: უღრმესი მადლობა ჰექსესგან. დიდი ენერგია წამოვიღე ამ საღამოდან _ სიკეთით და სითბოთი სავსე. ბედნიერი ვარ, რომ ეს მე «"მეხებოდა»".

მარი: ძალიან ლამაზი საღამო გამოვიდა.

სიხარულით, სიყვარულით, სინანულით და ბედნიერებით თვალცრემლიანი ქეთო ბაბო დავტოვეთ ერთ პატარა და საოცარ ოთახში; საოცარ, იმიტომ რომ ამ პატარა ოთახში დიდი "განძი" ინახება.

გავახარეთ ქეთო ბაბო, წამოვიღეთ დიდი სითბო და თან გამოვიყოლეთ მისი ნაღვლიანი მზერა.

მისი თვალები არასოდეს დამავიწყდება, თუნდაც სხვა დროს ვეღარასოდეს ვნახო;

თუმცა იმედი მაქვს რომ კიდევ ვესტუმრებით.

ნოდარი: ჩემთვის ყველაფერი კი ასე დაიწყო: მივედი, პუნქტუალურად, გამოცხადებულ 17:30-ზე.

კოსტავას 60-თან.

და დავიწყე ნიკოლაძის 22-ის ძებნა.

ძებნა-ძებნაში მივაღწიე მელიქიშვილამდე.

და მივხვდი, რომ აქ რაღაც "ისე" ვერ იყო.

რადგან ჯერ 6 არ შესრულებულიყო, გადავწყვიტე "პატრულირება" კოსტავას 60-სა და ნიკოლაძის 22-ს შორის.

პირველივე ცდაზე გამიმართლა და კოსტავას ქუჩაზე ანასტასიას მოვკარი თვალი.

ასე მოვხვდი დანიშნულების ადგილზე.

და ქეთო ბებოც გავიცანი.

ვისხედით მე და ანასტასია და ვუსმენდით.

და ველოდით.

... და მოვიდნენ:

ჰექსე, ვარადა, ნელიკო და მალინა.

დავსხედით, "ვიჭუკჭუკეთ" ცოტა.

შემდეგ, გადაწყდა, საქმისთვის მიგვეხედა.

ჰექსე ჯერ უარს ამბობდა საკუთარი ლექსების წაკითხვაზე, მაგრამ საღამო მაინც საავტორო შესრულებით გაიხსნა.

და შემდეგ ყველამ გამოვავლინეთ დეკლამატორული ნიჭი, თუ რამ გაგვაჩნდა.

ქეთო ბებოს მოეწონა ჰექსეს ჰექსები.

ბევრი უნდა წეროო, უთხრა.

შემდეგ მარი და ია შემოგვიერთდნენ ანუ _ შეცვლაზე შემოვიდნენ, რადგან ნელიკომ მალევე დაგვტოვა.

მარიმ _ არაო, ვერ წავიკითხავო, ისაო, ესაო, მაგრამ ქეთი რომ შემოგვემატა ამობეჭდილი ჰექსებით, ვეღარ ვაჩერებდით მარის.

და _ ჰექსეს ჰექსები.

ჯერ დავაბნიეთ ქეთო ბებო.

ყველანი რომ ვკითხულობდით, ეგონა, ჩვენ-ჩვენს ლექსებს ვუკითხავდით.

მერე ავუხსენით, ჰექსეს ნაღვაწს რომ "ვითვისებდით".

და _ ეს ვინ ყოფილაო!..

მოეწონა _ ახალიაო, კარგიაო.

თქვენი ლექსებიც წამიკითხეთო _ შემდეგ.

ქეთიმ და მარიმ წაუკითხეს.

ანასტასიამაც.

და ჰექსე იყო: ფიქრიანი, გახარებული.

ანასტასია: «"ხელს ჩამკიდებდა ხოლმე. მამას ჰქონდა ნატიფი, დახვეწილი ხელები. მის ჯიბეში თბილოდა. მივდიოდით ასე _ ბედნიერები. თუ ნაცნობი შემოგვხვდებოდა, მამას უსათუოდ ხელი უნდა გაეთავისუფლებინა ჩემგან _ ჩამოერთმია მისთვის. როგორ არ მიხაროდა, თუ ნაცნობი შეგვხვდებოდა!..

"ჩემს დას ვკითხე, რატომ არ გვქონდა-ხოლმე ვაშლი. გვიჭირდა, ვერ ვყიდულობდითო. არადა, გაჭირვება არასდროს მიგრძვნია".

"შენზე ვფიქრობდი. სანამ აქ მოხვიდოდი, ვფიქრობდი, ნეტავ ხშირად მოვიდეს-მეთქი".

"თქვენთან გულწრფელი ვარ, იცით. ვიცი, თქვენ ზუსტად ისეთად მხედავთ, როგორიც ვარ. თქვენთან მიხარია"... "ხომ გემახსოვრებით, ხომ არ დამივიწყებთ.»

აი, რაც დამამახსოვრდა. და კიდევ უამრავი, რაც არასდროს დამავიწყდება. და კიდევ ერთხელ, უკვე დარწმუნებით _ ისინი წლების სიღრმეში გარდაისახებიან, ძალიან აშკარად: მატერიალურს ანაცვლებს ჭარბი სიმსუბუქე. ასეთ დროს ხედავ! პირდაპირ ხედავ ფიზიკურ ქრობას რაღაც ვრცელში გადასულს. და კიდევ: ეს ვრცელი სივრცეს როგორ მოიცავს. ამ სინათლეს ლოგიკას ვერ მოუძებნი _ რაც თვალს მიაჩვევ, მით უხედველს გხდის, ანუ ნათების დამაბრმავებელი დოზა უკონტროლოა.

ამ დროს ზუსტად ვიცი, როგორც სიტყვას _ სიტყვაში, ადამიანს _ ადამიანში, ღმერთს ადამიანში ჩასახვა შეეძლო.

ნატა ვარადა: ანგელოზები არსებობენ _ ვიცით!

"ეს ვინ ყოფილა?! მოულოდნელად სასიამოვნო ჰექსე".

იცით, რა... ერთგვარად ეს იყო თვალებით თანხმობა. და მიყვარხარ ასეთი.

წამიერად ეს ოთახი იყო კი ფიქრის გორაზე? ვიყავით ამ ქალაქში წუხელ?

განა ქუჩაში მივდიოდით?

სულ ასეთი განცდა მქონდა: ვიღაც უსხეულო მოგვყვებოდა-მოგვაცილებდა.

მადლობა თქვენ და მადლობა უფალს, რომ ჩვენ ვართ და მადლობა ქეთო ბებოს მეზობელ-მეგობარ ლიანა დეიდას და მადლობა ყველას.

მე ბედნიერი ვარ!

ეს ქეთო ბებოს თარგმნილი პუშკინია.

* * *

მე თქვენ მიყვარდით: ლტოლვა ფარული
ჯერ არ დამცხრალა, კვლავ ისმის კვნესა;
ნუღარ გაშინებთ ეს სიყვარული,
მე სულ არ მინდა იდარდოთ ესა.
მიყვარდით ჩუმად და უიმედოდ,
კრძალვა და ეჭვი მტოვებდა არსად,
მიყვარდით წრფელად, ნაზად, ოჰ, ღმერთო,
ნეტავი, ასე უყვარდეთ სხვასაც.

მალინა საჯაია: ეს დამამახსოვრდა: "«პუშკინი ვთარგმნე. რაც მე მინდოდა, იმას ვერ ვთარგმნიდი და პატარებს ვარჩევდი. თუმცა, პატარა და დიდი პუშკინი სად გაგიგიათ?.. მერე გავიგე, ილიას უთარგმნია. ეს რომ მცოდნოდა, მე როგორ გავბედავდი?! იცით, პუშკინისთვის ახლა რომ ესროლათ, მისი გადარჩენა შესაძლებელი იქნებოდა; იმ ოპერაციას ახლა აკეთებენ თურმე».

ქეთი: ცოტას მეც მოვყვები.

დილას კი ვფიქრობდი, ვერ მოვყვები-მეთქი, მაგრამ ახლა პატარა "რეპორტაჟს" შემოგთავაზებთ ფოტოების თანხლებით.

ნოდარსავით რომ დამემართა? არა, ჯერ იმას ვიტყვი _ დავიგვიანე. ტაქსით მივქროლდი სწორედ იმ ეზოსთან, რომელსაც ვვარაუდობდი. შევედი კიდეც. მოლოდინი ისეთი მქონდა _ ტალავერიან ეზოში წავიკითხავდით ლექსებს. მაგრამ ვერავინ ვნახე და ეზოში ორ უცნობს ვკითხე, ნიკოლაძის 22 ნომერი იყო თუ არა. არაო. ასე, რომ მელიქიშვილის კუთხისკენ გავემართე, თან ვფიქრობ, კოსტავას ქუჩა რა შუაშია-მეთქი.

მოკლედ, სწორედ ის ეზო ყოფილა.

ნოდარი და ნატა შემხვდნენ და...

ისეთი თბილი სახე აქვს ქეთო ბებოს, პატარა ბავშვივით არის, წიგნებით გამოვსებულ პატარა ოთახში ცხოვრობს.

რა ვიცი, აბა, როგორ მოვყვე...

მოდით, ფოტოებს გავუკეთებ კომენტარებს და საღამოსაც ასე წარმოგიდგენთ.

მხოლოდ იმას დავამატებ _ სითბოთი სავსე იყო მასპინძელიც და სტუმარიც ამ საღამოზე.

ამ საღამოს, ქეთო ბებოს თხოვნით ჩემი ლექსიც წავიკითხე _ ცხოვრებაში პირველად. როგორ არ ვიცი, მაგრამ მითხრა, ძალიან თბილი ლექსიაო "«შინდები».

ნატა ვარადა: მაგარი ხარ, ქეთ.

მართლაც რომ. ქეთიმ «შინდებს ბორდო სდით» ტელეფონით "გააძრო", მარიმ კი «გადამარჩინე» ფურცელზე "გადაარჩინა, მაგრამ რამდენიმე სიტყვა დაუმთავრებლად "გადაათეთრა".

კარგია.

გათიშულს მეძინა და მგონი, 30 წლის სიცოცხლის განმავლობაში ერთადერთი ღამე იყო, ფერადი სიზმარი რომ მეწვია.

საკურა _ ვაიჰჰჰჰ! აყვავებული ალუბალი რას უნდა ნიშნავდეს?

და კიდევ: ქიშმიშები ესხა.

ჰექსემ თქვა: ბავშვობაში მეგონა, რომ ყველა ბებოს ქეთო ერქვა, იმიტომ რომ მე მყავდა ქეთო ბებოო. ასე მგონია, ჩემი ბებოაო ქეთო ბებო.

ჰო, ჰექსე, ქეთო ბებო ყველასია, და მალინა დაინტერესდა, ქეთო ბებო ვისი აღმოჩენაა?

თვით კითხვა რა ზუსტია.

ქეთო ბებო აღმოჩენაა. ჩვენი, «ებლიტფორუმის» და სხვა ყველასი, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მის ჯადოსნურ ოთახში სტუმრად.

მარი: უი, ჰოო, ეს რა დამემართა.

საკუთარი ლექსების წაკითხვას არ ვაპირებდით, ამიტომ ჩემი ლექსების რვეული თან არ წამომიღია (არადა, სხვა დროს სულ ჩანთით დავატარებ ხოლმე). ჰოდა, ქეთო ბებომ თქვა _ «სხვებმაც წაიკითხონ თავ-თავიანთი ლექსები, გამიხარდებაო».

უცებ ქეთიმ მობილურში იპოვა «"შინდები»", მე კი ფურცელზე "«გადამარჩინე»" მივაჯღაბნე, ეგ გამახსენდა და... ქეთო ბებოს რიგრიგობით მივუცუცქდით გვერდით.

პირველად წავიკითხე ჩემი ლექსი საჯაროდ.

ცოტას ვღელავდი, მაგრამ ქეთო ბებომ გამათამამა.

ძალიან გაიხარა კეთილმა მოხუცმა.

ჩემი ლექსი ვერ დავუტოვე. ძალიან ცუდად დავწერე, სწრაფად და გაურკვევლად _ ასეთ ლექსს ვერ დავუტოვებდი.

მაგრამ დავპირდი, მოგიტანთ-მეთქი.

იმასაც დავპირდი, კიდევ მოვალთ-მეთქი.

ჰოდა, მოვიფიქროთ, კიდევ როდის წავიდეთ.

გულში დამრჩა "ერთი ბოთლი «ქინძმარაულის ამბავი"«; გაიხსენეთ, რა?

ნატა ვარადა: ნიკა ხიმშიაშვილზე მოყევით, რა.

5 წლის წინათო. ესე იგი, კლასელები არიან 90 წლისანი.

კიდევ, ვაჟა-ფშაველას ამბები.

შიო მღვიმელმა ლექსი მიუძღვნა ძმას, ვაჟა-ფშაველას და მერე აღარ გამოაქვეყნა, ამას ვერ შევკადრებ გენიოსსაო!

ვაჟას რომ უკანასკნელი ღამე უთია და მისი ხელები მუჭში მომწყვდეული ეჭირა, ესეც შიო მღვიმელია.

ალექსანდრე ყაზბეგს რომ უვლიდა, ავადმყოფს, ყველასგან მიტოვებულს, ესეც შიო მღვიმელია.

მალინა საჯაია: ნიკო ხიმშიაშვილი და ქეთო ბებო კლასელები ყოფილან. ნიკოს მამა და პაპა 1924 წელს დაუხვრეტიათ. ის ამჟამად ლენინგრადში ეწევა მეცნიერულ მოღვაწეობას. 5 წლის წინ ყოფილა ჩამოსული და ტელეფონის ნომერი ჩაუწერია ქეთო ბებოსთვის. მერე ქეთო ბებო დაუკავშირდა და შეატყობინა, რომ წიგნი გამოსცა და _ სად მოგიტანოთო. ნიკომ უთხრა: გამოგივლიო. ქეთო დაფაცურდა, სახლში პურისა და ყველის ნაჭრები და შვიდი ლარი ჰქონია. მეზობელი ლიანა გაუგზავნია ღვინის საყიდლად. ამ ფასში მხოლოდ «ქინძმარაულის» ყიდვა მოახერხეს, და შეიქმნა ლექსი:

"თანაჯგუფელებს, მეგობრებს ველი,
სტუმარს უსუფროდ ხომ ვერ ჩავუვლი,
ვიყიდე პური, ვიყიდე ყველი
და ერთი ბოთლი "ქინძმარაული".

მერე ნიკა ისევ ესტუმრა ტკბილეულითა და «"ქინძმარაულით»."

"გაშლილ სუფრასთან ერთად დავსხდებით,
ჩვენ სკოლის ამბებს გვერდს ვერ ავუვლით,
გათენებამდე მაგრად დავთვრებით
ამ ერთი ბოთლი "ქინძმარაულით."

"ბედნიერი იყავი, შვილო, შენ და მთელი ოჯახი! მთავარია, სულიერი ბედნიერება გქონდეს, ფული არ არის აუცილებელი ჩვენთვის."

ასე დამლოცა ქეთო ბებომ. დაგვლოცა თითოეული ჩვენგანი.

დავპირდი, მომავალ შეხვედრაზე ჩემს ლექსებს წაგიკითხავთ-მეთქი. წერა უნდა დავიწყო...

ნამცეცუნა: ვკითხულობ და ვთბები და ვგრძნობ, თვალებიდან სითბო მეღვრება. თან მეცრემლება. ფოტოებიდან სითბო გადმოდის, ისეთი სითბო, რომ სიტყვებს ვერ

ვპოულობ. მეც ვაპირებდი გუშინ წამოსვლას, ფაქტობრივად, ძალით რომ არ აღმოვჩენილიყავი სულ სხვაგან; არადა, როგორ მინდოდა.

ხომ კიდევ იქნება ასეთი დღეები?

პოეზიის საღამოები კი ისე გვაკლია.

ადამიანებო, იზრუნეთ ჩვენთვის.

ჩვენც თუ რამ შეგვიძლია, ერთად იქნებ გამოგვივიდეს. პოეზიის საღამოების აღდგენას ვგულისხმობ. რამდენი ადამიანის ხმა არ მოგვისმენია.

მარი: უი, ჰოო, ნოდარს როგორ გაუბრაზდა ქეთო ბებო _ რას ჰქვია, ცოლი არ გყავსო?

და რომ ჰკითხა _ «რატომ არ გყავსო» _ ნოდარმა უპასუხა: «ბევრნი არიან და ვერ ვარჩევო».

"«იცით, რას ვოცნებობ? ერთი პატარა სარდაფი მომცენ, სადაც ჩემს პიესებს დავდგამ _ კვირაში ორი დღე უფასო იქნება»."

ესეც ქეთო ბებოს ერთ-ერთი ოცნება.

ქეთი: მთელი ჩანაწერი გავაციფრე და ახლა აქ შემოგთავაზებთ.

კამერა ჩავრთე და გაჩუმდა. ყურება დამიწყო, ეგონა, ფოტოს ვუღებდი, და ცოტათი დაიბნა. რატომ არ გადავიღე?!

მერე ყველამ ვუთხარით, საუბარი იწერება და გააგრძელეთო.

არაჩვეულებრივი ლექსი გაიხსენა.

თუმცა, თავიდან დავიწყოთ:

_ ვილაპარაკო?

_ დიახ, იწერს.

_ ვაჟას ეუბნება ეთერი: ესე, ესე, "გველისმჭამელი" დაწერა და არსად დაუდგესო.

ვაჟამ უთხრა:

"ეთერო, ძალო, მომწონხარ,
ტანითაც მოზიდულია,
შენ საქმეს კარგა უვლიდი,
შიგ ჩადე სული, გულია.
გებრალვის, ძალო, გებრალვის
ქეთია, შიოს ქალია,
ეგ რო პიესას ვერ წერდეს,
ვაჟაის რაი ბრალია".

ვაჟაზე ბევრი ლექსი მქონდა, მაგრამ მერე დავხიე, იმიტომ რომ არ ეკადრება, ვაჟაზე ლექსები ვწერო.

ეს ბევრს მოეწონა. ძალიან პატარა ლექსია. ერთი ახალგაზრდა ბიჭი იყო მოსული და იწერდა, იწერდა. ბევრი ლექსი ჩაიწერა.

«ვაჟაის რაი ბრალიაო» (იცინის). მართლაც, რა ბრალი იყო.

მაინც მინდა, იცოდეთ. "«გველისმჭამელი»" მე სულ სხვაგვარად დავწერე, ენობრივადაც. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, ქება დაწეროთ. ძალიან დავბერდი,

სიარული აღარ შემიძლია. არადა მინდა, თანამედროვე პიესასთან ერთად ვაჟას «"გველისმჭამელიც»" წავიკითხო. მინდა, ახალგაზრდობამ ნახოს. ახალგაზრდობა სწორად მეტყვის, კარგია თუ არა. მჯერა, თუ არ ვარგა, მაშინვე შევატყობ, ხომ არ მომატყუა.

რა ვიცი, ბევრი თეატრია ახლა, მაგრამ იცით, რა არის?! ისეთი სურვილები მაქვს, რომლებიც შეუსრულებელია. მინდა, მომცენ სარდაფი, სადაც ჩემს პიესებს დავდგამ. სარდაფი, უბრალო. მაგრამ კვირაში ორი სპექტაკლი იქნება უფასო. აი, ვინც არიან, ისინი მოვლენ, და თან პირველ სპექტაკლზე ძალიან მინდა, თითო პური და ერთი კილო ყველი დავახვედრო.

ისეთი სურვილები მაქვს, ძალიან შეუსრულებელი და არადა, ძალიან მინდა, ნატო, იცი?..

_ ჩვენც ვინატროთ, იქნებ აგვიხდეს.

_ რა ვიცი. ეგებ სარდაფი მომცენ, სულ უბრალო, სულ ყველაზე ცუდი სარდაფი. იქ დავდგამ პიესებს. სხვა თეატრში არ მინდა, იმიტომ რომ ორი სპექტაკლი უნდა იყოს უფასო, სადაც მოვლენ პენსიონერები და სხვანი.

ლუბა ელიაშვილი (ელენე): ეჰ, ისევ აგცდით.

ამჯერად ჰექსეს საღამო გამოვტოვე.

არადა, როგორ მინდოდა.

მაგრამ, ვინაიდან მანქანა გამიფუჭდა, უკვე ფეხით დავდივარ სკოლაში, ინგლისურზე, ბალეტზე და ა.შ.

(ჩემი ქალიშვილი 7 წლისაა).

ვარ ასე თამაშგარე მდგომარეობაში.

თუმცა, მაქვს იდეა და პატარა სახლი, მთაწმინდის პანთეონის ძირში.

სამწუხაროდ, ვერანდაზე დაჯდომის სეზონი გავიდა.

ამ შემთხვევაში ფონად მთაწმინდის მთვარე და ულამაზესი ხედი გვექნებოდა.

ახლა კი მხოლოდ ბუხართან პოეზიის საღამო შეიძლება დავგეგმოთ.

სამოვარიც მაქვს და ერთი-ორი ბოთლი «ქინძმარაულიც».

საღამოს ავტორი თქვენი, რბილი ბალიშები ხალიჩაზე და სავარძლები _ ჩემი.

იმედია, თავხედობაში არ ჩამითვლით ამ წინადადებას.

ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ყველას 100 წელია გიცნობთ.



ქართული წიგნი

«ებლიტფოზე» ერთი-ერთი საინტერესო თემა «ქართული წიგნია», რომელშიც დროდადრო იბეჭდება სტატიები ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიიდან. აქვე ქვეყნდება მასალები, რომლებიც ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ 2001-2002 წლებში გამოცემულ გაზეთ «ქართულ წიგნში» იბეჭდებოდა.

მიმდინარე წლის 7 სექტემბერს ფორუმელებმა თხოვნით მიმართეს ბატონ გივი ალხაზიშვილს, მოეთხრო თავისი «პირველი წიგნის ამბავი».

ბატონმა გივიმ, როგორც სჩვევია, არ გვაწყენინა და... თუმცა აღნიშნა _ «არ მინდა თავს გამოვუტყდე, რომ მოგონებების დრო დამიდგა. ვხვდები, ზოგიერთი ამბის გადარჩენა რომ საჭიროა. რამეს კიდევ გავიხსენებ».

პირველი წიგნის ამბავი

ჩემი პირველი წიგნი 1972 წელს გამოსცა «მერანმა». მაშინ ქართული მხატვრული ლიტერატურის განყოფილებას შოთა ნიშნიანიძე ხელმძღვანელობდა. წიგნი სწრაფად წაიკითხა, მოიწონა და ხელი მოაწერა, დაიბეჭდოსო! მთავარი ხელმოწერა მაშინდელი მთავარი რედაქტორის _ გრიგოლ ჩიქოვანის კომპეტენცია იყო. მისი დასტურის გარეშე წიგნი არ დაიბეჭდებოდა.

ვიარე, ვიარე, ვიარე, ვიარე «მერანში». ველოდე, ველოდე, ველოდე, ველოდე, როდის მიმიღებდა მთავარი რედაქტორი და ერთხელაც _ კეთილი ინება და გამესაუბრა. თბილად შემხვდა, სიტყვა წიგნის «იდეურ მხარეზე» ჩამომიგდო და მირჩია: თუ რამდენიმე იდეურ ლექსს არ ჩაუმატებ წიგნში, კრებული ვერ გამოვაო.

სიმართლე გითხრათ, ეს «რჩევა» ჩემთვის მოულოდნელი არ იყო და გადაწყვეტილება _ არ დამეწერა იდეური ლექსები, ანუ «პარავოზები», როგორც მაშინ ვუწოდებდით ლექსებს პარტიაზე, ლენინზე, კომკავშირზე და ა. შ. _ არ შემიცვლია.

ორიოდე კვირის შემდეგ ისევ მივაკითხე მთავარ რედაქტორს. მითხრეს, ექვსთვიან შემოქმედებით მივლინებაში წავიდა და შენი წიგნიც სხვა დედნებთან ერთად კაბინეტში აქვს ჩაკეტილიო. როგორც მოგვიანებით გავიგე, მთავარი რედაქტორის

ფუნქციებს დროებით, ექვსი თვით, ნიკა აგიაშვილი _ მხატვრული თარგმანის რედაქციის გამგე «ითავსებდა».

კარგა ხნის შემდეგ მივადექი ბატონ ნიკას. მას ჯერ კიდევ «მნათობიდან» ვიცნობდი, სადაც იგი მუშაობდა და იქ არცთუ იშვიათად დავდიოდი ძველ ფუტურისტ, ბიბლიოფილსა და უაღრესად განსწავლულ კრიტიკოსთან _ შალვა ალხაზიშვილთან. მე და ბატონი შალვა ნათესავები არ ვიყავით: ის კახეთიდან იყო, მე იმერეთიდან _ ქუთაისიდან, მაგრამ ხალხში რატომღაც სულ ძმისშვილად მომიხსენიებდა. არც მე გამიპროტესტებია; უცოლშვილო კაცი იყო და ხელმოკლე სტუდენტს ყურადღებას არ მაკლებდა და რაც ყველაზე მთავარია _ სრული უფლება მომცა, მისი უნიკალური ბიბლიოთეკით თავისუფლად მესარგებლა. ბატონი ნიკაც «მნათობში» შალვა ალხაზიშვილმა გამაცნო და ათწლიან გულთბილ ურთიერთობას, როგორც მოგვიანებით გაირკვა, უკვალოდ არ ჩაუვლია.

შევჩივლე ბატონ ნიკას ჩემი გასაჭირი. მომისმინა, ცოტა ხანს იყოყმანა, მერე ხელი ჩაიქნია: რაც იქნება, იყოსო, მდივანს გრიგოლ ჩიქოვანის კაბინეტის გასაღები გამოართვა, გახსნა კარი _ საქაღალდეების გროვიდან ჩემი ერთფორმიანი ლექსების კრებული ამოაძვრინა, წიგნში არც ჩაუხედავს, სატიტულო ფურცელზე ისე წააწერა: აიწყოს და დაიბეჭდოს! მთავარი რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიკა აგიაშვილი.

დაიძრა საქმე. წიგნი სწრაფად ააწყვეს, კორექტურაც უცებ წაიკითხეს, მაგრამ ფერადი გარეკანის დაბეჭდვას საშველი არ დაადგა. უყდოდ წიგნის გამოცემა ვის გაუგია. ამასობაში კი, ვის მოვალეობასაც ნიკა აგიაშვილი ასრულებდა, ის კაცი დაასრულებდა შემოქმედებით მივლინებას და ადვილი შესაძლებელი იყო, «უპარავოზებოდ» დაბეჭდილი წიგნი გაეჩერებინა.

მაშინ ფერადი ბეჭდვის სტამბა პლეხანოვზე, მიხაილოვის საავადმყოფოსთან ახლოს მდებარეობდა. სტამბის დირექტორს გაბო ერქვა; გვარი, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს.

სიყმაწვილეში წარმატებით ვახერხებდი მწერალთა კავშირის მაშინდელი უცვლელი მდივნის _ ბესარიონ ჟღენტის თავისებური მეტყველების იმიტაციას. ავიღე ყურმილი, დავრეკე გაბოსთან და ბესო ჟღენტის ხმით, ინტონაციით ავუხსენი სტამბის დირექტორს, რომ ამ ახალგაზრდა, ნიჭიერი კაცის, რომელიც გამოირჩევა სოცრეალიზმის იდეალების ერთგულებით, წიგნის გარეკანი იქნებ სასწრაფოდ დაებეჭდათ.

ბატონმა გაბომ მომიკითხა მე (ბესო ჟღენტი), რამდენიმე ქათინაურიც არ დაიშურა ჩემთვის (ბატონი ბესოსთვის) და აღმითქვა მე (ბესოს) _ ხვალვე დავბეჭდავო.

მართლაც, გარეკანი მეორე დღესვე დაიბეჭდა. სასიგნალო ეგზემპლარებს ტირაჟიც მოჰყვა და განსრულდა ესე ამბავი.

პირველი წიგნიდან რჩეულში რამდენიმე ლექსი დღესაც შემაქვს, უმრავლესობა კი აღარ მომწონს. რატომ აღარ მომწონს, ეს ვრცელი საუბრის თემაა. მოკლედ ვიტყვი: ლექსები, მე რომ დავიწუნე, შეფარული, ქვეტექსტური, იგავური ანტისაბჭოურობით გამოირჩევა. იმ ლექსებში გაკრთება ჩეხი სტუდენტის _ იან პოლახის სილუეტი, რომელმაც «საკუთარ თავს მიუსაჯა აუტოდაფე და მოედანზე შეგროვილ ბრბოს მოასმენინა ძვლების ტკაცუნი». იქვე გაისმის ასეთი სტრიქონი ლექსში _ «წიქარას ზღაპარი»: «და ვინღა ურქენს მაცილის ლანდს დროშად დაკიდულს», ხოლო «ჰობოის სოლო» მომაბეზრებელი ერთფეროვანი დღეების ზიზღითაა გაჟღენთილი: «დიდო მაესტრო, ვინ ააწყო ყოველი დღე ერთ კამერტონზე?!» «ჰობოი ჩუმად, ძალიან ჩუმად!»

წავიდა ის დრო, წარსულს ჩაბარდა თავისი სოცრეალიზმითა და მათი მეხოტბეებით. ნიკა აგიაშვილი კი შესანიშნავი მთარგმნელი, მწერალი და უნიჭიერესი თაობის («ჭაბუკები დარჩნენ მარად») ნათელი ხსოვნის მემატიანე არასდროს დამავიწყდება. ვერც იმას დავივიწყებ, როგორ გაგვიმხილა რამდენიმე ახალგაზრდა მწერალს ტაშისკარის რესტორანში _ ვისი ინიციატივით დაჭრეს ლადო ასათიანის ლექსების პირველი წიგნი. თუ ნიკა აგიაშვილის ნაამბობს ვირწმუნებთ, ვინც ლადოს წიგნი გასანადგურებლად გაიმეტა, იმ პოეტმა სიკვდილის შემდეგ ვასილ ბარნოვს ქუჩა გაუყო. ეს უკვე სხვა თემაა და, როცა გალაკტიონის არქივი, მისი პირადი ჩანაწერები გამოქვეყნდება, მერე უფრო დაწვრილებით შევძლებ საუბარს.

ქართული წიგნის თემას პოეტი ნათია ნაცვლიშვილიც გამოეხმაურა:

«სოფელში წიგნების კარადა მეორე სართულზე გვიდგას. ზაფხულობით ჩემი საყვარელი საქმიანობა მისი "დალაგება" იყო. ჩავიკეტებოდი ჩემთვის იმ ოთახში, მივიდგამდი სკამს (იმ დროის ამბავს ვყვები, ზედა თაროებს სკამის გარეშე რომ ვერ ვწვდებოდი და იმ წიგნების 10%-ც რომ არ მქონდა ჯერ წაკითხული), მივყვებოდი და ყველა თაროს ვაცარიელებდი. და მერე თავიდან ვიწყებდი წიგნების დალაგებას _ ხან ფერის, ხან ზომის, ხან რის და ხან რის მიხედვით. ამდენ წიგნში ერთი «მყავდა» ათვალწუნებული. მისი დანახვაც კი ნერვებს მიშლიდა, ვცდილობდი, ისეთი ადგილი მომეძებნა, თვალში იშვიათად მომხვედროდა _ ბოლო თაროზე წიგნების უკან გადავმალავდი ხოლმე. ძველი წიგნი იყო, სხვა ძველ წიგნებზე ძველი, ძალიან გაყვითლებული, უყდო, ფურცლებზე ძველებური მელნით რაღაც წარწერები აჩნდა. ფურცლებიც სხვანაირი ჰქონდა. მოკლედ, ისე მიშლიდა ეს «მოხუცი წიგნი» ხელს, სიამოვნებით გამოვასახლებდი კარადიდან და სადმე სხვაგან მივუჩენდი ადგილს.

მერე გავიზარდე, ცოტა მიმავიწყდა ჩემი "ხელის შემშლელი" წიგნი და ერთ მშვენიერ დღეს თავიდან აღმოვაჩინე.

იმ მშვენიერი დღის შემდეგ რაღაცნაირად დამნაშავედ ვგრძნობ თავს. ამ ბოლო დროს ხშირად მახსენდება. სოფელში რომ ჩავალ, უნდა მოვძებნო და ხელი შევავლო. ბარათაშვილის ლექსები და წერილებია, 1922 წლის გამოცემა.»

ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ბ ა ვ შ ვ ო წ ი გ ნ ი ს დ ღ ე

გასულ წელს, საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდმა დააარსა «ქართული საბავშვო წიგნის დღე» და იგი იაკობ გოგებაშვილის დაბადების თარიღს _ 27ოქტომბერს (ძვ. სტ. 15 ღვინობისთვე) დაუკავშირა. გასულ წელს ეს დღე ეროვნულ ბიბლიოთეკაში აღინიშნა და მოეწყო ქართული საბავშვო წიგნისა და საბავშვო პერიოდიკის გამოფენა. ფონდმა საზოგადოებას წარუდგინა აგრეთვე «საბავშვო ლიტერატურის ალმანახის» პირველი ნომერი.

მარიამ წიკლაური: საბავშვო ლიტერატურის განვითარება საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს უკავშირდება. ლიტერატურის ეს დარგი დიდი ადამიანური ჰუმანიზმითაა აღბეჭდილი. ყველაზე გამოკვეთილი ღვაწლი ამ საქმეს იაკობ გოგებაშვილმა დასდო, დაამუშავა როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ლიტერატურა თუ ფოლკლორი და ჩააყენა იგი აღმზრდელობითი საქმიანობის ავანგარდში. ყველა ნიჭიერ მწერალს დაავალა, ეღვაწათ ბავშვებისათვის, ეწერათ და ეთარგმნათ პატარებისათვის, და ამით ფასდაუდებელი კვალი დაამჩნია მოზარდთა აღზრდის, ერთიანი სალიტერატურო ენისა და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების საქმეს.

დღეს საბავშვო წიგნი საგამომცემლო საქმიანობის ხერხემალია, მაგრამ კერძო სექტორის ბიზნესგეგმები, რომელთაც მთლიანად ბაზრის მოთხოვნები განაგებს, გარკვეულწილად უკანა პლანზე სწევს მწერლის საქმიანობას. ქართველ და, განსაკუთრებით კი, ახალი თაობის შემოქმედს ძალიან უჭირს მკითხველამდე მისვლა. პრობლემები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული: არ ხდება ახალი სახელის რეკლამირება, არარეკლამირებულ ავტორს ვერ სცემს გამომცემელი, არ არსებობს შეფასებები, კრიტიკა; არ არსებობს არც ერთი საბავშვო ლიტერატურული კონკურსი და ნომინაციები არსებულ სახელმწიფო თუ კომერციულ ლიტერატურულ კონკურსებში; არ ითარგმნება ქართული საყმაწვილო წიგნები და, მოკლედ, ბევრი საჭირო რამ არ ხდება. სამწუხაროდ, საგამომცემლო ბიზნესმა ქართველი უსახელო მწერლები გაინაპირა, და არც რაიმე ვალდებულებას გრძნობს ამ ვითარებაში. ამ პრობლემებზეც არ მიმდინარეობს საუბარი და განსჯა. არადა, ეს საჭიროა. ბავშვებისათვის საუკეთესო ლიტერატურა უნდა იქმნებოდეს, მაგრამ ისე, რომ არ მოხდეს თაობათა შორის წყვეტა, რომ დროსთან შესაბამისად განვითარდეს მწერ-ლური აზროვნება და, რაც მთავარია, განვითარდეს ქართული ლიტერატურა, რომელსაც სხვა ენაზე ვერც ერთი ერის ადამიანი ვერ შექმნის ჩვენი ბავშვებისათვის.

ეს პრობლემები უფრო მწერლის პოზიციიდან შემოგთავაზეთ და სათქმელიც ბევრი გვაქვს, მაგრამ ცალმხრივ მონოლოგს რომ არ დაემსგავსოს საუბარი, გთხოვთ, თქვენი აზრიც მოგვაწოდოთ ამ თემის ირგვლივ.

ნელიკო: კარგია, რომ ეს თემა გაიხსნა, რადგან მგონია, რომ საბავშვო ლიტერატურას არ აქვს ჯეროვანი ყურადღება, არადა, ბავშვები ხომ ჩვენი მომავალია, მათი სული კი თვალის ახელიდან ყალიბდება, მათ სულიერი საზრდო წიგნებმა უნდა მიაწოდოს, მხოლოდ ლამაზად ილუსტრირებულმა კი არა, შინაარსობრივადაც კარგმა წიგნებმა.

ჩემი შვილები ნოდარ დუმბაძის, მაყვალა მრევლიშვილისა და სხვათა პოეზიით გავზარდე./ სახლში უამრავი საბავშვო წიგნი მაქვს, რაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი განძია. თანამედროვე პერიოდში ბევრი კარგი საბავშვო მწერალია, მაგრამ საბავშვო ლიტერატურის გამოცემა არ ხდება. იქნებ იმიტომ, რომ წიგნის გამოცემა გამომცემლობისათვის ერთგვარი ბიზნესია.

იქნებ მოეწყოს საბავშვო პოეზიის დღეები, შეხვედრები დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან, იქნებ შევძლოთ, უფრო ახლოს მივიტანოთ პოეზიის ეს ჟანრი პატარა მკითხველთან.

ამას მხარდაჭერა სჭირდება. ეს აუცილებელია, რადგან საქმე მომავალ თაობას, ჩვენს შვილებს ეხება.

მარიამ წიკლაური: 27 ოქტომბერს, სამების საკათედრო ტაძრის «ახალგაზრდულ ცენტრში» გაიმართა «ქართული საბავშვო წიგნის დღე», ჩატარდა «საბავშვო ლიტერატურის ალმანახის» მესამე ნომრის პრეზენტაცია და საბავშვო წიგნების

გამოფენა-გაყიდვა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა: იყო ბევრი ბავშვი, მწერალი, სტუმარი და ბევრი საბავშვო წიგნი. გავიცანით ერთმანეთი საიტელებმაც. ბატონი გივი ალხაზიშვილიც კი გვესტუმრა არაჩვეულებრივი შვილიშვილით. ვის არ ნახავდით აქ: დოდო ხიმშიაშვილი, ემზარ კვიტაიშვილი, ზაზა აბზიანიძე, მზია ჩხეტიანი, აკაკი ბრეგაძე, მაკა ლდოკონენი, შოთა ხოდაშნელი, ლალი ჯაფარაშვილი, გუგული ტოგონიძე, თეა ლომაძე, მანანა ჯოხარიძე, ლიდა სტვილია და სხვანი. ირმამ მშვენივრად წაიყვანა საღამო: ქალთა გუნდმა შეასრულა სხვადასხვა კუთხის ნანინები და «მრავალჟამიერი», ბავშვებმა «ქართული ტრადიციების სახლიდან» გაითამაშეს ხალხური თამაშობები, გაიცნეს მწერლები, მხატვრები და გამომცემლები.

ცენტრის ხელმძღვანელმა, მეუფე სტეფანემ განაცხადა, რომ საპატრიარქოს ეგიდით საბავშვო ლიტერატურაში საგაისოდ დაწესდება და გაიცემა ლიტერატურული ჯილდოები სხვადასხვა ნომინაციაში.

ასე რომ, ერთი ლამაზი დღესასწაული შეემატა ჩვენს ცხოვრებას _ «ქართული საბავშვო წიგნის დღე _ 27 ოქტომბერი» და დღეიდანვე დაიწყეთ მზადება შემდეგი წლისათვის. საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი _ «ლიბო» (ლიტერატურული ინოვაციები და ბავშვთა ორიენტირები) _ ბედნიერია, რომ მის ინიციატივას ასეთი მხარდაჭერა გამოუჩნდა საზოგადოებაში.

ვასო: მიხარია, რომ კარგ საქმეს კარგი გაგრძელება აქვს! საბავშვო ლიტერატურაზე ზრუნვა ბავშვებზე ზრუნვაა. წარმატებებს ვუსურვებ ყველას, ვინც ამ საქმეში თავის წვლილს გაიღებს!

ირმა მალაციძე: მართლაც, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. იმედი მაქვს, რომ კიდევ ბევრ კარგ დღესასწაულს მოვაწყობთ ბავშვებისათვის. მაგრამ გული მწყდება, რომ ჩვენს საიტზე ყველაზე ცოტა სტუმარი სწორედ ამ თემას და აგრეთვე საბავშვო ლიტერატურის თემას ჰყავს. თითო-ოროლა ადამიანი თუ შეიხედავს მასში იშვიათად. არადა, წესით საბავშვო ლიტერატურის ბედი ყველაზე მეტად უნდა აწუხებდეს ყველას. თუ ბავშვი არ გაიზარდა წიგნის სიყვარულით, ის არც სადიდო ლიტერატურას შეიყვარებს, როცა გაიზრდება.

ნოდარი: ალბათ, იმიტომ რომ ჩვენი ფორუმელების უმეტესობა უკვე აღარ არის ბავშვი (ასაკით მაინც) და ჯერ კიდევ არ არის მშობელი.

გუშინაც, «საბავშვო წიგნის დღეზე», "ჩვენებს" რომ ვეძებდი, "მშობელი-ფორუმელები" ვნახე მხოლოდ.

მარიანა: ირმა და მარიამი, როგორც იტყვიან, აბსოლუტური ''ენთუზიაზმით'' უმკლავდებიან ამ თავიანთ წამოწყებულ საქმეს, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე; პირიქით, ვიცი, ხშირად საკუთარი სახსრებით წყვეტენ ზოგიერთ პრობლემას. უბრალოდ, ჩვენთან არაა გაცნობიერებული საბავშვო ლიტერატურის განვითარების მნიშვნელობა, ამიტომ დახმარებისა და მადლიერების ნაცვლად ეს ორი ახალგაზრდა ქალი მუდმივად სხვადასხვა რიფებს აწყდება. ძალიან სამწუხაროა.

ამონარიდები «ებლიტფოური» პრეს-კონფერენციებიდან

მარიანა ნანობაშვილი: ბავშვობიდანვე იმდენად მიყვარდა მხატვრული ლიტერატურა, სულ პატარა ვიყავი, ვოცნებობდი, ნეტავ, წიგნების კითხვის პროფესია არსებობდეს-მეთქი (მაშინ არაფერი ვიცოდი ფილოლოგიის ფაკულტეტის შესახებ,

რომელიც მოგვიანებით დავამთავრე). წერის მცდელობანიც მქონდა, რასაკვირველია, და ბავშვის კვალობაზე არ იყო ცუდი, ყოველ შემთხვევაში რაღაც ოლიმპიადებზე რაღაც დიპლომებს მანიჭებდნენ. სერიოზულად წერა და ლიტ-პერიოდიკაში გამოქვეყნება ამ ექვსიოდე წლის წინათ დავიწყე. თითოეული მოთხრობის ისტორიას ამ პირობებში ვერ მოვყვები, დიდხანს მომიწევს, გალოდინოთ. ახლა ვწერ მოთხრობას გოგონაზე, რომელსაც სარკეში მოლანდებული ანარეკლი უყვარს. მოფილოსოფიურ-მოფანტასმაგორიულო რაღაც გამოდის. აუცილებლად დავდებ საიტზე, თუ იმ რედაქციაში წინააღმდეგნი არ იქნებიან, სადაც უნდა გამოქვეყნდეს. თუ არადა, გამოქვეყნების შემდეგ დავდებ.

... თავისთავად ისე მოხდა, ბევრ მწერალს დავუახლოვდი ლიტერატურულ სამყაროში. კითხვის შესაბამისად, გამოვყოფ მათ, ვისთანაც მჭიდრო მეგობრობა მაკავშირებს _ ირმა მალაციძე (ნიჭიერი საბავშვო მწერალი), თეონა დოლენჯაშვილი, თამრი ფხაკაძე (ასევე ნიჭიერი მწერლები, ''საბას'' ლაურეატები), ზაზა ბიბილაშვილი (ნიჭიერი პოეტი) _ ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდა შემოქმედები არიან. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი წინ აქვთ და აუცილებლად იტყვიან თავის სიტყვას ლიტერატურის ისტორიაში.

... საიდან მოდის შემოქმედებითი ენერგია. ღმერთმა უწყის, ღმერთისგან, ალბათ. ემოციად კი კონკრეტულ შემოქმედ ადამიანში ჩაიღრმავებს კალაპოტს, რომ მერე მხოლოდ მასში გადახარშულ მოთხრობებად, რომანებად, ლექსებად, მუსიკად, ნახატებად გადმოიღვაროს.

ჩემი გმირებიდან არც ერთი არაა ჩემი მსგავსი და არც ერთი არაა, რომელსაც ჩემი ნაწილი არ ჰქონდეს, თუნდაც ერთ შტრიხში _ მეტ-ნაკლებად. ზოგჯერ ბიოგრაფიული ელემენტებიც მაქვს გამოყენებული. ცხადია, ამას ვერავინ გაექცევა. საკუთარ თავზე წერა არც ავტორისთვისაა საინტერესო და არც მკითხველისთვის, ალბათ, ჯობს გამოხვიდე საკუთარი თავიდან. ემოციები, განცდები, ფანტაზიები, ტკივილი, რაც მაწერინებს, ჯერ უნდა დაილექოს, თავ-თავის ფერებში გამოიკვეთოს, რომ მათი აღწერა სენტიმენტალურობის გარეშე შევძლო. ავტობიოგრაფიული მხოლოდ ერთი პატარა მოთხრობა მაქვს, ჩემს არდაბადებულ შვილზე. ''«ყველაზე მეტად(უფროში)»'' დავდე. გადმოვიტან ჩემივე მინაწერს. მინდოდა, ამ მოთხრობის მეშვეობით ოდნავ მაინც შემემსუბუქებინა სხვების ჯვარი, ოდნავ შემეშველებინა ხელი, თუკი ეს შესაძლებელია, და პაწია ქანდაკება მიმეძღვნა ჩემთვის ამქვეყნად ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ადამიანისათვის, რომელიც არც კი მინახავს.

გივი ალხაზიშვილი: მე ვერ გეტყვით, რა არის ჩემთვის პოეზია. ან ორი სიტყვით უნდა ვთქვა ან ტრაქტატი შემოგთავაზოთ. იმ ორ სიტყვას კი ვპოულობ, მაგრამ ბანალურია და არ დავწერ. მშრალად რომ გითხრათ _ ეს არის ჩემი ცხოვრების წესი.

რა არის ზოგადი, ტრანსცენდენტის ფარული მონაწილეობა წერის პროცესში? ყველაფერი აქედან იწყება. ამის გამოტოვებით არაფერი იქმნება, მხოლოდ კეთდება. აი, კეთების სწავლება შესაძლებელია, მადლი კი არ ისწავლება.

მე მარკერებით არ ვაფასებ პოეზიას, მაგრამ თუ ძალიან გაინტერესებთ, ჩამოვთვლი ხუთ მარკერს, რომელიც არ იქნება არც ამომწურავი და მეტადრე _ არც რეცეპტი.

ნიჭი, ოსტატობა, სტილი, განათლება, რწმენა.

ეს ხუთივე კომპონენტი ერთმანეთს მოიცავს, მაგრამ ვიმეორებ _ ეს არ არის რეცეპტი. არის უამრავი საიდუმლო, რასაც სამუშაო ტერმინსაც ვერ მოვარგებ.

თავისუფალი დროის დეფიციტს განვიცდი, მაგრამ როცა მაქვს, ძალიან მიყვარს მუსიკის მოსმენა და დაღლამდე სეირნობა, მეგობრებთან ერთად გართობა, ასევე, ხშირი საუბრები ლიტერატურულ პრობლემატიკაზე.

იმასაც გაგიმხელთ, რომ ჩემი მუდმივი მოდიალოგენი არიან ტარიელ ჭანტურია და ზაზა შათირიშვილი.

... შინაგანი დიალოგი ძალიან პირადულია და კი არ მიჭირს, მერიდება რაიმეს თქმა. ყველაზე მტკივნეული თემაა ჩემთვის საჯარო სივრციდან პოეზიის განდევნა. ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს: ღირს კი, საერთოდ წერა? ვისთვის წერა? აქვს აზრი?

მიუხედავად ამისა, ვატყობ, რომ ახალი წიგნი შეგროვდა წვეთ-წვეთად, და ახლა უკვე სათაურზე ვფიქრობ. ჩემთვის ვწერ და კიდევ იმ ოაზისისთვის, რომელიც სადღაც არსებობს. ესეც საკმარისია. და ის ოაზისიც რომ არ არსებობდეს, მაინც გავაგრძელებდი წერას. ეს ავადმყოფობაა, ძვირფასებო.

... ნიჭი ღვთის წყალობაა და მისი უაზროდ გაფლანგვა დიდი ცოდვაა.

რაც შეეხება კეთებას, ახალგაზრდა პოეტი უნდა ეცადოს, თავისუფლად ფლობდეს ნებისმიერ სალექსო ფორმას, იმ დონემდე ფლობდეს, რომ წერის პროცესში კი არ აკეთებდეს რაიმეს ხელოვნურად, არამედ ლექსთმეტყველება იყოს მისი ბუნებრივი ენა.

ახლა ტექსტის გასწორება ერცხვინებათ, არადა დაწერის შემდეგ აუცილებელია ტექსტზე მუშაობა. მაგრამ ავტორმა რომ იცოდეს, რაზე და როგორ იმუშაოს, დიდი გამოცდილებაა საჭირო. მეჩვენება, რომ ბევრი ახალგაზრდა პოეტი, ძველგაზრდებიც საქმეს იიოლებენ, როცა უარს ამბობენ იმაზე, რაც ვერ აითვისეს ან ვერ დაძლიეს. არ შეიძლება დაიწუნო ის, რაც არ იცი. საჭიროა სრულფასოვნად იცოდე და მერე დაიწუნო ან მოიწონო.

დეგა თავის შეგირდს ურჩევდა, ჯერ ბოლოკის ნატურმორტის ხატვა ესწავლა კარგად და მერე შეჭიდებოდა თავისუფალ თემებს.

თქვენ ფიქრობთ, რომ მუსიკოსმა უნდა ივარჯიშოს საშემსრულებლო ოსტატობის მისაღწევად და პოეტმა არა?

... პოეტი რომანტიზმგავლილი მაინც უნდა იყოს. რომანტიზმი პოეტური ბუნების ადამიანების "სენია". დროთა განმავლობაში ისიც ტრანსფორმირდება და სახეცვლილი, ახალი ესთეტიკით აგრძელებს ჩვენში და ჩვენს ნაწერებში არსებობას.

ლიტერატურული სკოლა ჩემთვის ლიტერატურის ისტორიაში ჩარჩა, მაგრამ საუკეთესო ავტორები დაგვიტოვა.

თანამედროვე პოეტები/, ავტორიტეტებს ვგულისხმობ,/ აღარ არიან ისეთი რომანტიკულები, როგორც ამ სიტყვის ტრადიციული შინაარსი გვაუწყებს.

დიანა ანფიმიადი: ერთი თვისება მიყვარს ადამიანებში, რომელიც ჩვენს პატრიარქს აქვს, ილიას. იგი ყველასგან ყოველდღე სწავლობს; ეს გახსნილობა და შემეცნების წყურვილი დაუშრეტელი და უწყვეტია მასში.

მე არ მიყვარს თვითკმარი ადამიანები.

... შეგირდის ეტაპიდან ოსტატის ეტაპზე გადასვლა რთული და ყველაზე საპასუხისმგებლოა. მე პროცესები მიყვარს და უფრო ნაკლებად _ შედეგები. დღესაც უამრავ კითხვას ვსვამ და არ მრცხვენია. ადამიანი იმიტომ მიყვარს, რომ მიყვარს და არა იმიტომ, რომ ჩემი თავი მის ცოლად და მისი შვილის დედად წარმოვიდგინო. სწავლის პროცესი მიყვარს, კითხვის პროცესი, წერის პროცესი და ა.შ.

რილკე ამბობს: «შეიყვარეთ კითხვები დალუქული ოთახებივით!»

მთავარი კითხვაა და _ არა პასუხი.

მე ასე ვცხოვრობ!

... პერმანენტული სულიერი მდგომარეობა ალბათ იმ პოეტურ მღელვარებას, შფოთვას გულისხმობს, რომელიც შემოქმედებით პროცესს განაპირობებს. ეს კარდიოგრამასავით არის _ ხან ნელდება, ხან ჩქარდება, ხან სულ მიიძინებს.

ვფიქრობ, სულიერი მდგომარეობა ყოველთვის პერმანენტულია პოეტისთვისაც და არაპოეტისთვისაც. პოეტისთვის, რა თქმა უნდა, ეს საჭიროა, ოღონდ ეს ამ გამოთქმასავით იქნება _ პოეტიც სუნთქავს.

ნათია ნაცვლიშვილი: ლიტერატურული კონკურსის «წეროს»" მერე "ცოლების საკითხავი" უფრო შემიყვარდა. თან ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, საყვარელ ნივთს რომ გააჩუქებ.

ერთ ღამეში დაწერილი ლექსია (რა თქმა უნდა, მანამდე დიდხანს ნატარები ემოციით) და, არავითარ შემთხვევაში _ საკონკურსოდ. მერე აღარც შემივლია ხელი; შეიძლება, ეს ეტყობა კიდეც.

სიდიდის გამო მაშინ ფიქრობდნენ, რომ "«წეროსთვის»" იყო დაწერილი. არადა, " «წეროზეც»" რაღაც შემთხვევით მოხვდა, მეგობრების თხოვნით (კვენტინს და მონბლანს ვგულისხმობ).

კიდევ რა შემიძლია ვთქვა _ ძალიან გულწრფელი ლექსია, იმდენად, რომ მერჩივნა, ჩემთვის დამეტოვებინა.

///... პირველი პუბლიკაციები ძალიან სასიამოვნო დროს მახსენებს. ეს სკოლის დროს იყო: მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზეთი "«ჯეჯილი»", რომელსაც მე და ჩემი მეგობრები ქალბატონ ნათელა ქვლივიძის დახმარებითა და თანადგომით გამოვცემდით, იყო ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ყოველკვირეული გაზეთი. იმდროინდელმა "შრომამ" ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა და ბევრი რამ მასწავლა.

რაც შეეხება "«არილს»", " «წიგნებს»" და "«ალტერნატივას»", ხანდახან მგონია, რომ მათ პატრონებზე მეტად მწყდება გული.

მახსოვს, სულ ველოდებოდი ხოლმე შემდეგ ნომრებს. «არილის» კოლექციონერი ვარ, მგონი მარტო პირველი ნომერი არ მაქვს (ჟურნალს ვგულისხმობ), და მახსოვს, რა გახარებული ვიყავი, მალხაზ ხარბედიამ "«არილის»" გაზეთობისდროინდელი ნომრები რომ მაჩუქა.

... «ლ'ილ" სინდიკატი» ჩემთვის ჩემი მეგობრების წრეა _ ნიჭიერი, განათლებული, მოაზროვნე და მაღალი ინტერესების მქონე ადამიანთა წრე, სულ რომ სწავლობენ და მუშაობენ თავიანთი გემოვნების დახვეწაზე. მჯერა, რომ ეს ძიების პროცესი აუცილებლად გამოიღებს სასურველ შედეგს.

ჩანაფიქრის მიხედვით, "პოეზიის ფესტივალი და, ფაქტობრივად, "პოეზიის კვირეული პირადად ჩემთვის უფრო გამოცდილებას ნიშნავს. ვისაც ახსოვს, მაშინ

თითოეულ დღეს ერთგვარი მობოდიშებით ვიწყებდი _ რომ არ იყო ყოველივე ისე, როგორც ეს ჩვენ გვსურდა. ეს იყო აბსოლუტურად უბიუჯეტო პროექტი და ის, რაც მსმენელსა თუ მონაწილეს დისკომფორტს უქმნიდა, ამაზე იყო დამოკიდებული. ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა და ამას სამომავლოდ გპირდებით.

მაგრამ გულწრფელად მიხარია, რომ "ფესტივალ-კვირეულმა" ამ ფორმითაც გაამართლა. დღეს რომ მხვდებიან იმ დღეების მონაწილენი თუ მსმენელები, და უკვე რომ ითხოვენ შემდეგს, ეს უკვე ძალიან დიდი სტიმულია.

გაისად უკეთესი იქნება, გპირდებით!!!

ნატა ვარადა: ვერაზე, ნიკოლაძის 20-ში, პირველ სართულზე, ნახევარსარდაფში ცხოვრობს შიო მღვიმელის ქალიშვილი, საბავშვო მწერალი ქეთევან ქუჩუკაშვილი, სუუუუულ მარტოოა. და მას ძალიან ვჭირდებით.

სხვა დროს ასე მითხრეს, ქველმოქმედება დაფარულად უნდა აკეთოო. ამ შემთხვევაში არ გამოვა. ეს ძალიან საყვარელი მოხუცი თაგვებმა დაკბინეს წინა ზაფხულს. ნესტი ტანსაცმელს და თეთრეულს უნადგურებს. თან ნაქირავებ ბინაშია. თუ ვინმე დაეხმარება, სხვებს უნაწილებს. წინა ზამთარს ფული შეუგროვებია პენსიით და მამის საფლავის ქვა გააკეთებინა მეზობელს, ქ/-ნ ლიანას. რომელიც ეხმარება-უვლის.

... ლიტერატურულ ალმანახ «თაობების» გამოცემისას მთავარი, იცი რა არის? აი, ვინმემ არ მოიყვანოს თავისი ძმისშვილი და არ გვითხრას: "«აი, ბაღანა ისეთი ნიჭიერია, ცოდოა, რომ «თაობებში» არ გამოუქვეყნოთ შემოქმედებაო»", და ჩვენც რომ დავუჯეროთ და დავბეჭდოთ.

«"თაობები»" ვერ იქნება ცუდი. ვეღარ იქნება. მე მიფიქრია, _ დრო რომ გავა და სხვა თაობის ლიტერატორები წაგვიკითხავენ, ერთმანეთის ლექსებში თუ გვიპოვნიან-მეთქი? ჩვენ არა მხოლოდ თაობათა," ერთურთის შემოქმედებასაც ვქმნით. ამდენი ნიჭიერი ადამიანი რომ ერთად აფრქვევს ასეთ ნიჭიერებას, იქ ეჭვებს ადგილი არ აქვს.

... მხატვრობა მიყვარს. მხატვრებიც. მგონია, რომ მხატვრები ხელოვნების სხვა წარმომადგენლებისგან განსხვავებით ყველაზე მეტად იხარჯებიან, თითქმის ეწირებიან თავიანთ იდეებს, სამუშაოს.

მოდილიანი მიყვარს.

ვან გოგი. რენო თურქია და ფიროსმანი. ავთო ვარაზიც.

«ებლიტფოდ» გალერიაც მომწონს. რენო თურქიას ნახატებიც დადეთ.

ჰექსე: ჩემს სათქმელს «მე» ჰქვია, და ჩემგან და ჩემში არეკლილი «ყველა-ფერი». ბევრია და ბევრნიც ვგროვდებით; კარგი იქნება, ყველაფრის თქმას თუ მოვასწრებ.

არა მგონია, რომ გამოკვეთილი ლაიტმოტივი მქონდეს, ყოველ შემთხვევაში, გამიზნულად ეს არ ხდება _ ამ შემთხვევაში ალბათ მკითხველის აზრი უფრო საინტერესოა. საერთოდ, ცნობიერი გამიზნულობა მბლოკავს წერისას _ ეს არც კარგია და არც საამაყო, მაგრამ ასეა.

... ზოგადად და მარტივად, კარგი კრიტიკა ჩემთვის არის კარგი მკითხველის უნარი, ჩამოაყალიბოს და გამოთქვას თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ ტექსტის და არა უბრალოდ კონკრეტული ავტორის მიმართ.

რა თქმა უნდა, არიან კარგი კრიტიკოსები, ამაში ეჭვი არ მეპარება. თუმც, ალბათ არც ისე ბევრი; და ეს ასეც უნდა იყოს.

... ნებისმიერი კარგი ახალი ლექსი მიხარია, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის ავტორი.

ნელიკო: ბედნიერი ვარ, როცა ჩემს გარშემო მყოფნი ბედნიერები არიან, როდესაც ღიმილიან და გახარებულ სახეებს ვხედავ, როდესაც სიმშვიდე და სიყვარულია ირგვლივ.

ყველაზე მეტად კი მაშინ, როცა ჩემი შვილების გვერდით ვარ და ვგრძნობ, რომ ყველაფერი კარგადაა.

და ღამით, როცა ყველას სძინავს, მე კი მარტო ჩემს სამყოფელში საკუთარ თავთან ვარ და ვწერ იმას, რასაც ჩემი ფიქრები ჰქვია.

... ყოველი ლექსი ჩემი შვილივითაა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარით. კრიტიკას მტკივნეულად არ ვიღებ, რადგან ვთვლი, რომ ჯანსაღი კრიტიკა აუცილებელია. ერთი და იგივე ლექსი შეიძლება მოეწონოთ და ამავე დროს აღმოჩნდეს მკითხველი, რომლის გემოვნებასაც ვერ დააკმაყოფილებს და მისთვის ის სამუდამოდ მტვრიან თაროზე იქნება შემოდებული. ჩემი ლექსები ახლა გამოვფინე სამზეოზე, და ჩემს თავს პოეტს ვერ ვუწოდებ, ალბათ "მოყვარული" უფრო ვარ. ვწერ იმიტომ, რომ ეს პროცესი სიამოვნებას მანიჭებს და მიხარია, როცა მეუბნებიან, რომ ლამაზი ლექსიაო. მკითხველი კი იმდენნაირია, რამდენიც თავად მკითხველია და ამდენივე აზრია. არ შეიძლება ყველა ერთნაირად ფიქრობდეს.

... მიყვარს ის ლექსები, რომლებიც სულთან ახლოს მოდის. ყველას და ყველაფერს ვერ ვკითხულობ. ყოფილა შემთხვევა, როცა ბევრი აღფრთოვანებულა რომელიმე ლექსით, მე კი არ მომწონებია. როდესაც ვკითხულობ, ვცდილობ დავინახო, რისი თქმა უნდოდა ამ ლექსით პოეტს.

911: არ არსებობს რესპოდენტი, რომელსაც ვერ ავალაპარაკებ. როცა ინტერვიუზე მივდივარ, რესპოდენტის შესახებ ძალიან ბევრ ინფორმაციას ვაგროვებ, რაც მიიოლებს დიალოგის გამართვას.

ძალიან იშვიათია კარგი ეკრანიზაცია, იმიტომ რომ ძალიან რთულია სიტყვის ეკრანზე გადატანა, ამას ბევრი რატომღაც ვერ ხვდება. კინო წიგნს ვერასოდეს შეცვლის, წიგნი უფრო დიდია.

... იცი რა, მე ვფიქრობ, რომ ჩემს ირგვლივ მყოფთა 99% ძალიან კარგი ადამიანია, ვფიქრობ, რომ ყველას ის აქვს, რასაც იმსახურებს, ვფიქრობ, რომ ყველაზე მთავარი ამქვეყნად ახლობელი ადამიანის სიცოცხლეა, რომ არ უნდა ვიწუწუნო და ვინაღვლო წარმავალ პრობლემებზე, იმიტომ რომ ყველაფერი გაივლის. იშვიათად ვოცნებობ, ეს არაფერში მშველის. ვცდილობ, მოვლენები აღვიქვა ისეთად, როგორიც არის, გავცე ბევრი სიყვარული. სამყარო ჩემთვის დედაჩემია _ ყველაზე დიდი და ყველაზე მშვენიერი.

ამონარიდები «ებლიტფოური» თემიდან «სტუმრად ამელისთან»

<u>მეაკვნის მეზობელი ნატო</u>

ამელი(ნინო თარხნიშვილი): ნატო, თუ უთქვამს დედას, შენ რომ დაიბადე, როგორი ამინდი ყოფილა მაკვანეთში?.

ნატო ინგოროყვა: დილის ექვს საათზე დავბადებულვარ, აპრილის ცხრაში. მზე დანთებულა "აკვანეთში", ამელი. ამიტომ გამომყვა ამომავალი მზისფერი. ასე ერქვა ჟამთაცვლამდე ჩემს სოფელს. მეაკვნეები ცხოვრობდნენ და იმიტომ. მე მახსოვს უკანასკნელი მეაკვნე.

ამელი: რატომ და როდის დაიწყე წერა?

ნატო: რატომ? _ როცა დავიწყე, ამაზე პასუხი არ მქონდა. გულწრფელად რომ გითხრა, ახლაც არ ვიცი ბოლომდე. ჩაკეტილი და ჩუმი ვიყავი. არადა, მინდოდა მომეყოლა ჩემი ფიქრები. რაღაც ხომ შენზე მეტი ხდება, და გინდა გამოუშვა. დავიწყე 14 წლისამ. ვწერდი მინიატურებად, ლექსებად, მოთხრობებად და ვუყვებოდი საკუთარ თავს. პირველი ლექსი 33 წლისამ დავბეჭდე. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს შიშველი დავდიოდი.

ამელი/: შენი ლექსებიდან ან თარგმანებიდან რომელიმე განსაკუთრებულად თუ გიყვარს და რატომ?

ნატო: რილკე მიყვარს. სისხლში მაქვს უკვე. ვერ გამოვარჩევ რომელიმეს თითქოს. თითეულმა მათგანმა ჩემში გაიარა და ჩემებურად აქართულდა. თუმცა "დუინური ელეგიები" და "ბრმა" რაღაცნაირად შემეყარა. ისეთი სამყარო მაჩუქა, ისეთი... ჩემი ლექსებიდან? _ სიყვარულით ყველა მიყვარს, _ შვილებივითაა. მომწონს ცოტა, ძალიან ცოტა.

ამელი/: შენ და ნინო ქათამაძე ახლო მეგობრები ხართ. ერთად თუ გიმღერიათ?

ნატო: კონცერტების შემდეგ ქუჩაში გვიმღერია. მე რომ ვმღერი, იმას თუ სიმღერა ჰქვია. ნინოსთან ერთად სულ ვმღერი. ჩვენ ერთად ვისვრით სიტყვებს და მელოდიას ნინო წერს. თითქმის ყველა მისი სიმღერა, რომლებშიც ტექსტი იკითხება და გესმის ნინოსი, თამუნა ხოშტარიას და ჩემი თამანონაწილეობით დაიწერა. სულ ბოლო კონცერტზე თეატრალურ სარდაფში კონცერტამდე რამდენიმე საათით ადრე დავამატეთ "ქუჩაში ლოცვა და ძალიან მოუხდა. ნანცეცუნა უსმენდა ამ კონცერტს და ემახსოვრება, ჩემგან გამხელილ სტრიქონებს როგორ ღიღინებდა.

<u>კარდუ დაგვიბერდა</u>

ამელი: როდის აღმოაჩინე, რომ თურმე არცთუ ისე ცუდი იუმორის გრძნობა გქონდა? თუ არ ვცდები, ეს უნივერსიტეტის წლებს უნდა უკავშირდებოდეს. და მოკლედ, მოგვიყევი შენი სტუდენტობის შესახებ. ყველაზე სასიამოვნო და საინტერესო პერიოდები გაიხსენე, თორემ მთელ სტუდენტობას რა გაიხსენებს, ანუ, ყველაზე კარგად რა გაგონდება?

კარდუ (გიგა ნასარიძე): კი, კი სტუდენტობისას იყო, როცა აღმოვაჩინე, რომ შემიძლია ისეთი რაღაცის მოფიქრება, რაზეც ხალხი იცინის, თუმცა აქამდეც დიდხანს მოვდიოდი. უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე «კა ვე ენის» გუნდი ყალიბდებაო, მითხრეს და მეც მოვინდომე მონაწილეობის მიღება. რომ მივედი, გუნდი თითქმის დაკომპლექტებული იყო და კაცმა, რომელიც გუნდის მოსამზადებლად მოეწვიათ, მკითხა, სიმღერა თუ იციო. იმდენად მინდოდა ამ გუნდში მოხვედრა, უსინდისოდ ვიცრუე _ კი, როგორ არა-მეთქი _ და ამიყვანეს. მერე იმ გუნდს არც უთამაშია, ისე დაიშალა. მერე ახალი შევქმენით მე და ჩემმა მეგობარმა და სადღაც მესამე სეზონზე დავიწყეთ დამოუკიდებლად ხუმრობების მოგონება. რაც შეეხება ჩემს სტუდენტობას, ის სულ სამ წელიწადს გაგრძელდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, სრული ათი წელი მაქვს თითქმის ყოველი დღე უნივერსიტეტში გატარებული. ყველაზე სასიამოვნო იყო, დაახლოებით ასე, თორმეტი საათისთვის რომ მივიდოდი უნივერსიტეტის ბაღში, გავივლიდი და თითქმის ყველას რომ ვესალმებოდი ხოლმე, ვინც კი გზაზე შემხვდებოდა. მაგრამ ერთ მშვენიერ პირველ სექტემბერს საშინელ რაღაცას მივხვდი _ ვიდექი პირველი კორპუსის წინ და პირველკურსელ, რა დასამალია და, გოგონებს ვათვალიერებდი და უცებ მივხვდი _ მე რომ პირველ კურსზე ვიყავი, ეს გოგოენები პირველკლასელები იყვნენ. სიმართლე გითხრათ, შემეშინდა, და იმ დღიდან სულ უფრო იშვიათად მივდიოდი ხოლმე უნივერსიტეტში, ეტყობა დავბერდი.

ამელი: კარდუ, თავმდაბლობა არ დაიწყო და პირდაპირ მითხარი, ძნელია პოპულარობა?

კარდუ: კიიი, საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვეღარ ვმგზავრობ, «მარშუტკაში» არ ჩავმჯდარვარ, რამდენი ხანია, და მეტროში ვერ ჩავსულვარ, არადა, ორივე მოსახერხებელი და იაფი ტრანსპორტია, თუმცა არავინ თქვას, რომ პოპულარობა სასიამოვნო არ არის, ან თქვას, მაგრამ სიცრუედ ჩავუთვლი. საკმარისად არათავმდაბალი ვიყავი?

ამელი: მოდი, ვიბლიცინტერვიუროთ:

რაზე ბრაზობ ხოლმე?

კარდუ: როცა დიდი ხნის განმავლობაში არ ესმით ჩემი ახსნილი, ან როცა გულწრფელი ვარ და არ სჯერათ.

ამელი: საყვარელი მწერალი?

კარდუ: არ მყავს, უფრო სწორად, ბევრი მიყვარს, დაწყებული აგათა კრისტიდან და არტურ კონან დოილიდან გაგრძელებული ასტრიდ ლინდგრენით და კიდევ გაგრძელებული რობერტ ლუის სტივენსონით, ჟიულ ვერნით და დასრულებული აკუტაგავათი და კორტასარით, თუმცა ნებისმიერ მომენტში შეიძლება ეს გვარები ჩანაცვლდეს სხვა გვარებით. უი, აკა გამომრჩა, მორჩილაძე.

ძალიან გრძელი პასუხი გამომივიდა ბლიცინტერვიუსთვის.

ამელი: ეგ არაფერი. მზე უფრო გიყვარს თუ მთვარე?.

კარდუ: მზე მზე მზე!!!!!!!!!!!!! თუმცა, ადრე მგონი ღამის ფრინველი ვიყავი.

ამელი: და ბოლოს _ როდის დაბერდები?

კარდუ: არ მინდა!!! არასოდეს არ მინდა, მაგრამ იმედია, მხოლოდ სიკვდილის წინ.

<u>ჰოდა, წავიდეთ ზღაპარში</u>

ამელი: იმაზე მომიყევი, რას წერ, როდის წერ, და ყოველივე ამას სერიოზულად აღიქვამ?

ნამცეცუნა (გვანცა ბუაძე): ვწერ? ყოველთვის მეტისმეტად თამამი მგონია და თითქმის ვერასდროს ვამბობ, ლექსებს ვწერ-მეთქი.

რაღაც-რაღაცეებს ვწერ, ალბათ, ჩემს ზღაპრებს, სიზმრებს, რომლებსაც ზოგჯერ გახელილი თვალებითაც ვხედავ. და ისინი ზოგჯერ ლექსებს ჰგვანან. ყოველ შემთხვევაში, ლიტ.გე-ზე ჯერჯერობით სხვა ჟანრი ვერ შევურჩიე. ვწერ ძირითადად მაშინ, როცა უკიდურესად ბევრი დაგროვდება და ნაბიჯებშიც კი მეტყობა, რომ მამძიმებს, რომ მოიხარშა, რომ დროა, გავუშვა. ხან კი, ერთი წამიც საკმარისია, ერთი სიტყვაც, ერთი ჩასუნთქვაც, რომ აივსოს რაღაც, გადმოვიდეს და დაიღვაროს, თორემ შეიძლება სისხლი ჩამექცეს.

სერიოზულად? ჩემთვის კი, სერიოზულად აღვიქვამ, სხვებისთვის _ ვერა. მე ხომ პოეტი არ ვარ.

ამელი: როგორია ის ოთახი, საიდანაც ახლა, ამ წუთას მელაპარაკები?

ნამცეცუნა: მოდი, ჩემს ოთახში შეგახედებ ფანჯრიდან, საიდანაც შემოდის იასამნების სურნელი, მზის პირველი სხივები, ჩიტების ჭიჭყინი.

ჯერ დაინახავ საწოლს, ძალიან დიდს. იქვე, კუთხეში კი ამოიკითხავ მთელ ამბებს _ ფოტოებიდან, ფერადი წარწერებიდან, დაკიდებული გირჩებიდან, სათამაშოებიდან. დაინახავ მზის ჩასვლებს, დათოვლილ, ძველ თბილისს, "პლუტო"ს ყულაბას, გაბუტულ სათამაშო ბაფთებიან ძაღლებს, გამხმარ ყვავილებსა და ქაღალდის ჭიამაიას წარწერით: «"მე შენ ძალიან მიყვარხარ». ფანჯარასთან ახლოს _ საწერი მაგიდა კომპით, მუსიკალური ცენტრით და გადავსებული წიგნებით, ასევე თაბახებზე ამობეჭდილი ლიტერატორების ლექსებითა და ფერადი სათამაშოებით. შორიახლოს დგას კაქტუსი მხოლოდ იმიტომ, რომ დედიკოს სჯერა. მარჯვნივ _ ხატების კუთხე, ცოტა მოშორებით _ სარკე თავისი "აქსესუარებით" და მე.

მგონი სულ ესაა. თუმცა, ამ ოთახში ავეჯის ადგილმდებარეობა ძალიან ხშირად იცვლება. ისე კი, ეს ოთახი მთელი სამყაროს დამტევია.

ამელი: ნამცეცუნა, და ბოლოს:

ზღაპარში რომ გვეპატიჟები, რა ხდება მაგ შენს ზღაპარში?

ამელი, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი ჯობიაო. ჰოდა, წამო, ზღაპარში.

იქ ბევრი რამ ხდება _ ზოგჯერ წამებში, ზოგჯერ კი საუკუნეებს ვითვლით.

ზოგჯერ ფერიების მსუბუქი ცეკვაა, ზოგჯერ ჩამწვანებული ტბის თვალუწვდენელი ფსკერი.

ზოგჯერ ივნისია და თოვს, მთვარეა და წყალში ჰკიდია, წყალზე მთვარის ბილიკია და ფარავანია ჩემთან მინდვრებით, ჩემს წინ დათოვლილი აბულით, ყველაზე ყვითელგულა ყვავილებით.

ზოგჯერ მარტო ნისლია და ადამიანები ჩრდილდებიან, ზოგჯერ კი ყველაფერი აქვეა და ისე მძაფრი, ჰაერში მოლეკულების თითოეულ ბიძგს გრძნობ.

ხშირად კი, ძალიან ხშირად საქანელაა, ხელისგულზე ჩამობმული, ძალიან გრძელი, ნამდვილი თოკით, _ წინ და უკან ფრიალია.

კიდევ ბევრი რამაა, დიდხანს გაგრძელდება, ყველაფერი რომ გავიხსენოთ.

<u>**ტ ო ლ ო ბ ა**</u>

ამელი: მომიყევი შენს კახეთზე, შენს სახლზე. როგორია იქაურობა, რა გენატრება ხოლმე?

მარი ჩიკვილაძე: კახეთი ულამაზესია, ჩემი სოფელი ყველაზე მეტად მიყვარს, იმიტომ რომ იქ ჩემი სახლია; სახლი, სადაც გავიზარდე, სადაც ბავშვობის ულამაზესი წლები გავატარე, ხშირად ვერ ჩავდივარ, ამიტომ სულ მენატრება იქაურობა.

თუ ძაااااااალიან მომენატრება, მესიზმრება, სულ ვფიქრობ, ვფიქრობ. მომინდება, ვიყო ისევ ის პატარა გოგო, წითელი კაბით რომ დარბოდა, თმაგაწეწილი და ფეხშიშველი ქუჩაში, როცა ვცელქობდი და როცა ბედნიერი ვიყავი, როცა არაფერზე ვფიქრობდი.

ყოველთვის მახსოვს ის დრო, ის წლები, როგორც სიზმრები.

ხანდახან მგონია, ისევ ბავშვი ვარ, მაგრამ ვიზრდები.

ვიზრდები, მაგრამ შინაგანად ისევ ის ბავშვი ვარ, ისევ ის მეოცნებე პატარა გოგონა, სულ ცაში და ღრუბლებში რომ დაფრინავს.

ამელი: მარი, მათემატიკოსი ვარო, მითხარი. შენი ლიტერატურული გატაცების შესახებ გვითხარი. ამ გაუგებრობაში როგორ მოყევი?.

მარი: აი ეს კი, მართლა მეც არ ვიცი.

მახსოვს, პირველი ლექსი რომ დავწერე, 13 წლის ვიყავი. დღეს რომ არიან 13 წლის გოგონები, ისეთი კი არა, სულ მთლად პაწაწინა ბავშვი ვიყავი. რამ დამაწერინა ლექსი, არ ვიცი, დღემდე ასე ვარ, ამ გრძნობის გადმოცემა არ შემიძლია. ერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, მეწერინება და იმიტომ ვწერ, და ძალიან მომწონს წერის პროცესი. ეს რაღაც ბავშვის დაბადებასავითაა, ალბათ, ახალ სიცოცხლეს რომ ჰქმნი და ბედნიერი და კმაყოფილი ხარ.

მათემატიკაზე რა გითხრათ?

ერთხელ ჩემს დეკანს უთხრა ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, მოგვეცით ეს გოგო, თქვენ რად გინდათო? მაგრამ ჩემმა დეკანმა ასე უპასუხა _ თქვენ რომ გყავთ "პოეტები", ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ჩვენც რომ გვყავს, ესაა მთავარიო.

არც გამიშვებდნენ და არც მიფიქრია გადასვლა, ეს უბრალოდ ხუმრობა იყო და მეტი არაფერი.

ამელი: გამრავლება უფრო გიყვარს თუ გაყოფა?

მარი: თუ ცოტაა _ გამრავლება, თუ ბევრია _ გაყოფა.

მაგრამ ტოლობა მირჩევნია.

ჟე ტ''ემ

ამელი: ირმა, გინდა იქით მოვედო, გინდა აქეთ, მაინც ვერსად გავექცევი შენს ბავშვობას. ან რატომ უნდა გავექცე? მომიყევი შენს ბავშვობაზე _ როდის დაიბადე, სად დაიბადე და ჩვეულებრივი იყავი თუ არაჩვეულებრივი?

ირმა ტაველიძე: სწორედ ამას ვაკეთებ უკვე ათი წელია, ან ცოტა მეტი _ ბავშვობაზე ვყვები და ბავშვობისგან გათავისუფლებას ვცდილობ. სულელური ამოცანაა.

ექვსი-შვიდი წლის რომ ვიყავი, ძალიან მინდოდა, "დიდი" ვყოფილიყავი და მკვეთრი მაკიაჟით მევლო ქუჩაში, გრძელი კაბები და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ჩამეცვა და, რაც მთავარია, ეს სასაცილო არ ყოფილიყო.

ახლაც _ ხანდახან მინდა, რომ "დიდი" ვიყო _ ბუნებრივად.

და ხანდახან არ მინდა.

ამელი: შენი მწერლობის ამბავიც გვიამბე. რატომ, როგორ და, საერთოდ, რას ნიშნავს შენთვის შენი ნამუშევრები, ვგულისხმობ, როგორც ორიგინალურს, ასევე თარგმანს.

ირმა: გულწრფელად გეტყვი _ თარგმნა დროის გაყვანის საშუალებაა, საინტერესო და სასიამოვნო საშუალება. ამიტომ ვთარგმნი მხოლოდ ისეთ ტექსტებს, რომლებიც მომწონს, თან ძალიან.

წერას რაც შეეხება, იმდენად ინტიმური პროცესია. არ ვიცი, რა ვთქვა.

ეს გზა რომ არ მეპოვნა, მოვკვდებოდი.

სერიოზულად, სრულიად სერიოზულად ვამბობ.

ამელი: ყველაზე საყვარელი ფრანგული სიტყვა.

ირმა: "პლუი" (წვიმა)

და ფრაზა: "ჟე ტ''ემ"

(სხვათაშორის, დღეს, ვაჟაზე, ერთ-ერთ სატრანსპორტო საშუალებას ნომრის ნაცვლად ჰქონდა მიკრული. წარმოიდგინე _ წითელი მანქანა და ნომერი: "Je t'aime" პოლიციის შენობასთან იდგა).

ამელი: ვინ შეგიყვარდება?

ირმა: ჩემი შვილი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ამ პარასკევს გაცოცხლებული ის ოთხშაბათი.
თუ პოეზიას ღმერთის სტატუსს «ვათხოვებთ».
იხსნის თუ არა ლიტერატურული კრიტიკა პოეზიას უნიჭობის სენისგან?
«ებლიტფოური» «მრგვალი მაგიდა».
«ფორუმელის პერსონალური გვერდიდან».
დღის კითხვა «ებლიტფოზე».
«პოეზიის საღამოები გრძელდება».
პოეზიის საღამო ქალბატონ ქეთევან ქუჩუკაშვილთან.
ქართული წიგნი.
პირველი წიგნის ამბავი.
ქართული საბავშვო წიგნის დღე.
ამონარიდები «ებლიტფოური» პრეს-კონფერენციებიდან.
ამონარიდები «ებლიტფოური» თემიდან.
«სტუმრად ამელისთან».
მეაკვნის მეზობელი ნატო.
კარდუ დაგვიბერდა.
ჰოდა წავიდეთ ზღაპარში.
ტოლობა.
ჟე ტ''ემ.